9 772298 095006

საზოგადოებრივ-ლიტერატურული ჟურნალი

პრიზმა

ფასი 2 ლარი

1134
2019

2019 / აგვისტო
4 (282)

ესქიზე
სპარსელები

სარჩევი

თარგმანი

1 ესქილე | სპარსელები

ძველი ბერძნულიდან თარგმნა და წინასიტყვაობა დაურთო

ლევან ბერძენიშვილმა

14 უისტან ჰიუ ოდენი | ქალაქის ხსოვნას

ინგლისურიდან თარგმნა ზვიად რატიანმა

18 ამოს ოზი | ყველა მდინარე

ინგლისურიდან თარგმნა თამარ ლომიძემ

პროზა

28 ვახტანგ კომახიძე | გაქცევის ტყვეობა

35 ნინო წიკლაური | მოთხრობები

42 ლევან შატბერაშვილი | ჩია ნაბიჯები

გარეკანი: მამუკა ტყეშელაშვილი

არილი

საზოგადოებრივ-ლიტერატურული ასოციაცია "არილის" ყოველთვიური გამოცემა

The Literary Magazine "Arili"

რედაქტორები
მალხაზ ხარბედია
შადიმან შამანაძე

მხატვარი **მამუკა ტყეშელაშვილი**

კორექტორი **ინა არჩუაშვილი**

კომპიუტერული უზრუნველყოფა **თამაზ ჩხაიძე**

პროექტის მენეჯერი **ეკა ხარბედია**

სარედაქციო საბჭო

რატი ამაღლობელი, ია ანთაძე, ანდრო ბუაჩიძე, ლაშა ბუღაძე, თამაზ ვასაძე, გიორგი კეკელიძე, ზურაბ კიკნაძე, ვასილ მაღლაფერიძე, ზვიად რატიანი, ჯიმშერ რეხვიაშვილი, ირაკლი სამსონაძე, გულსუნდა სიხარულიძე, ბაკურ სულაკაური, ირმა ტაველიძე, ქეთი ქანთარია, პაატა შამუგია, ზაზა ჭილაძე.

არილი - დასასვენებელი სიწმინდეთა
სულხან-საბა

არილი - მზის შუქი, რამეზე დამდგარი
ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი

არილი - თანამედროვე ქართული ლიტერატურის მარილი
ხალხური

ელექტრონული ფოსტა: info@arilimag.ge
ვებგვერდი: arilimag.ge

გამოდის 1993 წლიდან

© ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების გამოყენება "არილის" რედაქციის ნებართვის გარეშე აკრძალულია

ჟურნალი გამოდის
საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ესქილე

სპარსელები

ძვ.წ. 472წ.

ძველი ბერძნულიდან თარგმნა და წინასიტყვაობა დაურთო ლევან ბერძენიშვილმა



როგორც თითქმის ყველა ხელნაწერში გადარჩენილი დიდასკალიებიდან ჩანს, „სპარსელები“ დაიდგა ძვ.წ. 472 წ. ტეტრალოგიის შემადგენლობაში, რომელშიც ასევე შედიოდა ტრაგედიები: „ფინევსი“, „ბლავკოსი“ (იხ. ფრ. 38-46) და სატირული დრამა „პრომეთევსი - ცეცხლისწამკიდებელი“ (ფრ. 37, 47-51). ტეტრალოგიამ პირველი ადგილი დაიკავა ტრაგიკოს პოეტთა შეჯიბრებაში. მეცნიერებაში მრავალგზის სცადეს, დაედგინათ ტეტრალოგიაში შემავალ ტრაგედიებს შორის რამე აზრობრივი კავშირი, მაგრამ ამას შედეგი არ მოჰყოლია. როგორც ჩანს, 472 წ. ესქილემ ერთ ტეტრალოგიაში გააერთიანა ოთხი დამოუკიდებელი ნაწარმოები - ეს მის პრაქტიკაში უაღრესად იშვიათი შემთხვევაა.

„სპარსელების“ მეორე თავისებურება ისაა, რომ მას საფუძვლად უდევს არა მითი, არამედ ისტორიული ამბავი (მართალია, საკმარისად მითოლოგიზებული) - საბერძნეთის ფლოტის გამარჯვება სპარსელებზე სალამისთან ძვ.წ. 480 წ. თემის შერჩევაში ესქილეს წინამორბედი ჰყავდა ფრინიქეს სახით, რომელმაც 476 წ. დადგა ტრაგედია „ფინიკიელი ქალები“; ტრაგედიას სახელი მისცა ფინიკიელ ქალთა გუნდმა, რომელიც სწორედ სალამისთან დაღუპულ თავიანთ ქმრებს დასტიროდა.

ცნობილია, რომ ფრინიქეს ჩვენამდე მოუღწეველ ტრაგედიას იწყებდა საჭურისი, რაც წინ უძღოდა სამეფო მრჩევლების სხდომას: „აი, სპარსელთაგან, რომლებიც შორეულ ლაშქრობაში წავიდნენ“... ამავე საჭურისისგან მაყურებელი იგებდა სპარსელთა დამარცხების ამბავს, რომელსაც მოჰყვებოდა, როგორც ჩანს, ფინიკიელ ქალთა ხანგრძლივი გოდება. აქედან ცხადი ხდება, რომ „სპარსელების“ ის ნაწილი, რომელიც წინ უძღვის მაცნეს გამოჩენას და გაჯერებულია გუნდისა და ატოსას მშფოთვარე წინათგრძნობით, ისევე როგორც დარიოსის აჩრდილის გამოძახება და მონოლოგები ესქილემ შექმნა და ფრინიქეს თავისებური სამგლოვიარო კანტატა მსოფლიო ლიტერატურის შედევრად, ღრმა მსოფლმხედველობრივი პრობლემატიკით აღსავსე ტრაგედიად აქცია.

ტრაგედიაში გატარებული აზრი თავისუფალი ბერძნული სამყაროს უპირატესობის შესახებ ბარბაროსულ აღმოსავლეთთან შედარებით, სადაც ყველანი თვითმპყრობელი მეფის ქვეშევრდომნი არიან, იმდენად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა მთელი საბერძნეთისთვის, რომ „სპარსელების“ ათენში დადგმის შემდეგ ეს ტრაგედია ესქილეს მონაწილეობით სირაკუზშიც დაიდგა. სირაკუზის ფლოტმა ჰიმერესთან კართაგენელთა საზღვაო არმადა დაამარცხა თითქმის იმავე დღს, როდესაც ათენელებმა სალამისთან მიაღწიეს ისტორიულ გამარჯვებას და ორივე ეს გამარჯვება ბერძნების მიერ აღიქმებოდა, როგორც ელადის საბოლოო განთავისუფლება აზიური დესპოტიზმის საფრთხისაგან.

არისტოფანეს „ბაყაყების“ (სტრ. 1026-1029) მიხედვით, „სპარსელები“ ესქილეს სიკვდილის შემდეგაც იდგმებოდა ძვ.წ. V საუკუნის ბოლოს.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

მოქმედნი პირნი

ბერიკაცთა გუნდი

ატოსა, დარიოსის ქვრივი და ქსერქსესის დედა

მაცნე

დარიოსის აჩრდილი

ქსერქსესი, სპარსეთის მეფე, დარიოსის ძე

მოქმედება ხდება სუსაში, სპარსეთის მეფის სასახლის წინ. ჩანს დარიოსის საფლავი სპარსეთის დედაქალაქში სალამისის ბრძოლიდან გარკვეული დროის შემდეგ.

პროლოგოსი

შემოდის სპარსელ ბერიკაცთა გუნდი.

გუნდი

სპარსელები საბერძნეთის მიწაზე წავიდნენ, ჩვენ კი, რომელთაც ერთგულთა საბჭოს გვიწოდებენ, ჩვენ ვიცავთ მდიდარ და ოქრომრავალ სავანეს; ჩვენ, ასაკის გამო, მეფე ქსერქსესმა, დარიოსის შობილმა[1], აგვირჩია ქვეყნის მეთვალყურედ. მეფისა და ოქრომრავალი ლაშქრის დაბრუნებაზე [10] სული მეტისმეტადშფოთავს და უბედურებას მოელის. რადგან აზიელთა მთელი ძალა წავიდა, ახალგაზრდა მეფეს ჩუმად კიცხავენ; არც მაცნე, არც ცხენოსანი არ უახლოვდება სპარსელთა ქალაქს; სუსა და აგბატანა[2], კისიის[3] ძველი მხარე დატოვეს და წავიდნენ: ზოგი ცხენით, ზოგი გემით, ზოგი ქვეითად [20] და ომის საბრძოლო მწყობრი შექმნეს. ისეთები, როგორებიცაა ამისტრესი[4] და არტაფრენესი და მეგაბატესი და ასტასპესი, სპარსელთა მეთაურები, თავად მეფეები და დიდი მეფის ქვეშევრდომები, წინ მიიწევდნენ, უზარმაზარი ლაშქრის მხედართმთავრები, საუკეთესო მშვილდოსნები და ცხენოსნები, სანახავად საშიში, ბრძოლაში სასტიკნი, სულის სიმტკიცით მამაცნი. არტემბარესი, - ეტლიდან მეომარი [30] და მასისტრესი, მშვილდოსნობის ოსტატი იმაიოსი, ფარანდაკესი და ცხენების გამაქროლებელი მეეტლე სოსთანესი. სხვები მძლავრმა და ნაყოფიერმა ნილოსმა[5] გამოგზავნა: სუსისკანესი, ეგვიპტელი პეგასტაგონი, წმინდა მემფისის[6] მმართველი დიდი არსამესი, უძველესი თებეს[7] მმართველი არიომარდოსი, ჭაობის მცხოვრები მენიჩბეები, [40] ძლიერები და უთვალავი სიმრავლის. მათ მიჰყვებოდა განცხრომაში მცხოვრები ლიდიელების სიმრავლე, რომელთაც მორჩილებაში ჰყავთ მატერიკის ყველა ხალხი[8]; მათ მიუძღოდნენ მეტროგათესი და მამაცი არქტევსი, მეფე-მეთაურები; და ოქრომრავალმა სარდისმა ეტლებით მიმავალი მრავალი გაგზავნა ომში, ორხელნიანი და სამხელნიანი[9] ეტლების მწკრივი, სანახავად საშინელი. წმინდა ტმოლოსის[10] მოსახლეობაც იმუქრება, [50] რომ საბერძნეთს მონობის უღელს დაადგამს, მარდონი, თარიბისი, შუბის დაუოკებელი მტყორცნელები და მისიელები, ხელშუბის ოსტატები. ოქრომრავალმა ბაბილონმა[11] მრავალფეროვანი წყება გაგზავნა, გრძელი რიგი გემებით მეზღვაურებისა და მშვილდოსნობის ოსტატობას მინდობილებისა. ხმლის მატარებელი ტომი მთელი აზიიდან გაჰყვა საზარელ მსვლელობაში მეფეს. ასეთი ვაჟკაცებისგან შემდგარი სპარსეთის მიწის ყვავილი [60] წავიდა, ამათზე მთელი აზიის მიწა, მათი მძაფრი სიყვარულით გამომზრდელი კვნესის, მშობლები და ცოლები დღეებს ითვლიან, დრო კი იწელება და ისინი ცახცახებენ.

გუნდი
სტროფი I

გადავიდა უკვე მეფის ქალაქთმმუსვრელი ლაშქარი მეორე ნაპირის მეზობელ მიწაზე, სელის თოკით შეკრული ხიდით ათამასის[12] ასული ჰელეს სახელობის სრუტეზე, მჭიდროდ ნაგები ხიდით, რომელიც ზღვის ყელს უღლად დაადგეს.[13]

---

1. სტრ. 6. *დარიოსის შობილმა* - ქსერქსესი ტახტზე ავიდა დარიოსის გარდაცვალების შემდეგ, ძვ.წ, 486 წ.
2. სტრ. 16 და *შმდგ.* აგბატანა - იგივე ეკბატანა, ძვ. სპარსული ქალაქი სუსის ჩრდილოეთით.
3. სტრ. 17 *კისია* - მთიანი ოლქი სუსასა და აგბატანას შორის.
4. სტრ. 21-41. ქსერქსესის მხედართმთავრებს შორის, რომლებიც აქ არიან ჩამოთვლილი და რომელთა სახელები ათენელი მაყურებლებისთვის ეგზოტიკურად ჟღერდა, რამდენიმე ისტორიულადაა დადასტურებული და სხვა წყაროებიდან ცნობილი, მაგალითად: არტაფრენესი, არტემბარესი, მასისტრესი, არიომარდოსი; სხვა სახელები შეიძლება გაგონილი ჰქონდა ესქილეს, შეიძლება, თვითონაც მოიფიქრა; მთავარი მისი თანამედროვეებისთვის იყო საერთო კოლორიტი და არა ცალკეული სახელები.
5. სტრ. 34. *ნაყოფიერმა ნილოსმა* - ეგვიპტეზე სპარსელები ძვ.წ. 525 წ. გაბატონდნენ.
6. სტრ. 36. *წმინდა მემფისი* - ძვ. ეგვიპტის ქალაქი, ზედა და ქვედა ეგვიპტის საზღვარზე, ნილოსის დასავლეთ სანაპირზე.
7. სტრ. 38. *უძველესი თებე* - იგულისხმება ეგვიპტის თებე, ე.წ. ასკარიბჭიანი თებე", მდ. ნილოსის შუაწელში.
8. სტრ. 42. *მორჩილებაში ჰყავთ მატერიკის ყველა ხალხი* - ფარული მინიშნებაა ათენელთა მონათესავე იონიელებზე, რომლებიც იძულებით მონაწილეობდნენ საბერძნეთის წინააღმდეგ ლაშქრობაში. სპარსელებმა ლიდიელები დაიპყრეს ძვ.წ. 546 წ., როდესაც კიროსმა მათი მეფე, აურაცხელი სიმდიდრით სახელგანთქმული კროისოსი დაამარცხა. ლიდია უაღრესად მდიდარი ქვეყანა იყო, ამიტომ უწოდებს მათ ესქილე განცხრომაში მცხოვრებს".
9. სტრ. 48. *ორხელნიანი* და *სამხელნიანი* - ოთხცხენიანი და ექვსცხენიანი ეტლები.
10. სტრ. 49. *ტმოლოსი* - მთაა ლიდიაში.
11. სტრ. 52. *მისია* - მცირე აზიის მთიანი მხარე; ბაბილონი - ქალაქი მდ. ევფრატის ნაპირზე, ახალი ბაბილონის სამეფოს დედაქალაქი, რომელიც სპარსელებმა დაიპყრეს 538 წ. და ამავე სახელის სატრაპიის დედაქალაქად აქციეს.
12. სტრ. 70. ათამასი - ბეოტიის ქალაქ ორქომენოსის მეფე. მისმა მეორე ცოლმა გერების, ფრიქსოსისა და ჰელეს, დღუპვა განიზრახა. ბავშვებს საშველად მოევლინა ოქროსბეწვიანი ცხვარი, რომელმაც ისინი კოლხეთისკენ გადააფრინა. ზღვის თავზე ჰელემ თავი ვერ შეიკავა და წყალში ჩავარდა. ამ ადგილს ჰელესპონტი, ანუ ჰელეს ზღვა ეწოდა (დღევანდელი დარდანელის სრუტე).
13. სტრ. 72. *ზღვის ყელს უღლად დაადგეს* - თუ როგორ ააგო ქსერქსესმა ხიდი ჰელესპონტზე, მოთხრობილი აქვს ჰეროდოტოსს VII, 36.

ანტისტროფი I

ხალხმრავალი აზიის დაუოკებელი მბრძანებელი მიუძღვის გასაოცარ ლაშქარს მთელი სამყაროს წინააღმდეგ ორ, ქვეით და საზღვაო, ნაწილად დაყოფილს, ენდობა რა თავის მტკიცე და მკაცრ მხედართმთავრებს; თავად [80] ღვთისდარი ვაჟკაცი მეთაურობს ოქროშობილ მოდგმას.[14]

სტროფი II

სისხლიანი დრაკონის მუქი ლურჯი გამოხედვით, მრავალხელნიანი და მრავალმეზღვაურიანი სირიული ეტლით მიჰყვება, მიდის შუბებით სახელგანთქმული მტრის წინააღმდეგ მშვილდოსნების იმედად.

ანტისტროფი II

არ არსებობს მომზადებული კაცი, რომელიც დაუპირისპირდებოდა ადამიანთა უზარმაზარ ნაკადს, და მძლავრი ჯებირით დააკავებდა [90] ზღვის დაუმარცხებელ ტალღას; რადგან დაუძლეველია სპარსელთა ლაშქარი, ხალხი კი - მამაცი.

სტროფი III

რადგან ღმერთების ნებით და მოირას მიერ ასეა დადგენილი ძველი დროიდან, ებრძანა სპარსელებს, მისდიონ გალავანთა მმსხვრეველ ომებს, იბრძოლონ ეტლებით და იერიშით აიღონ ქალაქები.

ანტისტროფი III

[100] ისწავლეს ვრცელი თეთრი ქაფით დაფარული, ქარით გამძვინვარებული ზღვის ყურება, გულდასმით დაწნული ბაგირების საშუალებით ხალხის გადასაყვანი საშუალებების აგება.

სტროფი IV

ღმერთის ცბიერ ვერაგობას რომელი მოკვდავი კაცი გადაურჩება? მსუბუქი ფეხით ვინ გადახტება [110] და გაექცევა მახეს?

ანტისტროფი IV

რადგან ჯერ მეგობრულად ეფერება და მოკვდავს ბადეში ახვევს უბედურება, იქიდან კი მისთვის უკვე შეუძლებელია უვნებლად თავის დაღწევა.

სტროფი V

ასე გული შავი ფიქრით, შიშით მეკუმშება სპარსული ჯარზე, ვაი, ქვეყანამ არ გაიგოს, რომ დიდი ქალაქი სუსა გაუკაცრიელდა.

ანტისტროფი V

[120] და კისიის ქალაქი საპასუხოდ მღერის, ვაი, ქალებით სავსე გუნდი კივის, თხელი ნაჭრის კაბებს გლეჯენ.

სტროფი VI

მთელი ცხენოსანი და ქვეითი ხალხი ფუტკრის გუნდივით გაჰყვა ლაშქრის მეთაურს, [130] ორივე მხარეს შეერთებული, ორ კონცხს შორის სრუტეზე გადებული ხიდი გაიარეს.

ანტისტროფი VI

სარეცლები ვაჟკაცთა მონატრებით ივსება ცრემლებით; ჩუმად ტირიან სპარსი ქალები, საყვარელი ქმრები ენატრებათ; შუბები აისხეს, ომში წავიდნენ და უღელში მარტო დატოვეს.

პირველი ეპისოდიონი

კორიფაიოსი

[140] მოდით, სპარსელებო, დავსხდეთ ძველ სასახლეში, გონივრულად და ღრმად გააზრებულად ვიმსჯელოთ, ამის საჭიროება მოვიდა; როგორაა მეფე ქსერქსესი, დარიოსის შობილი, ჩვენი მოდგმის მამამთავრის? რა მოხდა, მშვილდის ლარმა გაიმარჯვა თუ წვერმახი შუბისპირის ძალამ აჯობა?[15]

ეტლით შემოდის მდიდრულად ჩაცმული ატოსა მრავალრიცხოვანი ამალით.

[150] აი, ღმერთების თვალების თანასწორი სინათლე მოდის, მეფის დედა, ჩემი დედოფალი. მუხლს ვიყრი მის წინაშე. საჭიროა მისასალმებელი სიტყვით მივმართოთ მას ყველამ.

მოხუცები თაყვანს სცემენ და წამოდგებიან. კორიფაიოსი აგრძელებს

ო, დაბალსარტყლიან სპარსელთა უდიდესო დედოფალო, ქსერქსესის პატივსაცემო დედა, გაიხარე, დარიოსის მეუღლევ! სპარსელთა ღმერთის მეუღლევ, ღმერთისვე მშობელო დედა, თუკი ძველმა დემონმა ახლა არ უმტყუნა ჯარს.

ატოსა

ამის გამო დავტოვე ოქროთი გამართული სასახლე, [160] დარიოსისა და ჩემი საერთო საძინებელი და მოვედი. მეც გულს მიკუმშავს ფიქრი, თქვენ გეუბნებით, მეგობრებო, უსაფრთხოდ ვერ ვარ. მეშინია, რომ დიდი სიმდიდრე, რომელიც დარიოსმა რომელიღაც ღმერთის შეწევნით მოიპოვა, მტვრად არ იქცეს და მიწას ბუღად არ აუვიდეს. ამიტომ ორმაგი საზრუნავი მაქვს გონებაში - დიდი სიმდიდრე მისი მცველი ხალხის გარეშე ვერ ინარჩუნებს საპატიო ღირებულებას, მაგრამ სიმდიდრის გარეშეც ძალა, როგორიც უნდა იყოს, ვერ გაიბრწყინებს ვერასოდეს. ჩვენი სიმდიდრე სრულიად საკმარისია, მე თვალის გამო ვშიშობ, სახლის თვალად კი პატრონის შინ ყოფნას მივიჩნევ. [170] შესაბამისად, რაკი ასეა საქმე, თქვენი რჩევა მჭირდება, სპარსელებო, ჩემო ასაკოვანო და საიმედო მსახურებო. რადგან მთელი ჩემი იმედი ახლა თქვენს რჩევაზეა დამოკიდებული.

გუნდი

კარგად იცოდე, ამ მიწის დედოფალო, ორგზის თქმა არ გჭირდება, რომ სიტყვითა და საქმით, რაც შეგვიძლია, გავაკეთოთ. კეთილგანწყობილები ვართ შენ მიმართ ჩვენ, ვისაც მრჩევლებად მიგვიჩნევ.

---

14. სტრ. 80. *ოქროშობილ მოდგმას* - გმირი პერსევსი, რომელიც ქსერქსესის წინაპრად მიიჩნევა და რომელმაც სტრ. 146-ის მიხედვით, სახელი მისცა სპარსელთა ტომს, იყო ძე ზევსისა, რომელიც დანაეს ოქროს წვიმის სახით მოევლინა.
15. სტრ. 147. *რა მოხდა, მშვილდის ლარმა გაიმარჯვა თუ წვერმახი შუბისპირის ძალამ აჯობა?* - მშვილდი სპარსეთის ლაშქრის სიმბოლოა, ხოლო შუბი - ათენელებისა.

ატოსა

ღამით სიზმრები არ მასვენებს, რაც ჩემმა შვილმა ლაშქარი შეკრიბა და იონიელების მიწის ასაოხრებლად გაეშურა,[16] მაგრამ ასეთი ცხადი, [180] როგორიც ამაღამ ვნახე, ჯერ არ მინახავს; გეტყვი: სიზმარში თვალწინ წარმომიდგა ორი კარგად ჩაცმული ქალი, ერთი სპარსული სამოსით მორთული, ხოლო მეორე - დორიულით.[17] სიდიდით ახლანდელებს ბევრად აღემატებოდნენ, სილამაზით იყვნენ უნაკლონი, დები იყვნენ ერთი მოდგმისა. სამშობლოდ კი ერთს წილად ერგუნა საბერძნეთის მიწა, ხოლო მეორეს - ბარბაროსული. მეზმანა, რომ დავინახე, როგორ ჩამოვარდა მათ შორის განხეთქილება. ჩემმა შვილმა ეს ნახა და [190] სცადა, შეეკავებინა და დაემშვიდებინა ისინი. ორივე უღელში შეაბა და კისერზე აპეურები მოუჭირა. ერთი ამაყად იდგა ასეთ მდგომარეობაში და პირი სადავეს დაუმორჩილა, მეორემ კი გაიბრძოლა, ხელებით ეტლის აღკაზმულობა დაგლიჯა, სადავეები და ლაგამი ძალით მოიცილა და უღელი დალეწა. დაეცა ჩემი შვილი და იქვე დაუდგა სიბრალულით აღსავსე მამამისი, დარიოსი; როდესაც იგი დაინახა ქსერქსესმა, ტანსაცმელი ტანზე შემოიხია. [200] აი, გეუბნები, ეს ვნახე ღამით. შემდეგ ავდექი და ხელები კეთილმედინი წყაროს წყლით დავიბანე, მსხვერპლშემწირველი ხელით მივუახლოვდი საკურთხეველს, უბედურების ამარიდებელი დემონებისთვის მსურდა, შემეწირა კვერი, როგორც სათანადო წესია. ვხედავ, მოფრინდა არწივი ფოიბოსის სამსხვერპლოსთან, შიშისგან ენაჩავარდნილი ვიდექი, მეგობრებო. შემდეგ კი შევარდენი დავინახე მთელი სისწრაფით, გაშლილი ფრთებითა და ბრჭყალებით თავში მისწვდა, ის კი შეშინდა, ჩაიყუჟა [210] და დანებდა. მე ამის ნახვამ თავზარი დამცა, თქვენ კი - მოსმენამ. დარწმუნებული იყავით, ჩემი შვილი, თუ წარმატებას მიაღწევს, სახელგანთქმული კაცი გახდება, ხოლო თუ ხელი მოეცარა, პასუხს არ აგებს ქვეყანასთან; თუკი გადარჩა, ისევ ისე იმეფებს მიწაზე.

გუნდი

არ გვსურს, დედა, მეტისმეტად შეშინება შენი სიტყვებით და არც გამხნევება. ღმერთებთან მიდი ლოცვით, თუ რამე ცუდს ხედავ, სთხოვე მათ, ბოროტება მოიგერიონ, რომ სიკეთე დადგეს ბოლოს შენთვის და შენი შვილებისთვის, ქალაქისა და ყველა ძვირფასისათვის. შემდეგ საჭიროა, რომ საღვრელი [220] დაუღვარო დედამიწასა და დაღუპულებს; სთხოვე ეს შენს მეუღლე დარიოსს, რომელიც, როგორც თქვი, ღამით ნახე, რომ გამოგიგზავნოს შენ და შენს შვილს სიკეთე მიწის ქვეშეთიდან დღის სინათლეზე, საპირისპირო კი უკანვე ჩამალოს მიწის წყვდიადში. ამ რჩევას გაძლევ, საღ აზრზე დაყრდნობით ვმისნობ რა, კეთილგანწყობილი. ყველაფერი კარგად იქნება შენთვის, ასე ვადგენთ ჩვენ.

ატოსა

შენ პირველმა განმარტე ჩემი სიზმრის მნიშვნელობა კეთილი ნებით ჩემი შვილისა და სახლის მიმართ. დაე ყველაფერი ბედნიერად დასრულდეს! ღმერთებსა და მიწის ქვეშ მყოფ ძვირფასებს მსხვერპლს შევწირავ, როგორც შენ მირჩევ, [230] როგორც კი სასახლეში დავბრუნდები. ახლა კი მინდა ვიცოდე, მეგობრებო, სად მდებარეობს ათენი.

გუნდი

შორს დასავლეთით, სადაც მეუფე ჰელიოსი ჩაესვენება.

ატოსა

და მაინც მიელტვის ჩემი ძე ამ ქალაქის დაუფლებას?

გუნდი

მთელი საბერძნეთი მეფის სამფლობელო გახდებოდა.

ატოსა

და მათ ჰყავთ ხალხმრავალი ლაშქარი?

გუნდი

ისეთი ლაშქარი, რომელმაც მიდიელებს ბევრი სიავე გაუკეთა.[18]

ატოსა

სხვა რა აქვთ მათ? სიმდიდრე მოეპოვებათ სახლებში?

გუნდი

ვერცხლის საბადო აქვთ, მიწის საგანძური.[19]

ატოსა

მშვილდის მოზიდვას, ისრის სროლას მიჩვეული აქვთ ხელი?

გუნდი

[240] არანაირად; შუბი აქვთ ხელჩართული ბრძოლისთვის და ფარებს ატარებენ აღჭურვილობაში.

ატოსა

ვინ არის მათი მწყემსი და ვინ მბრძანებლობს ლაშქარს?

გუნდი

არც ერთი კაცის მონებად და ქვეშევრდომებად არ ითვლებიან.[20]

ატოსა

მაშ, როგორ იგერიებს მოსულ მტრებს ხალხი?

---

16. სტრ. 177. *იონიელების მიწის ასაოხრებლად გაეშურა* - ძვ.წ. V საუკუნეში იონიად მოიხსენიებოდა მცირე აზიის დასავლეთი სანაპირო, რომელიც დაფარული იყო ბერძნული ახალშენების ქსელით. ამავე დროს, ათენელებიც თავს იონიელებად მიიჩნევდნენ და თავიანთ წინაპრად ლეგენდარულ იონს მოიხსენიებდნენ.
17. სტრ. 183. *დორიული* - დორიელები, ისევე როგორც იონიელები, ძველესი ბერძნული ტომი იყო. ისტორიულ ეპოქაში დორიულ დიალექტზე პელოპონესოსში ლაპარაკობდნენ, მაგრამ აქ ესქილე „დორიულში“ საერთო ბერძნულს გულისხმობს.
18. სტრ. 236. *ისეთი ლაშქარი, რომელმაც მიდიელებს ბევრი სიავე გაუკეთა* - მიდიელები თავდაპირველად იყვნენ კასპიის ზღვის სამხრეთით მცხოვრები ტომები. მათმა სამეფომ განსაკუთრებული მნიშვნელობა ძვ.წ. 550 წ. შეიძინა, როდესაც კიროსმა დაიპყრო და სპარსეთს შემოუერთა. იმ დროიდან მოყოლებული „მიდიელი“ ხშირად „სპარსს“ აღნიშნავს. ბევრ სიავეში მარათონის ბრძოლა იგულისხმება.
19. სტრ. 238. *ვერცხლის საბადო* - ვერცხლის საბადო ლავრიონში, ატიკის სამხრეთში.
20. სტრ. 242. *არც ერთი კაცის მონებად და ქვეშევრდომებად არ ითვლებიან* - ათენის დემოკრატიის იდეალიზებული სურათი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გუნდი
იმგვარად, რომ დარიოსის მრავალრიცხოვანი და მამაცი ლაშქარი გაანადგურეს.

ატოსა
საშინელებას ამბობ, რა უნდა იფიქრონ წასულთა მშობლებმა?!

გუნდი
მაგრამ, ასე მგონია, მალე გაიგებ ყველაფრის შესახებ უტყუარ სიტყვას. რადგან აქეთ მოდის კაცი, რომელიც უეჭველად სპარსია, მას მოაქვს ცხადი ამბავი, კარგი იქნება თუ ცუდი, მოსასმენად.

შემოდის მაცნე.

მაცნე
მთელი აზიის მიწის ქალაქებო, [250] სპარსეთის სამეფო და სიმდიდრის უხვო ნავსაყუდელო, ერთი დარტყმით განადგურდა მთელი თქვენი კეთილდღეობა, სპარსელთა ყვავილი ბრძოლაში დაეცა და დაიღუპა. ვაიმე, საზიზღარი საქმეა, ცუდი ამბის მოტანა პირველს რომ გიხდება, და მაინც, უნდა ვთქვა მთელი უბედურება, სპარსელებო! ბარბაროსების მთელი ლაშქარი დაიღუპა.

გუნდი
სტროფი I
სავალალო, სავალალო უბედურებაა, უცნაური და სასტიკი. ვაიმე! იგლოვეთ, სპარსელებო, ეს რა საშინელება გაიგეთ!

მაცნე
[260] დიახ, იქ ყველაფერი დამთავრდა. თავადაც არ მქონდა იმედი, რომ ამ დღეს მოვესწრებოდი.

გუნდი
ანტისტროფი I
მეტისმეტად გრძელი ცხოვრება მოგვეცა მოხუცებს, რომ ეს გაუგონარი უბედურების ამბავი შეგვეტყო!

მაცნე
მე იქ ვიყავი და სხვისი სიტყვები კი არ მსმენია, სპარსელებო, შემიძლია მოგიყვეთ ზუსტად, რანაირი უბედურება დაგვატყდა თავს.

გუნდი
სტროფი II
ვაი, მრავალნაირი შერეული ლაშქარი [270] აზიის მიწისა საბერძნეთის მტრული მიწისკენ ამაოდ წავიდა.

მაცნე
ავი ბედისწერით დალუპული ცხედრებით სავსეა სალამისის ნაპირები და მთელი მეზობელი მხარე.

გუნდი
ანტისტროფი II
ვაი, შენ ამბობ, რომ ჩვენი საყვარელი ხალხის ზღვაზე გარეკილი, წყლით გაჟღენთილი და გალუმპული ცხედრები რიფებს ეხეთქებიან.

მაცნე
არაფერში გამოგვადგა მშვილდები, მთელი ლაშქარი დაიღუპა, როდესაც გემი გემს შეასკდა.

გუნდი
სტროფი III
[280] იგლოვეთ, საბრალო სპარსელებს მწუხარე და ვაებით სავსე კივილი შეაგებეთ, რადგან ყველა უსასტიკესად დაიღუპა, ვაი განადგურებულ ლაშქარს!

მაცნე
ო ყველაზე უფრო საძულველო მოსასმენო სალამისის სახელო! ვაი, როგორ ვკვნესი, ათენს რომ ვიხსენებ!

გუნდი
ანტისტროფი III
საშინელია ათენი მტრებისთვის. ახლა უნდა გვახსოვდეს, რომ ბევრ სპარსელ ქალს წაართვა შვილი და ქმარი, ამაოდ დაღუპული.

ატოსა
[290] ხმას ვერ ვიღებ რახანია, ამ უბედურებით თავზარდაცემული. იმდენად დიდია ეს უბედურება, რომ არც ლაპარაკი და არც კითხვის დასმა შემიძლია; და მაინც, მოკვდავებმა უნდა გადაიტანონ ღმერთებისგან მოვლენილი განსაცდელი; აიყვანე თავი ხელში და თუნდაც კვნესით, ყველაფერს მოგვიყევი უბედურებაზე: ვინ არ მოკვდა, ვინ უნდა დავიტიროთ ბელადთაგან, მთავარსარდალთაგან ვინ მოკვდა და გააცარიელა ადგილი?

მაცნე
თვითონ ქსერქსესი ცოცხალია და სინათლეს უჭვრეტს.

ატოსა
[300] ამ სიტყვით დიდი სინათლე და ნათელი დღე მოუტანე ჩემს სახლს ღამის წყვდიადის შემდეგ.

მაცნე
არტემბარესი, ათი ათასი მხედრის წინამძღოლი, სილენიის სასტიკ ნაპირებს ეხეთქება.[21]
ათასისთავი დადაკესი, შუბით განგმირული, მსუბუქი ნახტომით გადმოვარდა გემიდან. ტენაგონი, საუკეთესო და ნამდვილი ბაქტრიელი[22] წარმოშობით, ახლა აიასის ზღვის ტალღებით ნახეთქებ კუნძულზეა.[23]
ლილაიოსი, არსამესი და მესამე არგესტესი, - ესენი მტრედების მკვებავი კუნძულის ირგვლივ [310] ტრიალებენ კლდეებზე დალეწილები. ეგვიპტის ნილოსის წყაროებთან მცხოვრები არქტევსი, ადეუესი და მძლავრფარიანი მესამე ფარნუქოსი, - ესენი ერთ ხომალდზე დაიღუპნენ. ქრისელი მატალოსი, ათი ათასი მხედრის მეთაური, მოკვდა; ძალიან ხშირი, გაწეწილი წვერი სისხლით მოეთხვარა და მისი ფერი მეწამულად შეეცვალა. ჯადოქარი არაბოსი და ბაქტრიელი არტაბესი, შავი ცხენების ოცდაათათასიანი მხედრობის მეთაური, კლდოვანი მიწის მკვიდრი, იქ დაიღუპნენ. [320] ამისტრისი და მძიმე შუბოსანი ამფისტრევსი, ვაჟკაცი არიომარდოსი, რომელსაც გლოვობენ სარდეში, სეისამეს მისიელი, თარიბისი, ხუთგზის ორმოცდაათი გემის ამირბარი, ლირნეოსელი მოდგმით, ლამაზი კაცი, წევს მკვდარი, უბედურ

21. სტრ. 302. *სილენიის სასტიკ ნაპირებს ეხეთქება* - კონცხი სალამისის სანაპიროზე.
22. სტრ. 306. *ბაქტრიელი; ბაქტრია* - სპარსეთის უკიდურესი აღმოსავლეთი მხარე, ესაზღვრება ინდოეთს.
23. სტრ. 307. *აიასის... კუნძულზე. აიასის კუნძული* - კუნძული სალამისი, რომლის მფარველადაც ტროის ომის ერთ-ერთი უდიდესი გმირი, აიას ტელამონის ძე ითვლებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეზე გაჩენილი. სიენესისიც, პირველი ვაჟკაცი, კილიკიელთა მხედართმთავარი, რომელიც, ერთი კაციც კი, უამრავ მტერს აფრთხობდა, სახელოვნად დაიღუპა. ამ მეთაურებზე მოგახსენეთ მე. [330] უამრავი დანაკარგი გაქვს, მე კი რამდენიმე გამცნეთ.

ატოსა

ვაი! რა საშინელი უბედურების ამბავი მესმის! სირცხვილი სპარსელებს და გლოვის ქვითინი! მაგრამ დაუბრუნდი თხრობას და გარკვევით მითხარი, როგორი იყო ბერძნების ხომალდების სიმრავლე, რომ მათ გაბედეს სპარსელების ხომალდებთან საზღვაო ბრძოლა?

მაცნე

სიმრავლეს რაც შეეხება, დარწმუნებული იყავი, ხომალდებით ბარბაროსებს უნდა გაგვემარჯვა. რადგან ბერძნებს სულ ჰყავდათ სამასი [340] გემი და კიდევ ათი რჩეული ცალკე.[24]

ქსერქსესს კი, ეს კარგად ვიცი, ათასი ჰყავდა და ზესწრაფი იყო ორასი და კიდევ შვიდი. ესაა რიცხვები. ხომ არ გგონია, რომ ჩვენ ბრძოლით დავთმეთ რამე? არა, ეს რომელიღაც ღმერთმა გაგვინადგურა ლაშქარი, ბედის სასწორი არათანაბრად აწონა. ღმერთებმა გადაარჩინეს ქალღმერთ პალასის ქალაქი.

ატოსა

მაშ, ათენის ქალაქი ისევ ხელუხლებელია?

მაცნე

სანამ ხალხი ცოცხალია, მანამ მისი გალავანი ურყევია.

ატოსა

[350] მითხარი, როგორი იყო ხომალდების ბრძოლის დასაწყისი. ვინ წამოიწყო ბრძოლა, ბერძნებმა თუ ჩემმა შვილმა, გემების სიმრავლით გაამაყებულმა?

მაცნე

დაიწყო ყველა ეს უბედურება, ჩემო დედოფალო, შურისმაძიებელმა სულმა ან ბოროტმა დემონმა. ბერძენი კაცი[25] ათენელთა ლაშქრიდან მოვიდა და უთხრა შენს ვაჟს, ქსერქსესს, რომ როგორც კი შავი ღამის წყვდიადი დადგებოდა, ბერძნები აღარ დარჩებოდნენ, არამედ დაიფანტებოდნენ ხომალდებით და აქეთ-იქით გაეშურებოდნენ, [360] საიდუმლო გაქცევით სიცოცხლე რომ შეენარჩუნებინათ. როგორც კი მოუსმინა, ვერ გამოიცნო ბერძენი კაცის ცბიერება და ვერც ღმერთების შური, ყველა ხომალდის მეთაურს უბრძანა, როგორც კი მზე შეწყვეტს მინის განათებას თავისი სხივებით, წყვდიადი დაეუფლება ცარგვალს, მოეწყოთ გემები სამ რიგად, რომ გაცურვის მსურველებისთვის ყველა გზა გადაეკეტათ, ხოლო დანარჩენი ხომალდებით აიასის კუნძულის ირგვლივ შეეკრათ წრე; ხოლო თუკი ბერძნები თავს დაანებებდნენ უბედურ ხვედრს, [370] ხომალდებისთვის რამე ფარული გასასვლელს თუ იპოვიდნენ, ყველა გემის მეთაური თავს დაკარგავდა. ეს ბრძანება გასცა თავის თავში დარწმუნებულმა, ჯერ არ იცოდა, რა განზრახვა ჰქონდათ ღმერთებს. მათაც არა უწესრიგოდ, არამედ მორჩილი გულით ვახშამი მოამზადეს, თითოეულმა მეზღვაურმა კი თავისი ნიჩბის ხელჩასაჭიდი დაამაგრა სანიჩბე ორკაპას; როდესაც მზის სინათლე ჩაქრა და ღამე დადგა, ყველა მენიჩბე და ყველა შეიარაღებული კაცი ავიდა გემზე. [380] მწყობრში ჩამდგარი გემები ერთმანეთს შეეხმიანნენ, გაცურეს, როგორც თითოეულს ჰქონდა ნაბრძანები, და მთელი ღამე ხომალდების მეთაურები ნიჩბებს ასმევინებდნენ ხომალდის ხალხს. ღამე ილეოდა, ბერძნების ლაშქარი კი არ ცდილობდა, გამძვრალიყო ფარული გასასვლელით. ხოლო როდესაც თეთრცხენებიანმა დღემ მთელი მიწა გაანათა, ჯერ ბერძნების რიგებში ყიჟინა გაისმა, როგორც საბრძოლო სიმღერა და მაშინვე [390] კუნძულის კლდეებმა ექოდ დააბრუნა საპასუხო ძახილი. თავზარი დაეცა ყველა ბარბაროსს, რომლებიც შეაცდინეს: გაქცევაზე კი არ მღეროდნენ თავის დიდებულ პეანს ბერძნები, არამედ ბრძოლაში მიემართებოდნენ დაუოკებელი სიმამაცით. საყვირის ხმა კი მათ საბრძოლოდ აღაგზნებდათ. იმავე წამს, ბრძანების თანახმად, ქაფიანი ნიჩბების თანაბარი მოსმით გაკვეთეს მარილიანი ტალღები; მალე კი ყველანი ცხადად გამოჩნდნენ. მარჯვენა ფრთა პირველი [400] მიდიოდა მწყობრად, მერე კი მთელი ფლოტი მიჰყვებოდა და მაშინვე ხმამაღალი ძახილი მოსწვდა ჩვენს სმენას: „მიდით, ბერძენთა შვილებო, გაათავისუფლეთ სამშობლო, გაათავისუფლეთ ბავშვები, ქალები, მამისეული ღმერთების ტაძრები და წინაპართა საფლავები, ახლა ყველაფერ ამისთვის ვიბრძვით.“ საპასუხოდ ჩვენი მხრიდან აღიძრა შერეული სპარსული სიტყვა, აღარ იყო დაყოვნების დრო. სპილენძით მოჭედილი ცხვირით გემი გემს დაეჯახა, ბერძნულმა გემმა შეტევა დაიწყო, [410] მთლად დალეწა ფინიკიური გემი. ერთმანეთს შეასკდა გემები. პირველ იერიშს გაუძლო სპარსულმა ფლოტმა. როგორც კი ვინრო სივრცეში მოხვდა ხომალდები, ერთმანეთის დახმარების ნაცვლად, ბრინჯაოს ცხვირებით ერთმანეთი დაეზიანა, ნიჩბები და მენიჩბეები მოსრეს. ბერძნულმა ხომალდებმა კი, გააზრებულად, ალყა შემოგვარტყეს, ხომალდები ამოყირავდნენ, ზღვაც აღარ ჩანდა, [420] ხომალდის ნამსხვრევებითა და მიცვალებულთა გვამებით იყო სავსე. ჩვენმა მკვდრებმა გაავსეს ნაპირები და კლდეები, უწესრიგოდ გაქცევას ცდილობდა ყველა გემი, რომელიც კი გადარჩა ბარბაროსთა ფლოტიდან. როგორც თინუსს ან რომელიმე თევზის ნადავლს ნიჩბების ნატეხებით, დამსხვრეული გემის ნაწილებით დასცხეს ბერძნებმა სპარსელებს. გლოვამ და კივილმა აავსო ღია ზღვა, სანამ შავი ღამის თვალმა არ დამალა სანახაობა. მთელ უბედურებას, ათი დღეც რომ ვყვებოდე, [430] ვერ მოგითხრობდით, ვერ შევძლებდი, აღმეწერა შენთვის. თუმცა, დარწმუნებული იყავი, რომ არასოდეს ერთ დღეში ამდენი ადამიანის სიმრავლე არ ამოწყვეტილა.

ატოსა

ვიმე, უბედურებათა ზღვამ დაამსხვრია სპარსელები და მთელი ბარბაროსების დიდი მოდგმა.

მაცნე

კარგად იცოდე, ჯერ ნახევარიც არ თქმულა უბედუ-

---

24. სტრ. 340. *ბერძნებს სულ ჰყავდათ სამასი გემი და კიდევ ათი რჩეული ცალკე* - ჰეროდოტოსის VIII, 48 მიხედვით, ბერძნებს 380 გემი ჰყავდათ.

25. სტრ. 355. *ბერძენი კაცი* - ჰეროდოტოსის VIII, 75 მიხედვით, ეს ყოფილა ვინმე სიკინოსი, თემისტოკლესის ბავშვების აღმზრდელი. რადგან ბერძენ მეთაურთა შორის არ იყო თანხმობა, გაემართათ თუ არა საზღვაო ბრძოლა სალამისთან, თემისტოკლესმა გადაწყვიტა, ისინი ფაქტის წინაშე დაეყენებინა და იძულებული გაეხადა, ერთად ემოქმედათ საერთო მტრის წინააღმდეგ. სწორედ ამ მიზნით მოახდინა მან ქსერქსესის პროვოცირება, რომ ალყა შემოერტყა ბერძნული ფლოტისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რების. ისეთი განსაცდელი დაგვატყდა თავს, რომ ორგზის უფრო მძიმე აღმოჩნდა სხვა გასაჭირზე.

ატოსა

ამაზე უარესი რაღა უნდა მოსვლოდათ?! მითხარი, რა განსაცდელზე ლაპარაკობ, ლაშქარს [440] რომ თავს დაატყდა, რომელმაც კიდევ უფრო გაზარდა უბედურების სიმძიმე?

მაცნე

ყველა სპარსელი, ვინც იყო საუკეთესო ასაკში და სულით უმამაცესი, კეთილშობილი წარმოშობის, ხელმწიფისათვის ყველაზე უფრო საიმედო მუდამ, სამარცხვინოდ დაიხოცა უსახელო სიკვდილით.

ატოსა

რა მესმის, უბედურს ბედმა რა დარტყმა მაგემა, მეგობრებო! რა ბედი ეწიათ, როგორ დაიღუპნენ?

მაცნე

არის ერთი კუნძული[26] სალამისის წინ მდებარე, პატარა, გემებისთვის ვერმისადგომი, მისი ზღვით განბანილი ნაპირები გუნდების მოყვარული პანის საყვარელი სავანეა. იქ გაგზავნა ქსერქსესმა ისინი, თავისი საუკეთესო ნაწილები, [450] თუკი ბერძნების დამსხვრეული ხომალდებიდან ხალხი ამ კუნძულს მიმართავდა, მათთვის ამის საშუალება არ მიეცათ და თავისიანები კი კუნძულზე აეყვანათ. ვერ განჭვრიტა კარგად ხელმწიფემ; როდესაც რომელიღაც ღმერთმა ბერძნებს საზღვაო ომში დიდება მოუპოვა, იმავე დღეს ბრინჯაოში ჩასმული სხეულებით გადავიდნენ გემებიდან და ალყა შემოარტყეს მთელ კუნძულს, ასე რომ, ჩვენმა ხალხმა არ იცოდა, საით მოტრიალებულიყო. მრავალი ქვა მოხვდათ მათი ხელით [460] ნასროლი, ისრები გაფრინდა მშვილდის ლარებიდან, და ხოცავდა ყველას. საბოლოოდ ბერძნები, აღძრულები ერთიანი შეტევით, თავს დაესხნენ, ასო-ასოდ აკუწეს საცოდავები, სანამ ყველა არ გამოასალმეს სიცოცხლეს. ხმამაღლა ამოიგმინა ქსერქსესმა, როდესაც ბოროტების სიღრმე იხილა,რადგან იჯდა და მთელ ლაშქარს ხედავდა, მაღალ ბორცვზე, ზღვის ნაპირის მახლობლად. სამოსი დაიგლიჯა და მწარედ ხმამაღლა ამოიგმინა, დაუყოვნებლივ მისცა ბრძანება ქვეით ჯარს, [470] უწესრიგოდ გაქცეულიყო. ეს შენთვის, უკვე ნახსენებთან ერთად, არის უბედურება, რომელიც უნდა დაიტირო.

ატოსა

საძულველო დაიმონო, როგორ გაუცრუე სპარსელებს იმედი! მწარე შურისძიება იპოვა ჩემმა შვილმა სახელოვანი ათენელებისგან, საკმარისი არ აღმოჩნდა, რაც მანამდე მარათონში ბარბაროსები დაიხოცნენ. მათთვის შურისძიებას ფიქრობდა ჩემი ბიჭი და ამოდენა უბედურებაში ჩაიგდო თავი. შენ კი მითხარი, ხომალდები, რომელთაც განსაცდელს თავი დააღწია, სად დატოვე ისინი? მათზე ვერ მეტყვი ცხადად?

მაცნე

[480] იმ ხომალდების მეთაურები, რომლებიც ჯერ კიდევ დარჩნენ, სასწრაფოდ გაიქცნენ უწესრიგოდ, საითაც ქარმა წაიღეს. დარჩენილი ლაშქარი კი ბეოტიის მიწაზე დაიღუპა, წყაროს წყლის სასიცოცხლო ძალის გვერდით წყურვილმა დაახრჩო, სხვებმა კი, დაქანცულებმა, ქოშინით მივაღწიეთ ფოკისელების მიწას, დორისის ქვეყანას, მეიოსის უბეს, სადაც სპერქევსი ასმევს ყანებს წყალს. იქიდან მშივრები აქაიის მიწაზე გადავედით და, თესალიის ქალაქებს მივადექით, [490] იქ უმეტესობა დაიღუპა წყურვილითა და შიმშილით, რადგან ორივე დაგვატყდა თავს. მაგნესიის მიწას მივადექით და მაკედონიელების ქვეყანას, აქსიოსის ფონს, ბოლბეს ჭაობის ლელიანს, პანგეუსის მთას, ედონების მიწას. იმ ღამით ღმერთმა დროზე ადრე დააყენა ზამთარი და გაიყინა წმინდა მდინარე სტრიმონის მთელი დინება. ვინც ღმერთებს პატივს არ სცემდა მანამდე, ახლა ვედრებით ლოცულობდა, მიწასა და ზეცას თაყვანს სცემდა. [500] როდესაც მრავალგზის მოუხმო ღმერთს და შეწყვიტა ლაშქარმა ლოცვა, გაყინულ მდინარეზე გადავედით; ვინც კი ჩვენგან მოასწრო მზის ღმერთის სხივების განფენას, გადარჩა; მაგრამ მალე მზის მოელვარე დისკომ ფონის შუაში შეაღწია და გაადნო ყინული ცეცხლით. ერთმანეთის მიყოლებით ჩაცვივდნენ, იმათ გაუმართლათ, ვისაც უსწრაფესად ამოხდა სული. დანარჩენებმა კი, ვინც სიკვდილს გადაურჩა, თრაკია გადაჭრეს დიდი ტანჯვით, [510] და გამოქცეულები ჩამოვიდნენ, უკვე ძალიან ცოტანი, მშობლიური კერის მიწაზე; ასე რომ, დაიტირე და გამოიგლოვე, სპარსების ქალაქო, ამ მიწის საყვარელი ყმაწვილკაცები. ასეთია სიმართლე. ბევრი რამ გამოვტოვე და არ მითქვამს იმ უბედურებაზე, რომელიც თავს დაგვატეხა ღმერთმა.

გუნდი

უბედურების მომტანო დაიმონო, რა მეტისმეტი სიმძიმით ფეხქვეშ გათელე მთელი სპარსული მოდგმა!

ატოსა

რა უბედური ვარ, ჩვენი ლაშქრის დაღუპვის გამო! ო ღამის სიზმრისეულო მკაფიო ხილვავ, რა მეტად ცხადად მამცნობდი უბედურებას! [520] თქვენ კი მეტისმეტად მსუბუქად განმარტეთ იგი; და მაინც, დავუჯერებ თქვენს რჩევას, ჯერ მსურს, ღმერთებზე ვილოცო, შემდეგ მიწასა და მიცვალებულებს სახლიდან სამსხვერპლო ღვეზელს საჩუქრად გამოვუტან. ვიცი, რომ უკვე მომხდარს ეს ვერ უშველის, მაგრამ, შესაძლოა, მომავალი მაინც უკეთესი გახდეს. თქვენ კი ამ გარემოებებში საიმედო რჩევა უნდა მომცეთ, ხოლო ჩემს შვილს, თუ ჩემს დაბრუნებამდე მოვიდა, [530] ნუგეში ეცით და სასახლეში შემოუძახით, რომ ამდენ უბედურებას მისი სასოწარკვეთილებაც არ დაემატოს.

გადის.

პირველი სტასიმონი

გუნდი

ო ზეკსო მეფევ, რადგან ახლა სპარსელების თავმომწონე და მრავალრიცხოვანი ლაშქარი დაღუპე, მწუხარების წყდიადში გაახვიე სუზისა და აგბატანის ქალაქი! მრავალი ქალი მოკახცახე ხელით თავშალს გლეჯს, ხშირი ცრემლებით კალთას [540] ასველებს, ამ მწუხარების მონაწილე. მწარედ დასტირიან სპარსი ქალები ქმრებს, უყურებენ რბილგადასაფარებლიან სარეცელს, რომელსაც იყოფდნენ, განცხრომიანი სიყმაწვილის სიხარულს, ტოვებენ, გლოვობენ უსასრულო გოდებით. მეც დაცემულების საბრალო ხვედრს მთელი გულით დავტირი.

სტროფი I

რადგან ახლა კვნესის განადგურებული მთელი აზიის მიწა. [550] ქსერქსესმა წაიყვანა, ვაი, ქსერქსესმა და-

26. სტრ. 447. *არის ერთი კუნძული* - მცირე კუნძული ფსიტალეა.

ღუპა, უი, ქსერქსესმა უგუნურად განალაგა ბრტყელძირიანი ხომალდები. როგორღა იყო დარიოსი ასე დაცული თავის დროზე უბედურებათაგან, მშვილდოსანთა ასისთავი, სუსელების საყვარელი მეთაური?

ანტისტროფი I

რადგან ქვეითები და მეზღვაურები სელისფრთიანი, მუქთვალიანი [560] გემებით წავიდნენ, ვაი, გემები დაიღუპა, უი, მთლიანად მოისპო გემთა შეტაკებაში, იონიელების ხელით. თვითონ მეფე, როგორც გავიგეთ, ძლივს გამოქცეულა გაყინული გზებით, თრაკიის მინდვრების გავლით.

სტროფი II

ისინი, რომლებიც პირველი დაიხოცნენ, ვაი, მწარე ბედისწერით განწირულები, უი, [570] კიხრეიის ნაპირებთან,[27] ვაი, მიყვანილები! იკვნესე, იტირე, ცას გავაგონოთ გლოვის ხმა, მაღლა ავწიოთ ჩვენი მწუხარე ხმები, ჩვენი უბედური გოდება.

ანტისტროფი II

კლდეებს ენარცხება სხეულები, ვაი, მათ ჭამენ, უი, ზღვის უხმო შვილები, ვაჰ! მწუხარებით სავსეა დაცარიელებული სახლი, [580] უშვილოდ დარჩნენ მოხუცი მშობლები, ვაი, ბოლომდე შეიცნეს მთელი ტკივილი.

სტროფი III

ვინც ვრცელ აზიაში ცხოვრობს, მეტად აღარ იმართება სპარსელების მიერ, აღარ მოუტანენ ღალას თავიანთ ბატონს, არ განირთხმებიან მიწაზე მათი შიშით, რადგან სამეფო [590] ძალა დაიღუპა.

ანტისტროფი III

მოკვდავთა ენა მეტად აღარ არის შეკავებული: თავისუფალ ხალხს ლაპარაკიც შეუძლია, რაკი ძალის უღელი დამსხვრეულია. სისხლიანი მიწა, აიასის ზღვის ტალღებნაცემი კუნძული ფლობს ყველაფერს, რაც ოდესღაც სპარსეთი იყო.

მეორე ეპისოდიონი

სასახლიდან გამოდის ატოსა მოახლეთა თანხლებით, რომელთაც სამსხვერპლო საჩუქრები მოაქვთ.

ატოსა

მეგობრებო, ვინც კი არის გამოცდილი უბედურებაში, მან იცის: როდესაც უბედურების ტალღა [600] თავს ატყდება მოკვდავებს, ყველაფერს შიშით უცქერენ; როცა კი ბედი სასიკეთოდ შემობრუნდება, სჯერათ, რომ მუდმივად წარმატება ელით. რადგან ახლა ყველაფერი მაშინებს და თვალში ღმერთების მტრობა მიჩანს, ყურებში ჩამესმის არა გამარჯვების სიმღერა, იმდენადაა უბედურების დარტყმისგან დაშინებული ჩემი სული. სწორედ ამის გამო ისევ მოვედი სასახლიდან არა ეტლით და ჩვეული დიდებით და მომაქვს ჩემი ვაჟის მამისთვის საღვრელი, [610] რომ შევწირო მსხვერპლი, რომელიც მიცვალებულებს ამშვიდებს,შეუბღალავი ძროხის გემრიელი თეთრი რძე, ყვავილებში მომუშავის სითხე, გამჭვირვალე თაფლი, ქალწული წყაროს წყლის ნაკადთან ერთად, ველური დედის შეურეველი, ძველი ყურძნის ცქრიალა სასმელიც. აქაა ასევე მარადიული, უხვფოთლიანი, ოქროსფერი ზეთისხილის სურნელოვანი ნაყოფი და ყვავილთა წნული, ნაყოფიერი მიწის შვილი. მაგრამ, მეგობრებო, როდესაც მე მიცვალებულებს ამ საღვრელს ვუღვრი, [620] უმღერეთ ჰიმნები და გამოიხმეთ დარიოსის ღვთაებრივი სული, მე კი მიწას შევასმევ ქვედა ღმერთებისთვის პატივს.

გუნდი

დედოფალო ქალო, სპარსელთათვის სათაყვანო, ჩაუშვი საღვრელი მიწისქვეშა პალატებში, ჩვენ კი ჰიმნებით ვთხოვთ დაღუპულთა წინამძღოლებს, მიწის ქვემ კეთილად განეწყონ. მიწის წმინდა ღვთაებებო, გეა და ჰერმესო, და შენც, ქვედათა მეუფევ, [630] ნათელში გამოუშვით ქვემოდან სული; თუკი ჩვენი უბედურების რამ წამალი იცის, მოკვდავთაგან მხოლოდ მას შეუძლია, გამოგვიცხადოს, როგორ აღვასრულოთ.

სტროფი I

გესმის ჩემი, ნეტარო და ღვთის თანაბარო მეფე, რასაც ბარბაროსული გაურკვეველი ენით წარმოვთქვამ, გესმის ჩემი დამთრგუნველი და მწარე ჩივილი? თუ ხმამაღლა უნდა ვიბღავლო ჩემს უბედურებაზე, მას ქვემოთ ესმის ჩემი?

ანტისტროფი I

[640] შენ, გეა და სხვა ღმერთებო, რომლებიც ბატონობთ ქვედა სამყაროს მკვიდრებზე, გამოუშვით თავისი სავანიდან, გევედრებით, სახელგანთქმული სული, სუსაში შობილი სპარსელთა ღმერთი. გამოაგზავნეთ ზედა სამყაროში იგი, ვისი მსგავსიც სპარსულ მიწას არ დაუმარხავს.

სტროფი II

საყვარელო კაცო, საყვარელო ბორცვო; აქ ძვირფასი ზნე განისვენებს. აიდონევს,[28] მზის სინათლეზე გამომგზავნო, აიდონევს, გამოუშვი ღვთაებრივი მბრძანებელი, დარიოსი.

ანტისტროფი II

მას არასოდეს დაუღუპავს ხალხი უაზრო და დამაქცევარ ომებში, იგი ატარებდა სპარსელთა ღვთაებრივი მრჩევლის სახელს, ღვთაებრივი მრჩეველი იყო, რაკი ლაშქარს კარგად მართავდა.

სტროფი III

მეფევ, ძველო მეფევ, მოდი, მოახლოვდი! ამოდი ამ ყორღანის მწვერვალზე, [660] ზაფრანისფერი სანდალი აღმართე, სამეფო ტიარის ლითონის სამშვენისი გამოაჩინე. მოდი, უმწიკვლო მამა, დარიოს!

ანტისტროფი III

მოდი, მოისმინე ჩვენი ახალი, ჯერთუსმენელი უბედურება, ჩვენი მბრძანებლის მბრძანებელო, გამოჩნდი! რადგან სტიქსის წყვდიადმა მოგვიცვა, ახალგაზრდობა ხომ ჩვენი ქვეყნისა [670] ერთიანად ამოწყდა. მოდი, უმწიკვლო მამა დარიოს!

ეპოდოსი

ვაიმე, ვაიმე! შენი სიკვდილით მეგობრებს იმდენი ცრემლი ადინე! როგორ მოხდა ეს, როგორ შეიძლებოდა, რომ მომხდარიყო, როგორ დავკარგეთ ყველა სამრეგიანი ხომალდი, [680] გემები აღარაა!

---

27. სტრ. 570. *კიხრეიის ნაპირებთან* - სალამისის სანაპიროზე.
28. სტრ. 649. *აიდონევსი* - ჰადესის, მიწისქვეშეთის მბრძანებლის, სხვა სახელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკუთარი საფლავიდან ამოდის დარიოსის აჩრდილი.

დარიოსის აჩრდილი

ო, ერთგულნო ერთგულთაგან, ჩემი სიყმაწვილის მეგობრებო, ბებერო სპარსელებო, რა უბედურება დაატყდა თავს ქალაქს? კვნესის, თავს იცემს, დასკდა მიწა. ვხედავ მეუღლეს ჩემი საფლავის მახლობლად და ვშფოთავ, დამამშვიდებელი საღვრელი კი მივიღე. თქვენ კი გოდებთ ჩემი საფლავის ახლოს, მიცვალებულის სულის გამომხმობი ხმამაღალი ძახილით საბრალოდ მეძახით. იოლი არ არის საფლავიდან გამოსვლა, რადგან მიწისქვეშა ღმერთები ყოველნაირად [690] მზად არიან, მიიღონ და არ გაუშვან; და მაინც, რაკი იქაც მბრძანებლობა მაქვს მოპოვებული, მოვედი. იჩქარე, რომ არ გავიკიცხო დადგენილი დროის გადაჭარბებისთვის. რა არის სპარსელთათვის ახალი მძიმე უბედურება?

გუნდი
სტროფი

ვერ ვბედავ ყურებას, ვერ ვბედავ შენი თანდასწრებით ხმის ამოღებას შენ წინაშე, ძველი შიშის გამო.

დარიოსის აჩრდილი

მაგრამ რაკი ქვემოდან ამოვედი შენს გოდებას მინდობილი, გრძელი სიტყვა არ გინდა, მოკლედ მოჭერი და მოჰყევი, ჩემი რიდი ნუ გექნება.

გუნდი
ანტისტროფი

[700] მეშინია, რომ დაგემორჩილო, მეშინია, რომ შენი თანდასწრებით ვილაპარაკო და ის ვუთხრა საყვარელ ხალხს, რისი თქმაც არ შეიძლება.

დარიოსის აჩრდილი

მაგრამ რაკი ჩემი ძველი შიში გულში გაქვს გამჯდარი, ჩემი სარეცლის მოზიარე, კეთილშობილო ჩემო მეუღლე, შეწყვიტე გლოვა და ტირილი და გულახდილად მითხარი ყველაფერი. ადამიანის ჩვეული ხვედრი ხომ უბედურებაა. ხომ უამრავი რამ უნდა შეემთხვეს ზღვასა და ხმელეთზე მოკვდავებს, თუკი სიცოცხლე ოდნავ გაუგრძელდა.

ატოსა

ო ყველა მოკვდავზე კეთილდღეობით აღმატებულო ბედის ნებიერო, [710] სანამ ცოცხალი იყავი და შენი თვალები მზეს უმზერდა, ბედნიერი ცხოვრებით ცხოვრობდი და სპარსელებს ღმერთად უჩანდი, ახლა მიცვალებულიც ბედნიერი ხარ, უბედურებამდე იხილე სიღრმე. რადგან მთელ ამბავს, დარიოს, გაიგონებ მოკლე ხანში: სპარსთა ძალა დაემხო, როგორც იტყვიან.

დარიოსის აჩრდილი

რანაირად? ჭირის მეხი დაგვეცა, თუ აჯანყება ქალაქში?

ატოსა

არც ერთი და არც მეორე, არამედ ათენთან მთელი ლაშქარი გაგვინადგურდა.

დარიოსის აჩრდილი

ჩემი რომელი ვაჟი გაუძღვა ლაშქარს იქ, მითხარი!

ატოსა

დაუოკებელი ქსერქსესი, მთელი ხმელეთის გაცამტვერების მსურველი.

დარიოსის აჩრდილი

ქვეითად გაეშურა თუ ზღვით ჩაიფიქრა ეს უგნური ლაშქრობა უბედურმა?

ატოსა

[720] ორივენაირად: ორმაგი ფრონტი ჰქონდა ორი ლაშქრით.

დარიოსის აჩრდილი

როგორ გადაიყვანა მეორე ნაპირზე ქვეითად ამოდენა ლაშქარი?

ატოსა

ცბიერი მოწყობილობით დაიმორჩილა ჰელესპონტი და გადასასვლელი შექმნა.

დარიოსის აჩრდილი

ნუთუ ეს მოახერხა და მძლავრი ბოსფორი ჩაკეტა?

ატოსა

დიახაც. რომელიღაც დემონი დაეხმარა, როგორც ჩანს.

დარიოსის აჩრდილი

ვაჰ! მძლავრი ყოფილა ის დემონი, თუკი ტვინი ასე აუმღვრია.

ატოსა

როგორც შედეგი გვაჩვენებს, დიდი უბედურება შეძლებია.

დარიოსის აჩრდილი

და შემდეგ რა ქნეს, რომ ასეთ გლოვას მისცემიხართ?

ატოსა

საზღვაო ძალა რომ განადგურდა, სახმელეთოც დაიღუპა.

დარიოსის აჩრდილი

და მთელი ხალხი დაიღუპა მტრის შუბით?

ატოსა

[730] დიახ და ამის გამოა, რომ მთელი სუსა დასტირის თავის დაცარიელებას.

დარიოსის აჩრდილი

ვაი ჩვენი მცველი მებრძოლების მამაცურ ძალას!

ატოსა

ბაქტრიელების ხალხიც ამოწყდა, ერთი მოხუციც ვერ გადარჩა.

დარიოსის აჩრდილი

უბედური, მოკავშირეთა მთელი ახალგაზრდობაც გაანადგურა.

ატოსა

ამბობენ, რომ ქსერქსესი რამდენიმე მეომრით დარჩა...

დარიოსის აჩრდილი

როგორ და სად აღესრულა? თუ გადარჩენის იმედი არის?

ატოსა

თავისდა ბედად,მოადგა ორი ხმელეთის შემაერთებელ ხიდს.

დარიოსის აჩრდილი
და აქეთ მხარეს გადმოვიდა უვნებლად, ეს მართალია?

ატოსა
დიახ, ეს ნამდვილი ამბავია, ეჭვი არ არის.

დარიოსის აჩრდილი
ვაი! რა სწრაფად ახდა წინასწარმეტყველების საქმე! ჩემს შვილს [740] დაატეხა თავს ზეკვსმა მათი ძალა. მე კი მეგონა, რომ დიდი დრო გამოხდებოდა, სანამ ღმერთები მათ აღასრულებდნენ; მაგრამ როცა კაცი თავად ჩქარობს, ღმერთიც შეუერთდება. ახლა, მგონი, ყველა ჩემი საყვარელი ადამიანისთვის ამოხეთქა უბედურების წყარომ; ხოლო ჩემმა ვაჟმა საფრთხე ვერ შენიშნა და ყმაწვილკაცური დაუდევრობით მასში გადაეშვა. მას იმედი ჰქონდა, რომ წმინდა ჰელესპონტს მონასავით ბორკილებს დაადებდა, ბოსფორის ღვთაებრივ დინებას და დააჭედებდა რა უროსებრ ხუნდებს, ახალი ყაიდის ფართო გზას გაუკვალავდა თავის აურაცხელ ლაშქარს; მოკვდავი კაცი უკვდავებს გაუთამამდა და გონებადაკარგული პოსეიდონს გაეჯიბრა. ნეტავ, რამე სენმა გონება ხომ არ დაუბნელა ჩემს ვაჟს? მეშინია, რომ ჩემი გარჯის ნაყოფი, ჩვენი უზარმაზარი სიმდიდრე სხვისი ნადავლი არ გახდეს.

ატოსა
ბოროტ ხალხთან ურთიერთობაში ისწავლა ეს დაუოკებელმა ქსერქსესმა. რადგან ამბობდნენ, რომ შენ შვილებს შუბით უზარმაზარი ქონება მოუპოვე, ის კი, არავაუკაცი, სახლში მეომრობდა და მამისეულ ქონებას არ ზრდიდა. ეს საყვედური რომ ესმოდა ხშირად ბოროტი ხალხისგან, მაშინ გადაწყვიტა საბერძნეთზე გალაშქრება.

დარიოსის აჩრდილი
და აი, მან გამოიწვია უდიდესი და დაუვიწყარი [760] უბედურება, რომელიც მანამდე არასოდეს არ სწვევია ამ ქალაქ სუსას, მას შემდეგ, რაც მეუფე ზეკვსმა დაადგინა, რომ ერთი პატრონი უნდა ჰყავდეს და ერთი კვერთხის მპყრობელი ბელადი უნდა მართავდეს მთელ ნაყოფიერ აზიას. რადგან პირველი იყო მედოსი, ვინც იყო ჩვენი მხედართმთავარი, შემდეგ იყო მისი ძე, რომელმაც აღასრულა თავისი საქმე, რადგან სიბრძნე მართავდა მის სულს. მის შემდეგ მესამე იყო კიროსი, ბედნიერი კაცი, რომელიც ხელისუფლებას დაეუფლა და მშვიდობა მისცა ყველა ხალხს. [770] ლიდიისა და ფრიგიის ხალხები დაიპყრო და მთელი იონია შემოიერთა. ღმერთი სწყალობდა, რადგან კეთილგონიერი დაიბადა. კიროსის ძე ჩვენი ლაშქრის მეოთხე მმართველი იყო. მეხუთე იყო მარდოსი, რომელმაც შეარცხვინა სამშობლო და ძველი ტახტი. იგი კი ცბიერებით ღირსმა არტაფრენესმა მოკლა სასახლეში მეგობარ კაცებთან ერთად, როგორც საჭირო იყო. მეექვსე იყო მერაფისი, მეშვიდე კი - არტაფრენესი. მეც დავეუფლე იმ ხვედრს, რომელიც მსურდა, [780] და ვილაშქრე ბევრი დიდ ლაშქართან ერთად, მაგრამ ასეთი უბედურება არასოდეს მომიტანია სახელმწიფოსთვის. მაგრამ ქსერქსესი, ჩემი ვაჟი, ახალგაზრდაა და ახალგაზრდული ფიქრები აქვს და არ დაიმახსოვრა ჩემი რჩევები. ეს ხომ კარგად იცით, ჩემო თანატოლებო, თქვენ, ყველამ, ვისაც ძალაუფლება გვქონდა, ამოდენა უბედურება არ ჩაგვიდენია.

კორიფაიოსი
მაშ, რა უნდა ვქნათ, მეუფე დარიოს, საით მივყავართ შენს სიტყვებს? მომხდარის შემდეგ რა უნდა იღონოს სპარსელმა ხალხმა?

დარიოსის აჩრდილი
[790] ბერძნების მიწას აღარ დაესხათ თავს, თუნდაც მიდიელების ლაშქარი აღმატებული იყოს მათსაზე, რადგან თავად მიწაა მათი მოკავშირე.

კორიფაიოსი
ამას რას ამბობ? რა გზითაა მოკავშირე?

დარიოსის აჩრდილი
შიმშილით კლავს მტრის მეტისმეტად დიდ ლაშქარს.

კორიფაიოსი
მაგრამ თუკი უფრო რჩეულ და უკეთ აღჭურვილ ლაშქარს წარვმართავთ?

დარიოსის აჩრდილი
ახლა საბერძნეთში დარჩენილი ლაშქარიც კი ვერ დაბრუნდება და ვერ გადარჩება.

კორიფაიოსი
როგორ ამბობ? მაშ, ბარბაროსთა ლაშქარი ვერ დატოვებს ევროპას და ვერ გადმოკვეთს ჰელესპონტს?

დარიოსის აჩრდილი
[800] ყველაფერი დადასტურდება. ცოტანი, თუკი სანდოა ღმერთების წინასწარმეტყველება, მომხდარის მიხედვით, რადგან რაკი რაღაც დადასტურდა, ყველაფერი დადასტურდება. ეს კი ნიშნავს, რომ რჩეული ჯარი ჩემმა ვაჟმა იქ, ცარიელ იმედზე დაყრდნობით, დატოვა. ისინი შეჩერებული არიან იქ, სადაც ასოპოსი რწყავს და კვებავს ბეოტიის მიწებს, იქ, სადაც შეხვდებიან უკანასკნელ განსაცდელს, რომელიც მათ მოევლინათ ქედმაღლობისა და არასათნო საქციელის გამო, რადგან საბერძნეთში რომ ჩავიდნენ, არც ღმერთებს მოერიდნენ, [810] ღმერთების გამოსახულებები მოსპეს და ტაძრები გადაწვეს. საკურთხევლები დაარბიეს, ღმერთების ქანდაკებები ჩამოაგდეს და დალეწეს; და აი, ასეთი უბედურება რომ ჩაიდინეს, არანაკლებიც გადაიტანეს, სხვა განსაცდელიც მოელით, უბედურება ჯერ კიდევ წინაა, მათი გასაჭირის გაზაფხული არ ამოწურულა, ჯერაც ძალაშია. დიდი სისხლი კიდევ დაიღვრება პლატეას მინასთან დორიული შუბით და საფლავთა ჯაჭვი მესამე თაობამდე უსიტყვო მაგალითად დარჩება ადამიანთა თვალებისთვის, [820] რომ მოკვდავი კაცი მეტისმეტად არ უნდა ზვაობდეს. ქედმაღლობა დამწიფდა და ნაყოფად მოიტანა უბედურება, საიდანაც მოვიწიეთ ცრემლების მოსავალი. ამ შურისძიებას რომ დაინახავთ, გაიხსენეთ ათენი და საბერძნეთი, ნუღარ გაფლანგავთ საკუთარ ბედნიერებას და მეტს ნუ მოინდომებთ, სხვისი ნუ მოგინდებათ. ზეკვსი სინამდვილეში მძიმე ხელით შურს იძიებს მეტისმეტი ქედმაღლობისათვის. თქვენ კი, რომელთაც სიბრძნე არ გაკლიათ, გონებისკენ მოუხმეთ ჩემს შვილს, ჩააგონეთ მას ღმერთების პატივისცემა, რომ შენყვეტოს თავხედური ზვიადობით ღმერთების განრისხება. შენ კი, ქსერქსესის ღირსეულო და საყვარელო დედა, სასახლეში შედი და შესაბამისი სამოსი გამოუტანე შვილს და მოემზადე მის შესახვედრად. რადგან მთლიანად ტანზე დაიგლიჯა და ძონძებად აქცია ბრწყინვალე სამოსი ამ უბედურებაში. ანუგეშე ნაზი სიტყვებით, რადგან მხოლოდ შენ, ვიცი, რომ მოგისმენს. მე კი მიწის ქვეშ, წყვდიადში, ჩავალ. [840] თქვენ კი, უხუცესნო, მშვიდობით, მიუხედავად გასაჭირისა, გაიხარეთ თითოეული დღით, რადგან სიმდიდრეს მიცვალებულისთვის სარგებელი არ აქვს.

დარიოსის აჩრდილი გადის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კორიფაიოსი

გული მტკივა, რომ მესმის, რამდენი უბედურება დაატყდა თავს და კიდევ რამდენი ელოდება ბარბაროსებს!

ატოსა

ო, ღმერთო! რამდენი განსაცდელი დამატყდა თავს, მაგრამ ყველაზე უფრო გული იმან მომიკლა, რომ გავიგონე, ჩემი შვილის სხეულს ახლა თურმე სამარცხვინო ძონძები რომ ფარავს. მაგრამ მივდივარ, სახლიდან სამოსს გამოვუტან [850] და მის შესახვედრად მოვემზადები. საყვარელი ხალხი განსაცდელში არ უნდა მივატოვოთ.

გადის.

მეორე სტასიმონი

გუნდი

სტროფი I

ო, დიახ, ეს იყო მართლაც სახელოვანი და კარგი ცხოვრება, როდესაც დიდი ხნის განმავლობაში გვყავდა ხანდაზმული და ყოველმხრივ მძლავრი მეფე, რომელსაც არაფერი შეშლია, დაუმარცხებელი მეფე, ღვთისდარი დარიოსი და ის მართავდა ქვეყანას.

ანტისტროფი I

უპირველესად ჩვენ მსოფლიოს ვუჩვენეთ სახელოვანი ლაშქარი, ბურჯივით მტკიცე კანონმდებლობა, [860] ყოველმხრივ მოწესრიგებული, ჩვენ ვბრუნდებოდით ომებიდან დაუმარცხებლები და დაუტანჯავი, ხალხი ბედნიერი ბრუნდებოდა შინ.

სტროფი II

რამდენი ქალაქი აიღო ისე, რომ არ გადაულახავს მდინარე ჰალისი და საკუთარი კერა არ მიუტოვებია. როგორც, მაგალითად, აქელოუსის ქალაქები, სტრიმონის ზღვაზე, [870] თრაკიის დაბლობის მეზობლად.

ანტისტროფი II

როგორც ისინი, რომლებიც ტბიდან შორს, ხმელეთის ქალაქები, გალავანშემორტყმული დაემორჩილა მას, როგორც მეფეს; დასახლებები ჰელესპონტის ორივე მხარეს და პროპონტისის[29] სრუტის სივრცე და პონტოსის[30] კარიბჭე.

სტროფი III

და ზღვით განბანილი [880] კუნძულები, ზღვის გაწვდენილ მკლავზე, რომლებიც ჩვენს ხმელეთს ემიჯნება, როგორც ლესბოსი, ზეთისხილით მდიდარი სამოსი, ქიოსი და პაროსი, ნაქსოსი, მიკონოსი და ანდროსი, რომელიც ტენოსის მიწის გვერდითაა.

ანტისტროფი III

იგი ფლობდა ღია ზღვის კუნძულებს: [890] ლემნოსს, იკაროსის მიწას, როდოსსა და კნიდოსს, კვიპროსის ქალაქებს: პაფოსსა და სოლეს და ახლანდელი ჩვენი უბედურების მიზეზს, სალამისის დედაქალაქს.

ეპოდოსი

და ბერძნების მდიდარ და ხალხმრავალ ქალაქებს იონიის მხარეში [900] მართავდა თავის ნებაზე. მის ხელთ იყო მეომარ კაცთა და ყველა ერის მოკავშირეთა დაუქანცავი ძალა. მაგრამ ახლა, როდესაც ზღვაზე საშინელი დამარცხება განვიცადეთ, მთელი ომიც წავაგეთ, ბედი შეიცვალა და უეჭველია, რომ ამაში ღვთის ხელი ურევია.

ექსოდოსი

შემოდის ძონძებში ჩაცმული ქსერქსესი მწირი ამალით.

ქსერქსესი

ვაი, რა უბედური ვარ, [910] რა საშინელ განსაცდელში ჩავვარდი! რა დაუნდობლად თელავს ფეხით ბედისწერა სპარსულ მოდგმას! კიდევ რა მელის მე უბედურს? რადგან მუხლებში ძალა მერთმევა, როდესაც ამ უხუცეს მოქალაქეებს ვხედავ. ნეტავ მეც, ზევსო, წასულ ვაჟკაცებთან ერთად დავეფარე სიკვდილის ბედისწერას.

კორიფაიოსი

ვაი, მეფევ, ვაი კეთილო ლაშქარო, ვაი სპარსეთის მმართველობის დიდო სახელო, [920] ვაი ვაჟკაცთა ბრწყინვალებას, რომლებიც ბედისწერამ მოკვეთა! მიწა დასტირის მშობლიურ ახალგაზრდობას, ქსერქსესისთვის დახოცილთ, მიწამ ჰადესი დახოცილი სპარსელებით გაავსო. რადგან უამრავი მეომარი, რჩეული მშვილდოსანი, ჩვენი ქვეყნის ყვავილი, აურაცხელი ვაჟკაცი დაიღუპა. ვაი ჩვენს საიმედო დაცვას! აზიის ქვეყანა, დედამიწის მეფე, [930] საშინლად, საშინლად დაცემულია მუხლებზე.

ქსერქსესი

სტროფი I

შემხედეთ, ეს მე ვარ, გლოვის საგანი, ჩემი მოდგმისა და სამშობლოს დასაქცევად დაბადებული.

გუნდი

შენი დაბრუნების აღსანიშნავად აღმოვთქვამ ავისმეტყველ ხმას, ავისმომასწავებელ ოხვრას, მარიანდინელი დამტირებლის [940] ცრემლმრავალ გოდებას.

ქსერქსესი

ანტისტროფი I

გაიღეთ მარადიული გლოვის შესაბრალისი ხმა, რადგან ბედისწერამ ზურგი შემაქცია.

გუნდი

შესაბრალისად გლოვით დავიტიროთ ჩვენი ზღვაში დაღუპული ხომალდები; მოდგმაზე მგლოვიარე ქალაქი ტირის. მე კი დავტირი, დავტირი ხმამაღლა და აურაცხელი ცრემლით.

ქსერქსესი

სტროფი II

[950] იონიელებმა დახოცეს, იონიელებმა საზღვაო ბრძოლაში გაიმარჯვეს და ღამით მოიწიეს საბედისწერო ნაპირზე სასიკვდილო მოსავალი.

გუნდი

ვაი! იყვირე და მთელი უბედურება გაიგე. სად არის ჩვენი მეგობრების სიმრავლე? სად არის, შენს გვერდით რომ იდგა ფარანდაკესი, სუსასი, პელაგონი და დოტამასი, [960] აგდაბატასი, ფსამიხი, სუსისკანესი, რომელმაც აგბატანა დატოვა?

---

29. სტრ. 876. *პროპონტისი* - მარმარილოს ზღვა.
30. სტრ. 877. *პონტოსი* - შავი ზღვა.

ქსერქსესი
ანტისტროფი II
ყველანი დავტოვე, ტიროსული გემებიდან სალამისის ნაპირებს აწყდებოდნენ და ტალღები ახეთქებდნენ კლდოვან ნაპირებს.

გუნდი
ვაიმე, იყვირე! სად არის შენი ფარნუქოსი და მამაცი არიომარდოსი, სად არის მეუფე სევალკესი, [970] კეთილშობილი ლილაიოსი, მემფისი, თარიბისი და მასისტრასი, არტემბარესი და ჰისტექმასი? ამას გეკითხები.

ქსერქსესი
სტროფი III
ვაი, ვაიმე! უძველეს და საძულველ ათენს ერთი შეტევისას შეავლეს თვალი და ვაი, ვაი, უბედურები ნაპირზე დაეცნენ.

გუნდი
ნუთუ შენი სანდო თვალი[31] დაკარგე, რომელმაც ათიათასობით სპარსელი დაითვალა, ალპისტოსი, ბატანოქოსის ძე?! მეგაბატესის ძის, სესამესის ძე, პართოსი და მძლავრი ოიბარესი, დატოვე, დატოვე? ვაი, ვაი უბედურს! სახელოვან სპარსელებზე ცუდ ამბავს ამბობ.

ქსერქსესი
ანტისტროფი III
ვაი, ვაი, მართლაც, გულს მიკლავს ჩემი საყვარელი მეგობრების გახსენება, [990] როდესაც გლოვობთ, მახსენებთ საშინელ და უპატიებელ ამბავს. ჩემს მკერდში გული ბღავის იმ უბედურებზე.

გუნდი
სხვებიც არიან, ვინც გვენატრება: ათიათასი მარდელი ვაჟკაცის მეთაური ქსანთისი და მამაცი ანქარესი, დიექსისი და არსაკესი, მხედართა მეთაურები, კეგდადატასი და ლითიმნასი, ტოლმოსი, ომით გაუმაძღარი. მიკვირს, მიკვირს, [1000] რომ ისინი არ მოჰყვებიან შენს ბორბლიან კარავს.

ქსერქსესი
სტროფი IV
რადგან წავიდნენ მხედართმთავრები.

გუნდი
წავიდნენ უსახელოდ.

ქსერქსესი
ვაი, ვაიმე!

გუნდი
ვაი, ვაი, დემონებო, მოულოდნელად დაგვაცხრით თავს, აშკარაა, აქ შურისძიების ქალღმერთის ხელი ურევია.

ქსერქსესი
ანტისტროფი IV
საშინელი დარტყმაა და დიდხანს გასტანს.

გუნდი
დარტყმაა, სრულიად ცხადია.

ქსერქსესი
[1010] ახალი, ახალი უბედურება, უბედურება!

გუნდი
ჩვენდა დასაღუპავად შევასკდით ზღვაზე იონიელებს, ბრძოლაში ბედი არ აღმოგვაჩნდა სპარსელებს.

ქსერქსესი
სტროფი V
რა მართალია! ამოდენა ლაშქარი დამარცხდა, ვაიმე უბედურს!

გუნდი
და რაც უბედური სპარსეთისა იყო, არ დაილუპა?

ქსერქსესი
ხედავ? რქა დარჩა ჩემი სამეფო სამოსიდან!

გუნდი
ვხედავ, ვხედავ.

ქსერქსესი
[1020] და ეს მშვილდისარი.

გუნდი
ეს გადაარჩინე, ამას ამბობ?

ქსერქსესი
კაპარჭი ისრებისთვის.

გუნდი
რა ცოტაა რა ბევრიდან!

ქსერქსესი
დავკარგეთ მცველები.

გუნდი
იონიელი ხალხი შუბებს არ გაურბის.

ქსერქსესი
ანტისტროფი V
მეომარი ხალხია, მაგრამ ასეთ უბედურებას არ მოველოდი.

გუნდი
გაქცეული ხომალდების სიმრავლეზე ამბობ?

ქსერქსესი
[1030] ამ უბედურების გამო სამოსი ტანზე შემოვიხიე.

გუნდი
ვაი, ვაი!

ქსერქსესი
არა, ვაიზე უარესი!

გუნდი
ორგზის და სამგზისაც!

---

31. სტრ. 979. *სანდო თვალი* - სპარსეთის მეფეებს ლაშქარში ჰყავდათ ოფიცრები, რომელთაც ერქვათ „თვალი“ და „ყური“ და რომელთაც ევალებოდათ, ანგარიში ჩაებარებინათ მასზე, რაც დაინახეს და გაიგონეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქსერქსესი
ჩვენთვის ტკივილი და მტრისთვის სიხარული.

გუნდი
და ძალა დაიკარგა.

ქსერქსესი
ამალის გარეშე ვარ, შიშველი.

გუნდი
ზღვამ შეინირა ისინი.

ქსერქსესი
სტროფი VI
იგლოვე, იგლოვე უბედურებაზე და სახლში წადი.

გუნდი
ვაი, ვაი, უბედურება, უბედურება!

ქსერქსესი
[1040]ხმამაღალი კვნესით უპასუხე ჩემსას.

გუნდი
უბედურება უბედურისგან უბედურს.

ქსერქსესი
ჩემს სიმღერას შეუწყვე ქვითინი.

გუნდი
ოჰ, ოჰ! მძიმეა ეს განსაცდელი. მეც ძალიან მტკივა გული.

ქსერქსესი
ანტისტროფი VI
დაირტყი, დაირტყი გულში ხელი და ჩემ გამო იკვნესე.

გუნდი
ვტირი, ვგოდებ.

ქსერქსესი
ჩემს მოთქმას მოთქმით უპასუხე!

გუნდი
ბატონო, ამას ვაკეთებ.

ქსერქსესი
[1050] ახლა უფრო ხმამაღლა იკვნესე!

გუნდი
ოჰ, ოჰ, ოჰ! ჩემს გლოვას ერწყმის ოხვრა და გულში ხელის ცემა.

ქსერქსესი
სტროფი VII
მისიურ გლოვასთან ერთად უფრო მძლავრად დაირტყი ხელი გულში!

გუნდი
ტანჯვა, ტანჯვა!

ქსერქსესი
დაიგლიჯე, გევედრები, ჭაღარა წვერი!

გუნდი
სწრაფად, სწრაფად და ხმამაღალი მოთქმით!

ქსერქსესი
მკვეთრი კივილით.

გუნდი
ამასაც ვაკეთებ.

ქსერქსესი
ანტისტროფი VII
[1060] საკუთარი თითებით დაიგლიჯე მკერდზე სამოსი!

გუნდი
ტანჯვა, ტანჯვა!

ქსერქსესი
თმები დაიგლიჯე, იგლოვე ჩვენი ლაშქარი.

გუნდი
სწრაფად, სწრაფად და ხმამაღალი მოთქმით!

ქსერქსესი
ცრემლით გაივსე თვალები.

გუნდი
ცრემლებითა ვარ სავსე!

ქსერქსესი
ეპოდოსი
ყვირილს ყვირილით უპასუხე!

გუნდი
ვაი, ვაი!

ქსერქსესი
ოხვრით დაბრუნდი სახლში.

გუნდი
[1070] ვაი, ვაი, ჩვენო სპარსეთო!

ქსერქსესი
ვაი მთელ ქალაქს!

გუნდი
მართლაცდა ვაი!

ქსერქსესი
ნელა იარეთ და იგლოვეთ.

გუნდი
ვაი, ვაი, სპარსეთის მიწავ, გაუბედურებულო!

ქსერქსესი
ვაი, ვაი, სამწყებიან ნიჩბებიან ხომალდებში დაღუპულებო, ვაიმე!

გუნდი
უკან მოგყვები საბრალო გოდებით.

ყველანი გადიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უისტან ჰიუ ოდენი

ქალაქის ხსოვნას

ინგლისურიდან თარგმნა ზვიად რატიანმა



სწორედ იქ, სადაც ჩვენი სული ხდება მგრძნობიარე,
სწორედ იქ ეძლევა ადამიანს მარადიული ღვთიური ქალაქი.
იულიანა ნორვიჩელი

I

თვალი ყვავის და კინოკამერის თვალი, ახელილი
განა ჩვენი, ჰომეროსის სამყაროსკენ. ერთიც და მეორეც
ადიდებს მიწას, ხალხის და ღმერთების
დაუღლელ დედას; შვილები კი მზერის არეში
თუ გაკრთებიან, მხოლოდ გაკვრით: ხალხი კვდება, ღმერთები იღვწიან,
ორივე თავის წვრილმან გრძნობებს აჰყოლია, და მხოლოდ მიწა
არის უგრძნობი და უძრავი, სინამდვილეში
ერთადერთია, რაც მართლა არის.

ყვავი კრემატორიუმის სახურავზე
და ბრძოლის ველზე მოზუზუნე კინოკამერა
იკვლევენ ადგილს, სადაც ადგილი არ რჩება დროისთვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარცხნივ სოფელი გადაუწვავთ, მარჯვნივ კი, ბაზრის მოედანზე,
ჯარისკაცებმა ცეცხლი გახსნეს, ქალაქისთავს წასკდა ცრემლები,
ტყვეები გაჰყავთ დასახვრეტად, ხოლო მოშორებით
გულგრილ ზღვაში იძირება ვეება ტანკერი.
არაფერია აქ ახალი: მოყვავილე ქლიავის ფურცლები
ისევ აცვივა გარდაცვლილებს, ჩანჩქერის გუგუნი
ისევ ახშობს ჭირისუფლის ქვითინსა და შეყვარებული წყვილების გმინვას,
დილის მძიმე და მკვეთრი სინათლე
შემთხვევით ამბებს გარდაუვალ ფაქტებად აქცევს,
რომლებსაც მაცნე სტვენა-სტვენით გაიყოლებს მთების გადაღმა.
ვიღაც ტკბება გამარჯვებით, სხვას ჭამს სირცხვილი.
კაცს უნდა, ქალი მოვალეა. და არავის ედება ბრალი.

უძრავი თვალი ყვავისა და კინოკამერის უგრძნობი თვალი
თუმცა დანახულს არასოდეს აყალბებენ, მაინც ტყუიან.
ცხოვრების ცოდვა დრო არ არის. აი ახლაც, ასეთ ღამეში,
ვერგილიუსის ნაქალაქარში, უფრო სწორად, მის ნანგრევებში,
სადაც წარსული საფლავების ქაოსია, და უბოლოო მავთულხლართი
ერთადერთია, რაც მიინევს მომავლისაკენ,
მოწყვეტილია ჩვენი სევდა ბერძნულ ფესვებს: როცა მკვდრებს ვმარხავთ,
ტვინით კი არა, გულით ვიცით, რომ უთუოდ იარსებებს საფუძველი
ჩვენი ტანჯვისთვის, და არ უნდა შევიცოდოთ
არც ჩვენი თავი, არც ქალაქი.
სადაც არ უნდა გაგვაქვავოს პროჟექტორებმა,
რასაც არ უნდა ჩაგვძახოდნენ მიკროფონები,
არ უნდა დავნებდეთ.

II

სენაკში განმარტოებული პაპი გრიგოლი ჩურჩულებდა თავის სახელს.
იმპერატორი ანათებდა ცენტრის გარეშე დარჩენილ სამყაროს
ნებისმიერი წერტილიდან, სადაც იყო. *ახალი ქალაქი*
იგებოდა მათ მტრობაზე, მათი ვასლების მუდმივ ქიშპზე
ერთგულებაში, ჰოზე და არაზე; მახვილი და პროკურატორი
აღარ იყო ყველაფერი. იყო სახლი და იყო რომი.
უცხოს შიში დაიკარგა ტაძრისაკენ მიმავალ გზაზე.

ქალაქში მომხდარ ყველა ამბავს ჰქონდა ორმაგი მნიშვნელობა:
კიდურები იქცნენ ჰიმნებად, უსიყვარულო ხვევნა-კოცნა
იქცა ყველაზე მტკიცე სიახლოვედ; მოსისხლე მტრების სახეები
მოღალატეთა სახეებმა ჩაანაცვლეს ქოლერიანის კოშმარებში.
წყლის შვილები თავიანთი მიხვრა-მოხვრით დასცინოდნენ
ზეცის უსაზღვრო მოთმინებას; სატურნის ნიშნით გაჩენილები
გრძნობდნენ სამყაროს აღსასრულის მოახლოვებას.

გადამწერლები და ვაჭრები მდიდრდებოდნენ; საეჭვო ტომები
ერთდებოდნენ, რომ დაეხსნათ მოსაწყენი ღმერთისაგან იერუსალიმი,
თავს არ ზოგავდნენ ლოგიკოსები, რათა დაეცვათ ბრბოს ფიქრები
თავისუფალი, მავნებელი აზრებისგან
გონების ქალაქში. ილანდებოდნენ მის ფანჯრებში, ბაღებში, პორტებში
მდინარეები, სალი კლდეები, გარეული ცხოველები,
განაბულები მწყალობელი მადონას ღიმილში.

სადღაც, ქვიშიან პროვინციაში, წყევლიდა ლუთერი
მანქანას, რომელიც ყველა ცოდვას უტევებდა ნებისმიერს,
ვინც მონეტას ჩაუშვებდა. უამბობდა ცოდვილ ქალაქს სირცხვილის ბზარზე,
რომელსაც ვეღარ შეავსებდნენ ადათებით; განიკითხავდა
ბერძნებზე მეტად. რღვევა გახდა ამ ქალაქის ბუნებრივი მოთხოვნილება.
ამიერიდან მის სწრაფვებში ერია ეჭვი
და სიმხდალე სიყვარულში. მან დაკარგა თავის რწმენა, მაგრამ გაუძლო.

წმინდანები მოთვინიერდნენ, პოეტები ადიდებდნენ ჰეროდეს ვნებებს.
მდაბიოები ქვითინებდნენ ზეპურთა სცენებზე.
დიდებულება და სიმდარე გათანაბრდნენ მქუხარე ლექსებში.
ქალაქი, ორად გახლეჩილი ღალატით და გონიერებით,
უხილავ საყრდენს პოულობდა შეთანხმებულ, მოზომილ ბგერებში,
ვიდრე ქვები და ხეები ძალებს ცდიდდნენ ადამიანურ
უსირცხვილო თამაშებში, პირფერობაში, ლიქვნაში, ტრაბახში.

იმპერატორის სახელით და დავალებით ბუნებისგან ითხოვდნენ პასუხს
და ათქმევინეს, რასაც მისგან მოელოდნენ: აღიარა, რომ არ აქვს სული.
ცივ მიწას და ეშაფოტს შორის აღმოცენდა ზომიერი, ახალი სტილი,
ღიმილის ირონიულობა შეირაცხა ღვისმოსავობად;
სიმდიდრემ თავაზიანობა ასწავლა ქალაქს. მისთვის ჩვეული ქედმაღლობით
ადგილობრივი მემამულე გადაიქცა ბუნების და მისი შვილების
მოსამართლედ, ანუ მამად მისი ტყეების.

ერთი ქვეყნის დედაქალაქში მირაბომ და მისმა ხალხმა შეუტია
ბუნდოვანებას; საგამოფენო დარბაზები ხალხს ვერ იტევდა,
ნათელი აზრის ბუკის გუგუნით მარშირებდა ისტორია
საღი აზრის ქალაქისკენ, რომელიც გღლიდა უფრო სწრაფად,
ვიდრე გხიბლავდა. მოიხმარა ნაპოლეონი
და გადააგდო. ნირწამხდარი მისი გმირები
ბნედიანივით დაეძებდნენ ჯერარდაცემულ ადამიანს.

საშიში იყო უდაბნოები, წყლები მღვრიე, სამოსელი შეუსაბამო.
ხშირად იცვლიდნენ თავ-თავიანთ ბეატრიჩეებს,
ეძინათ ცოტა, და ჯიუტად მიიწევდნენ *მოკაშკაშე ქალაქისკენ*
დროშის ფრიალით, სიტყვის დროშის, შიშითა თუ სიამაყით
უარყოფილ, შესაძლოა, საბოლოოდ დავიწყებულ ადგილებში, სადაც კანონი
არ კანონობს; მიჰყვებოდნენ საძულველი მშობლების ჩრდილებს
და ამტვრევდნენ ქალაქური ჯოჯოხეთის სახე-კარიბჭეს.

მათ დასცინოდნენ ქიმერები, გულს უხრავდათ უმიზნო დარდი.
თავს იკლავდნენ, ვარდებოდნენ სიმაღლრის კლდიდან
ან მთვრალ ზღვაში იხრჩობოდნენ, არარსებულ კუნძულებზე ირიყებოდნენ,
კანკალებდნენ პოლარული სულის ყინვაში.
კვდებოდნენ დამარცხებულები, მარტოები; სამაგიეროდ,
მიჰქონდათ ცოდნა აკრძალული, დამალული, ველური მიწების.
ურწმუნოები, ერთგულები, თავს წირავდნენ *შეგნებული ქალაქისათვის*.

III

მოედნის ახლოს,
სასამართლოს გადამწვარი შენობის და პოლიციის ოფისებს შორის,
გრანდ ჰოტელთან, სადაც ათიოდ ჟურნალისტი ჯერ კიდევ სახლობს,
აფეთქებული საკათედროს ნანგრევებთან, საიდანაც არც ისე შორი
მანძილია გასავლელი, დაინახო საგანგებო შტაბის ბარაკი
და მავთულხლართი, რომლითაც ორად გაყოფილა მკვდარი ქალაქი.

მინდვრების მიღმა,
ორ მთას შორის, ორ მეგობარს, ორ ხესა და ორ სოფელს შორის
მიიკლაკნება მავთულხლართი, თავისთავში ჩახვეული, და რასაც ტიხრავს,
ორად იყოფა ყველაფერი, ლიანდაგი, ბილიკი, ტბორი;
ქალაქის კვალი, გემოვნება, ახლობლობა, იუმორი და ადათები -
ყველაფერი სამუდამოდ წაიშლება მავთულხლართებით.

მავთულხლართებმა
შემოაღწიეს ჩვენს სიზმრებშიც: ჩვენ ვბორძიკობთ, შემდეგ ვეცემით
და ჩვენ გარეშე გაცურდება თეთრი გემი სხვათა ცრემლში, როცა ღამდება

ეროვნული ბიბლიოთეკა

და როცა, როგორც ლეღვის ფოთოლს, სიტყვას ვეძებთ ხელისცეცებით;
მავთულხლართები ორად ხლეჩენ საქორწინო სარეცელს; ერთი
ბოლო გორგონას თავზე არის დახვეული, მეორე - ღმერთის.

მავთულხლართს მიღმა,
როგორც სარკეში, გამუდმებით ვხედავთ ჩვენ თავს, ცხადშიც და ძილშიც,
და ჩვენი სახე არ იცვლება, და იმდენად მახინჯია, ვასაღებთ ნიღბად;
მას არ აქვს სქესი და ასაკი, არ აქვს ხსოვნა, სახელი, ჯიში.
ის შეგიძლია მიათვალო ნებისმიერ დროსა თუ სივრცეს.
სადაც გინდა, გამოიხმო. როცა გინდა, გააქრო ისევ.

მეგობარია?
არა, უფრო იმედია. ელოდება, გულს ქვითინით როდის ვიჯერებთ.
თითქოს ვერც ამჩნევს მავთულხლართებს, ნანგრევებიც მხოლოდ ფარია
თავდასაცავად; და ისე გვგავს, ვეღარც ვიჯერებთ
და გვწამს, მის სიკვდილს ჩვენს სიკვდილთან საერთო არ აქვს,
ვიდრე ადამი ეძებს თავის დაკარგულ ქალაქს.

ჩვენი სინდისი დანარჩენზე თავად იმსჯელებს:

IV

მე რომ არა, უსათუოდ აცდუნებდა ადამს ლუციფერი; ვერასდროს
ამოიძახებდა, *O felix culpa**.
ეს მე ვიყავი, ვინც ურჩია პრომეთეს ქურდობა; ჩემმა სისუსტემ შეიწირა
ადონისი.
მე მისმენია ორფეოსის სიმღერები, არც ისე ამაღელვებელი, როგორც ჰგონიათ.
მე არც ნარცისის კრავის მზერას შევუძრივარ; არც ფსიქეა დამინდია,
როცა მან ცეცხლი გააღვივა.
ჰექტორი ისე მენდობოდა, როგორც არავინ არასდროს არაფერს.
ჩემთვის რომ დაეჯერებინა, კორინთოდან არასოდეს წავიდოდა ოიდიპოსი; მე დუმილი
ვამჯობინე ორესტეას სასამართლოზე.
მეძინა, როცა დიოტიმა სიყვარულზე ალაპარაკდა; არც იმ ურჩხულზე ვაგებ პასუხს,
რომელიც წმინდა ანტონს აცდუნებდა.
მეხუთე სიტყვით მე მომმართა ჯვარცმულმა მხსნელმა; სტოიკოსების საჯილდაო
ქვად რომ იქცა, სწორედ იმ სიტყვით.
მე ვესწრებოდი ტრისტანის და იზოლდას პაემნებს; კიდეც სცადეს ჩემი მოწამლვა.
მე მივუძღოდი რაინდ გალაადს წმინდა გრაალის ძიებისას, ვერც ვხვდებოდი,
რომ მის აღთქმას ვინაწილებდი.
მე ვიყავი ერთადერთი, ვინც ხელს უშლიდა ელენეს და ფაუსტუსის შეუღლებას; მე ხომ
არ მიჭირს მკვდრების ამოცნობა.
მე ვერასდროს ვიტანდი ჰამლეტს, მაგრამ დონ კიხოტს ყველაფერი მივუტევე
ეტლში ნათქვამი აღსარებისთვის.
ეს მე გამოვრჩი დონ ჯოვანის თავის სიაში, რასაც ვერასდროს გამოისყიდის.
ინტრიგებისკენ მე ვუბიძგე დალაქ ფიგაროს; როცა დაბრძენდა პრინცი
ტამინო, არც მე დავრჩი ჯილდოს გარეშე.
მე ნუ მომკითხავთ იმ ბებერი ზღვაოსნის ცოდვას; კაპიტან აჰაბს გამუდმებით
ვაფრთხილებდი, დაჰყოლოდა ბედნიერებას.
რაც შეეხება მეტროპოლისს, თავის საზღვრებში ვერდატეულს, პასუხს არ ვაგებ
მის ხილვებზე.
და არც მისი რიტორები მაღელვებდნენ, მით უმეტეს, სტატისტიკა; მათ,
ვინც ცხოვრობს მისი სარკის ხილულ მხარეს, არასოდეს
ეღირსება მოსვენება, არც მიტევება.
ახლა ჩემი ჯვარცმის ადგილს იკავებენ ფოტოგრაფები, მაგრამ ოდესმე ისევ
აღვსდგები, რათა მოვისმინო მისი განაჩენი.

1949

---

* - „ო, შეცდომავ კურთხეულო!“ (ლათ.)

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამოს ოზი

ყველა მდინარე

ინგლისურიდან თარგმნა თამარ ლომიძემ



ახალგაზრდა პოეტ ქალს არ უხდებოდა არც უბრალო, გავრცელებული სახელი - ტოვა - და არც ჩათქვირული სხეული. თეძოებსა და მხრებზე ზედმეტი ცხიმი მოსდებოდა, თუმცა კი ნაზი მოხაზულობისა იყო. ზედმეტად ფაფუკი მკლავები ჰქონდა. ჰაეროვანი აღნაგობისა სულაც არ გახლდათ.

თვალების ფერს ვერ ვიხსენებ. უცნაურია, მაგრამ მისი შარვლის ფერი ძალიან კარგად დამამახსოვრდა. უხეშ მოლურჯო ქსოვილს რუხი ფერი გადაჰკრავდა. არ ვიცი, რა ჰქვია ამ ფერს. შესაძლოა, სახელი არცა აქვს. მაგრამ ის ახლაც ძალიან მკაფიოდ წარმომიდგება ხოლმე - და არა მარტო ფერი, არამედ - ქსოვილის ხორკლიანი და თბილი ზედაპირიც, თუმცა მას არასოდეს შევხებივარ.

მუქი წაბლისფერი გრუზა თმა ჰქონდა.თვალების ფერი ვერ დავიმახსოვრე, თუმცა არ დამვიწყებია მათი დაღლილი, ოდნავ დამცინავი გამომეტყველება და პაწაწინა ნაოჭები კუთხეებში. მოდიდო ცხვირი ჰქონდა. ტუჩების ფორმა ააშკარავებდა მის გულკეთილობას. როდესაც დუმდა, ტუჩები მაინც უთრთოდა ხოლმე.

ტუჩების სინაზეს ეწინააღმდეგებოდა წვეტიანი, ქედმაღლური ნიკაპი. საკმაოდ მოკლე ყელი ჰქონდა. არა, არა, ტოვას ყელი არც მოკლე იყო და არც ფართო. უბრალოდ, მაღალი არ გახლდათ და ყვავილის ღეროს არ წააგავდა. ეს კი უმნიშვნელო ნაკლია.

ახლა ის დამემართა, რაც ხშირად მომდის. ვცადე დეტალურად, თანმიმდევრულად ამეწერა ტოვას სახე, მაგრამ როდესაც ვჩქარობდი მისი თმიდან თვალებზე გადასვლას, შუბლი გამომრჩა. ლოყებიც გამომრჩა. თუმცა, რაც ვთქვი, სრულიად საკმარისია. თხრობა თანმიმდევრული აღწერისკენ მიბიძგებს, მაგრამ ტოვას სახეს და, მთლიანად, მის გარეგნობას ერთიანი ხატის სახით აღვიქვამ. გარდა ამისა, სახე გასულიერებულია, სიტყვები კი - უსულო. სიტყვებთან ჭიდილმა დამღალა. როგორც უნდა მიისწრაფოდე სიზუსტისკენ, სიტყვები მაინც გააყალბებს სათქმელს.

ელიეზერ დრორი მქვია. ოცდარვა წლისა ვარ და ტელ ტომერის კიბუცში ვცხოვრობ. კიბუცის დამაარსებელთა შორის ჩემი მშობლებიც იყვნენ. დედაჩემი ხელმძღვანელობს კულტურულ ღონისძიებებს: საღამოს წვეულებებს, დღესასწაულებს, ამზადებს საკარნავალო ნიღბებს, დეკორაციებს, საკარნავალო კოსტიუმებს, ატარებს ლექციებს. უშრეტი ენერგია აქვს. მისგან განსხვავებით, ტოვა ზანტი და დაუდევარი ქალია. ოცდაცამეტი წლისაა, ესე იგი, ჩემზე ხუთი წლით უფროსია. არ მიკითხავს, რამდენი წლისა ხარ-მეთქი, თვითონ მითხრა (კვლავ დავარღვიე ქრონოლოგიური თანმიმდევრობა). მამაჩემი დედაზე ბევრად უფრო დაბალი და მშვიდი ხასიათის მქონე კაცია. დიდი ხნის განმავლობაში მუშაობდა საქონლის ბოსელში; მყა-

რი პოლიტიკური შეხედულებები აქვს და არაფერს უჩივის, ზაფხულის სიცხისა და ზამთრის სიცივის გარდა.

ჯარიდან ლეიტენენტის ჩინით დავბრუნდი, ახლა კი რეზერვისტი-პარაშუტისტი ვარ. იმაზე, თუ რას ვსაქმიანობდი ომის დროს, მოგვიანებით გიამბობთ, როდესაც აღვწერ ჩემი და ტოვას საუბარს კაფეში (აქ კვლავ ამებნა თხრობის თანმიმდევრობა: ჯარში მანამ ვმსახურობდი, სანამ ტოვას შევხვდებოდი. ტოვასთან საუბარი, აგრეთვე, წარსულს ეკუთვნის, და ახლა დაგპირდით, რომ გიამბობთ (მომავალში) იმას, რაც უკვე ვთქვი წარსულში. რა უცნაურია, რომ ვერაფერს იტყვით ან დაწერთ შეულამაზებლად, ანუ, მარტივად რომ ვთქვათ, გაყალბების გარეშე).

კიბუცში მუშაობისას გარკვეულ წარმატებებს მივაღწიე. გვაქვს სახელოსნო, რომელსაც ფაბრიკას ვუწოდებთ. ამ ფაბრიკაში ვამზადებთ დეკორატიულ შუქფარებს ნათურებისთვის. ფაბრიკის მმართველად დამნიშნეს, რადგან ენერგიულ, ინიციატივიან და შრომისმოყვარე ყმაწვილად მთვლიან. ყოველ შემთხვევაში, ასე მითხრეს მაშინ, როდესაც ამ თანამდებობაზე მნიშნავდნენ. შესაძლოა, კიბუცელებზე გარკვეული ზეგავლენა მოახდინა იმან, რომ ჯარში ვმსახურობდი 1956 წელს, სინას კამპანიის დროს, და სამ იერიშში მივიღე მონაწილეობა. ამ დეტალს ქვემოთ დავუბრუნდები.

ახალგაზრდა ქალები. ზოგჯერ ისინი ჩემს ოთახში მოდიან და ნამცხვრები მოაქვთ, მე კი სასმლებით ვუმასპინძლდები. სწორედ მე მივაჩვიე ტელ ტომერის მკვიდრნი ზამთრის საღამოობით ლიქიორის სმას. ამის გამო ბევრს ჭორაობენ, მაგრამ მაქებენ კიდეც. ამ ქალიშვილებს ვუამბობ, თუ როგორ ვმსახურობდი ჯარში. ზოგჯერ ერთ-ერთი მათგანი ჩემთან ღამეს ატარებს, დილას კი სასიამოვნო ქათინაურებს მეუბნება. ყველა ეს თავგადასავალი ხანმოკლეა, რადგან, არსებითად, ამ ქალიშვილებთან არავითარი გრძნობა არ მაკავშირებს. და თურომელიმე მათგანი წუწუნს იწყებს და ჩემს ბინაში ხანგრძლივად დარჩენას აპირებს, მას მაშინვე ვემშვიდობები. ცრემლებს ვერ ვიტან. ტირილს რა აზრი აქვს?

ყოველ საღამოს, სანამ ქალიშვილები გასართობად და სასაუბროდ მოვლენ, ერთი საათის ან საათ-ნახევრის განმავლობაში მარკების კოლექციას ვათვალიერებ. ჩემი კოლექცია ერთ-ერთი საუკეთესოა ქვეყანაში. მისი შეგროვება ჯერ კიდევ მამაჩემმა დაიწყო ორმოცდათორმეტი წლის წინ, როდესაც ლოძში ცხოვრობდა. ჯარიდან დაბრუნების შემდეგ ეს კოლექცია მემკვიდრეობით მივიღე და ექვს წელზე ნაკლები დროის განმავლობაში ორჯერ გავზარდე. ამ კოლექციაზე უფრო დეტალურად უნდა შევჩერდე, რადგან სწორედ მან შეუწყო ხელი ჩემს შეხვედრას ტოვასთან. გარკვეულწილად, ასეა. თუმცა, კოლექციონერთა სიაში მისი სახელი არ მიძებნია და მარკები ერთმანეთისთვის არ გაგვიცვლია. არ მიყვარს საუბარი „ბრმა შემთხვევის“ შესახებ, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ომში გადავიტანე, მაგრამ ტოვასთან შეხვედრის თემა რთულია. ეს ამბავი დეტალური თანმიმდევრობით უნდა გადმოგცეთ და შევეცდები, ქრონოლოგიური თანმიმდევრობა არ დავარღვიო.

ფილატელია უდიდეს სიამოვნებას მანიჭებს, რომელსაც ვერასოდეს შეიგრძნობს ის, ვისთვისაც ეს საქმიანობა უცხოა. ვახშმის შემდეგ ჩემს ოთახში ვბრუნდები ხოლმე, სავარძელში ვჯდები, სიგარეტს ვუკიდებ, ნელა, მოკლე ნაფაზებით ვეწევი (ესაა ერთ-ერთი იმ სამი სიგარეტიდან, რომელთაც ყოველდღე ვეწევი: სადილის დროს, საღამოს და ძილის წინ). შემდეგ რადიოთი ვუსმენ კონცერტს, ნაზ და ნაღვლიან მელოდიას. ვხურავ დარაბებს და ვანთებ სამაგიდო ნათურას (ნათურა და შუქფარი ჩემი ნახელავია), შემდეგ კატალოგის მიხედვით ვახარისხებ, ვამოწმებდა თავის ადგილას ვაწყობ მარკებს. ასევე, ყოველ საღამოს ვწერ წერილებს. წერილობითი კავშირი მაქვს ოცზე მეტ კოლექციონერთან მსოფლიოს ყველა კუთხეში და რეგულარულად ვუცვლი მათ მარკებს. პერუში, ქალაქ ლიმაში, ცხოვრობს პედრო ანტონიო-ი-მადრე გონსალესი; პოლონეთში - მღვდელი, სახელად იანი, რომელიც ბიბლიურ ივრითზე მწერს ხოლმე. აინტერესებს, როგორ მიმდინარეობს ქვეყნის აღმშენებლობა და თავს იჩენს თუ არა მესიის მოსვლის მომასწავებელი ნიშნები იერუსალიმის ბორცვებზე; ნაგასაკიში ცხოვრობს პაციფისტი სოციალისტი ტოკამა, რომელიც ხოტბას ასხამს კიბუცის იდეალებს. კიშინიოველი ებრაელი ბიჭი ალექსანდრე მიგზავნის ბალტიისპირეთის იმ რესპუბლიკათა მარკებს, რომლებიც დიდი ხანია, აღარ არსებობს და მთხოვს გავუგზავნო ისრაელის ახალ-ახალი მარკები, რადგან, მისი თქმით, „გოგონები მათგან სამშვენისებს ამზადებენ“. მარსელელი ბერძენი ნიკოსი მიგზავნის ძველსა და ახალ არაბულ მარკებს, რომელთა მოპოვება ამ ქვეყანაში ძალზე ძნელია. ლიბერიაში, ქალაქ მონროვიაში ცხოვრობს ლიბანური წარმომავლობის ფილატელისტი ფუადი, რომლის პირველ წერილზე მისამართად ეწერა „ისრაელის ჰაშიმიტური სამეფო“, კიბუცის სახელწოდება და ჩემი გვარი. შესაძლოა, ასეთნაირად იხუმრა. საპასუხო წერილი გავუგზავნე და თავაზიანად ვაგრძნობინე, რომ ამგვარი ხუმრობებიარ მომწონდა. ამის შემდეგ მოკლე საქმიან წერილებს მწერს და ძალიან კარგ მარკებს მიგზავნის. არაფერს ვამბობ იოანმზე ქალაქ ლინციდან, რომელიც მარკებს მიგზავნის და სანაცვლოდ არაფერს მთხოვს, რადგანაც მარკებს მიიჩნევს „ერთგვარ სიმბოლურ კომპენსაციად უპატიებელი ცოდვების გამო“. რისთვის ვახსენე ყველა ეს ფილატელისტი? იმისთვის, რომ მარკების შეგროვების პროცესი დავახასიათო? ან, იქნებ, იმისთვის, რომ დრო მოვიგო, სანამ ტოვას ისტორიაზე გადავიდოდე?

ეროვნული ბიბლიოთეკა

წერილის დაწერის შემდეგ დინჯად, თანმიმდევრულად ვფურცლავ ჩემს ალბომებს, ისე, თითქოს კარგ ღვინოს ვწრუპავდე. აქ მარკები განლაგებულია მათი სადაურობის, თარიღის, ხარისხისა და ფერის შესაბამისად. ჩემს ალბომებში ვერც ერთ დაზიანებულ მარკას ვერ ნახავთ. თითოეულ მათგანს დიდხანს ვამოწმებ გამადიდებელი შუშით. თვით იშვიათ ან დეკორატიულ მარკასაც კი არ ვინახავ, თუკი მას ოდნავი დეფექტი აქვს. აქვე უნდა ვთქვა, რომ ყველაზე უფრო იშვიათი და ფასეული მარკები არასოდეს გამოირჩევიან გარეგნულად ან სილამაზით. ყველა ოქროსფერი ან ვერცხლისფერი, სამკუთხედის ან ოვალური ფორმის მარკა მხოლოდ ბავშვებისთვის გამოდგება, გასართობად.

ჰოდა, როდესაც ტოვას მარკების შეგროვების შესახებ ვუამბე (ამ დროს უკვე ზღვის სანაპიროსკენ მივდიოდით)ის მაშინვე მიმიხვდა და შენიშნა, ღმერთი თანმიმდევრულად გვაგროვებს, თავის ალბომში გვალაგებს და ტკბება იმ ჰარმონიით, რომელიც ჩვენი ტანჯვის მიღმა იმალებაო. დაახლოებით ასე თქვა. ქრონოლოგია კვლავ ამერია.

ერთ საღამოს ყოველთვიურ „სტემპ უორლდ“-ში წავიკითხე მომცრო და ძალზე მნიშვნელოვანი განცხადება: თელ-ავიველი კოლექციონერი, მავანი დოქტორი ელიეზერ მ. ბერლინი ეძებდა იშვიათ ავსტრიულ, უფრო ზუსტად კი, ავსტრია-უნგრეთის მიერ 1899 წელს გამოშვებულ მარკას. დოქტორი ბერლინი მზად იყო ამ მარკაში გაეცვალა ბოსნიისა და ჰერცეგოვინის მარკათა სრული კოლექცია. დაინტერესებულ პირებს შეეძლოთ დაკავშირებოდნენ ტელეფონით ან მიეკითხათ მისთვის თელ-ავივში, ამა და ამ ქუჩაზე განლაგებულ ამა და ამ სახლში. 1 საათზე (ზუსტად!).

ამ განცხადების წაკითხვისთანავე სკამიდან წამოვხტი, რადგან საჭირო მარკა (იმათგან, რომლებსაც მამაჩემი ვარშავაში აგროვებდა ომამდე) მქონდა. ყველასთვის, ვისაც რამე გაეგება ფილატელიაში, სიტყვებს „ბოსნიისა და ჰერცეგოვინის მარკები“ დამატებითი ახსნა-განმარტება არ სჭირდება. გადავწყვიტე, მომდევნო დღეს სამსახურიდან თავი გამეთავისუფლებინა და სასწრაფოდ წავსულიყავი თელ-ავივში, რათა კონკურენტებისთვის დამესწრო. დილის ექვს საათზე შინიდან გავედი და შვიდი საათი არ შესრულებულიყო, როდესაც ჰაიფას ცენტრალურ ავტოსადგურზე მი-

ვედი, ცხრის ნახევრისთვის კი უკვე თელ-ავივში ვიყავი. ჯიბეში ავსტრია-უნგრეთის ძვირფასი მარკა მედო.

უკვე იმედი დავკარგე, რომ სიტყვების მეშვეობით შევძლებ სათქმელის გადმოცემას, რადგან სიტყვები თანმიმდევრულად მიჰყვებიან ერთმანეთს, ჩემს მეხსიერებაში აღბეჭდილი სურათები კი ერთიანად წარმომიდგება. მაგრამ შევეცდები აღვწერო იშვიათი მარკა, რომლის საფასურად დოქტორი ბერლინისგან ასეთი გულუხვი ძღვნიუნდა მიმეღო: მასზე გამოსახულია მდინარეში მობანავე ქალი. ნაპირზე კი ირემი დგას.

პირველ საათამდე ბევრი დრო იყო. ქუჩას გავყევი და შევჩერდი რამდენიმე მაღაზიასთან, სადაც ჩემი ფაბრიკის ნაწარმი იყიდებოდა. ჰერცლისა და ელენბის ქუჩებზე შევედი მარკების რამდენიმე მაღაზიაში. ბევრი რამ დავათვალიერე, მაგრამ ძალზე ცოტა ვიყიდე. განა რა უნდა შემოეთავაზებინათ ჩემთვის?

პირველ საათამდე კიდევ ბევრი დრო იყო. გაზეთი ვიყიდე და რესტორანში შევედი. ორი ფუნთუშა, მწვანე სალათი, ომლეტი, იოგურტი და ყავა შევუკვეთე. საუზმის მოლოდინში მარჯვე დარტყმით ბუზი მოვკალი და გაზეთი გავშალე.

სახეგათხაპნილმა, შეუხედავმა ახალგაზრდა ოფიციანტმა ქალმა მკითხა, როგორი ყავა გნებავთო. იმავე წუთს კიდევ ერთი ბუზი დავინახე და ისიც სწრაფად მოვკალი. რძიანი ყავა შევუკვეთე. უეცრად სხვა მაგიდასთან მჯდომი ქალი წამოდგა და ოფიციანტი გამოლანძღა. საყვედურობდა, აქ მშვიდად საუზმობა შეუძლებელიაო. მივხვდი, რომ საყვედური მე მეკუთვნოდა და და ქალს ვუთხარი, თუ თქვენ ხმაური გაწუხებთ, მე ბუზები მაწუხებენ-მეთქი. ტოვა კვლავ თავის მაგიდას მიუჯდა და აღარაფერი უთქვამს. ვისაუზმე. თან გაზეთს ვკითხულობდი.

რესტორანი თითქმის ცარიელი იყო, მასში მხოლოდ ტოვა, მე, და ოფიციანტი ქალი ვიმყოფებოდით. ოფიციანტმა სიგარეტს მოუკიდა და უნგრული გაზეთი „Új Kelet“[1] გაშალა. ტოვა ეწეოდა და ბლოკნოტიდან ამოხეულ ფურცელზე რაღაცას წერდა. დავაპირე, დროის გასაყვანად შუადღისას მოსაწევი სიგარეტი ახლა მომეწია, მაგრამ საათზე დავიხედე და გადავიფიქრე.

უეცრად ოფიციანტმა თქვა:

- ძალიან დაცხა.

დავეთანხმე, რადგან მისი ნათქვამი სიმართლეს შეესაბამებოდა. დიდი ხნის დუმილის შემდეგ ტოვამ თავისი კუთხიდან შენიშნა:

- სიცხეს გავუძლებთ, მაგრამ თუ ტენიანობამ მოიმატა, ვერ ავიტანთ.

გაზეთის კითხვა მომბეზრდა, ცარიელი საფერფლე გვერდზე გავწიე და გავიფიქრე, საუზმის საფასურს გადავიხდი და წავალ-მეთქი. მაგრამ სად უნდა წავსულიყავი?

ოფიციანტი სამზარეულოში გავიდა და იქ ვიღაცას ჩხუბი დაუწყო. ტოვას თვალი შევავლე. ვხედავდი კვამლის ბოლქვებს და მის მბრთოლ-

ვარე ტუჩებს; ვხედავდი, როგორ დასტრიალებდნენ ბუზები მის ყავის ფინჯანს, მაგრამ ტოვა მათ ყურადღებას არ აქცევდა. ახლა, როდესაც ამ სურათს ვიხსენებ, მეჩვენება, რომ რაღაც დეტალი - შესაძლოა, მნიშვნელოვანი - გამომრჩა.

1. „ახალი აღმოსავლეთი“ (უნგრ.)



- ვინმეს ელოდებით? - ვკითხე ქალს.

მან სცადა ეპასუხა, მაგრამ უეცრად ხველა აუტყდა. თავდაპირველად თითქოს მხოლოდ ჩახველება სურდა, მაგრამ შემდეგ სული შეეხუთა და ახრიალდა. გეგონებოდათ, ძაღლი ყეფსო. წამოდგა, მაგრამ მაშინვე დაეყრდნო მაგიდას, რომ არ დაცემულიყო. ხმელეთზე გამოგდებული თევზივით უმწეოდ აღებდა პირს.

არ დავბნეულვარ, მივუახლოვდი და ზურგზე ხელი დავარტყი. უკან დაიხია და როდესაც ხველება შეწყვიტა, შეძლო ეთქვა:

- არ შემეხოთ.

ბოდიში მოვუხადე და შევთავაზე, წყალს მოგიტანთ-მეთქი. არავითარი ფარული განზრახვა არ მქონია. უბრალოდ, მინდოდა, დავხმარებოდი.

- დახმარება არ მჭირდება, - თქვა მან.

გავუღიმე.

- ჯერ არ შემხვედრია გოგონა, რომელსაც დახმარება არ სჭირდება.

- გოგონა არ ვარ, -მითხრა ტოვამ და უნგრელ ოფიციანტს წყლით სავსე ჭიქა გამოართვა. -ოცდაცამეტი წლის ქალი ვარ.

როდესაც ეს უცნაური სიტყვები წარმოთქვა, გაიღიმა - მაგრამ მხოლოდ ტუჩებით, სახის დანარჩენი ნაწილი ამ ღიმილში თითქოს არ მონაწილეობდა.

- მე კი ოცდარვა წლისა ვარ. ელიეზერი მქვია. - შევეპასუხე მე.

ტოვას აცრემლიანებულ თვალებში ღიმილი ჩაუდგა. სწრაფად გადაატრიალა მაგიდაზე დაგდებული ფურცელი, რომ არ მენახა, რა ეწერა მასზე და შემომთავაზა:

- დაბრძანდით, თუ გნებავთ.

მოვასწარი, თვალი შემევლო ფურცელზე დაწერილი მოკლე სტრიქონებისთვის, ტოვას მაგიდასთან დავჯექი და ვუთხარი:

- ახლა აქ უკვე ორი პოეტი ზის. შეიძლება წავიკითხო?

ის წამით შეყოყმანდა, თვალებში ეჭვმა გადაურბინა. ბოლოს გადაწყვეტილება მიიღო და ახალ სიგარეტს მოუკიდა,

- მაინც რა გინდათ ჩემგან?

- ისეთი არაფერი. - კითხვამ გამაოცა. - უბრალოდ, მინდოდა გამეცანით. ელიეზერ დრორი ვარ. ტელ ტომერის კიბუცში ვცხოვრობ. ზოგჯერ ლექსებს ვწერ, უმეტესად - კიბუცის ფესტივალებისთვის. იუმორისტული ლექსებია, მაგრამ სერიოზულ ქვეტექსტს შეიცავს.

- კიბუცის მცხოვრებთა უმრავლესობა გაუთლელი და ხეპრეა. მგონი, თქვენ ასეთი არა ხართ, თუნდაც იმის გამო, რომ ჩემს დასახმარებლად წამოხტით, როდესაც ხველა ამიტყდა. ტოვა მქვია და ძალიან ბევრს ვეწევი. ასე რომ დიდი მადლობა, ახლა თავისუფალი ხართ. შეგიძლიათ წახვიდეთ. უკვე უკეთ ვარ.

- ერთი წუთით დაიცადეთ, - ვუთხარი მე. ახლა ნამდვილად გაღიზიანებული ვიყავი და არ მსურდა, რომ მეპატიებინა ამ ქალისთვის შეურაცხყოფა, რომელსაც არ ვიმსახურებდი. - ჯერ ერთი, უკეთ სულაც არ ხართ. მეორეც, რას ნიშნავს ეს ფრაზა -"კიბუცის მცხოვრებნი გაუთლელები არიან"? მეც ხომ შემიძლია ვთქვა, რომ პოეტები შერეკილები არიან.

- მართალია. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ისინი გარემომცველ ადამიანებს მიჰყავთ ამ მდგომარეობამდე. იქნებ, ბოლოს და ბოლოს, მითხრათ, რა გინდათ ჩემგან?

ქოშინებდა. საფერფლე თავისკენ მისწია, ღონიერი და მოქნილი თითებით აიღო სიგარეტი, რომლის მოწევასაც აპირებდა, სანამ ხველება აუტყდებოდა, და მოუკიდა. შუბლი შეიჭმუხნა.. იმავ წამს შევნიშნე, რომ მარცხენა ხელის ცერი არ ჰქონდა.შემაჟრჟოლა. ვუთხარი:

- თუ მუზებს გიფრთხობთ, ჯობია გაგეცალოთ. მხოლოდ ის მინდოდა მეთქვა, რომ ნამდვილად მიყვარს პოეზია. ახლა კი ბოდიშს გიხდით და გემშვიდობებით.

- დაიცადეთ. - თქვა ტოვამ. - თუ არ გეჩქარებათ, ცოტა ხნით ჩემს მაგიდასთან დაჯექით.

- არ მეჩქარება. - ვუთხარი მე. და გადავწყვიტე, სადილის შემდეგ მოსაწევი სიგარეტი ახლა მომეწია.

- გაწყენინეთ, - თქვა ტოვამ.

ვიუარე. ვუთხარი, იმ ადამიანთა რიცხვს მივეკუთვნები, რომლებიც შეიძლება შეურაცხყონ, მაგრამ, ოცდათექვსმეტი წმინდანის[2] მსგავსად, გულში წყენას არასოდეს იდებენ-მეთქი. ქალმა უნდობლად გამიღიმა. თვალი გამირბოდა მაგიდისკენ, რომელზეც უცერო ხელი ედო. ტოვამ ეს შეამჩნია. მითხრა, ეს ლექსი, ფაქტობრივად დამთავრებულია და მხოლოდ ცოტაოდენ შესწორებას საჭიროებსო. დაინტერესდა, მართლაც მიყვარდათუ არა პოეზია.

დავარწმუნე, რომ მართლა მიყვარდა. გამოვუტყდი, რომ ერთხელ სერიოზული შინაარსის მქონე ლექსი დავწერე. ჯარში სამსახურის დროს, სამწუხარო ინციდენტის შემდეგ.

მითხრა, რომ არ მოსწონდა კიბუცელ პოეტთა დახვეწილი რითმები. მიუხედავად ამისა, თუ წავუკითხავდი ჩემს ლექსს, სიამოვნებით მომისმენდა. ახლა კი შეიძლებოდა ყავა დაგვეღია.

- ის ლექსი ჩემს მეგობარს ეძღვნებოდა, - ვუთხარი მე. - ნეტანიელი ბიჭი იყო. ჯარში ერთად დავიწყეთ სამსახური. ჩემგან ზუსტად ნახევარი მეტრის მოშორებით იდგა, როდესაც მოკლეს. ეს მაშინ მოხდა, ხირბეტ ზატარზე რომ მივიტანეთ იერიში. მისმა მშობლებმა გადაწყვიტეს, შვილის სახელის უკვდავსაყოფად წიგნი გამოე-

2. ებრაული მისტიკური ტრადიციის თანახმად, დედამიწაზე ყოველთვის არსებობს ოცდათექვსმეტი ფარული წმინდანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცათ. მთხოვეს, რამე დამეწერა ამ წიგნისთვის და ლექსი შევთხზე.

ლექსი ზეპირად მახსოვდა და წავუკითხე. პირველ სტროფში საუბარი იყო ქვიშაზე ამოზრდილი ნორჩი კვიპაროსის შესახებ. მეორე სტროფში - ხანძარზე, რომელიც ხეებს გაუჩნდა. მესამე სტროფში - იმაზე, რომ კვიპაროსი დაიწვა და ფიჭვმა წიწვები დაყარა, რადგან ვერ დაევიწყებინა კვიპაროსი და ვერ შერიგებოდა იმას, რომ თვითონ გადარჩა, კვიპაროსი კი დაიწვა.

- შესაძლოა, ეს გენიალური ნაწარმოები არაა, მაგრამ გულწრფელმა განცდებმა დამაწერინა,

ახლა თქვენი ჯერია. მაჩვენეთ, რა დაწერეთ.

- ერთი წუთით დაიცადეთ, - თქვა ტოვამ და მივხვდი, რომ არ სურდა, თავისი ლექსი ჩემთვის ეჩვენებინა. - თავდაპირველად ომის შესახებ მიამბეთ. იმ იერიშის შესახებ, რომელიც ახსენეთ.

- ხირბეტ ზატარი, - ვუთხარი მე, - საბედისწერო ადგილია..

და გავჩუმდი. ამ იერიშის შესახებ ვერ მოვუყვებოდი ისე, რომ არ მეხსენებინა ჩემი საკუთარი გმირობა, რომლისთვისაც დამაჯილდოვეს. ტრაბახი არ მიყვარს.

ტოვა არ ჩამციებია. შესაძლოა, გაიფიქრა, რომ მოგონებები ომის შესახებ ჩემთვის ძალიან მტკივნეული იყო. თავი უკან გადააგდო და თმა გადაიწია. ტუჩები უთრთოდა. წინააღმდეგობა ვერ გაუწევია და ვუამბე, როგორ მივცოცავდით სიბნელეში ტყვიამფრქვევის მახლობლად; რას ვგრძნობდი, როდესაც მივცოცავდი ტყვიამფრქვევისგან დაახლოებით ორმოცი მეტრის მანძილზე, როგორ გავანადგურე მეტყვიამფრქვევეები ხელყუმბარით, და როგორ მაქებდნენ შემდეგ.

ტოვა შეეცადა რაღაც ეთქვა, - შესაძლოა, უნდოდა, თავისი გრძნობები გამოეხატა - მაგრამ კვლავ ხველა აუტყდა. კანკალებდა და კვნესოდა, პირიდან გადმომსკდარი ნერწყვი მაგიდაზე წვეთავდა. მისი ხველა კვლავ ძაღლის ყეფას მაგონებდა. სანამ ცოტათი მომჯობინდებოდა, ზურგზე ხელს ვუტყაპუნებდი. ოფიციანტს ვანიშნე და გაიქცა, რომ კიდევ ერთი ჭიქა წყალი მოეტანა. და ეს ქალი სულ უფრო მეტად მნუსხავდა, შესაძლოა, მოჭრილი თითის ან ავადმყოფური ხველის გამო. რა უცნაურია, რომ, კრუნჩხვების მიუხედავად, მოწევას ცდილობდა, ისე, თითქოს სურდა, თავი დაესაჯა, თითქოს ტანჯვა სიამოვნებას ანიჭებდა. იმდენად მიზიდავდა, რომ მსურდა მოვხვეოდი, რასაც შემდგომ, რა თქმა უნდა, ვინანებდი?

მეხსიერება ყველაფერს ამახინჯებს.

სინამდვილეში არაფერი მომხდარა, გარდა იმისა, რომ ის ახველებდა, მე კი ვგრძნობდი გულისრევას და იმასაც, რომ ეს ქალი სულ უფრო მიზიდავდა. ყველა სხვა დეტალი საიდანღაც მიეწება ჩემს მეხსიერებას და მოსვენებას არ მაძლევს: ესაა ქალაქის ხმაური, ქარის მოტანილი ზღვის სურნელი, ოფლის სუნი, გამხდარი და წვერგაუპარსავი მამაკაცი, რომელიც სიგარეტების საყიდლად შემოვიდა და სულელური ღრეჭით გვითხრა, იჩქარეთ, იჩქარეთ, დრო მიდისო, პატარა გოგონა, რომელიც შემოვიდა, უნგრელ ოფიციანტს სახელო მოქაჩა და უთხრა, სასწრაფოდ უნდა მოხვიდე, ელენე ამბობს, მივდივარ და ვერ დავიცდიო, და ჩემ მიერ მოკლული ბუზები სუფრაზე.

ყველა ეს დეტალი თხრობას არაფერს სძენს და არაფერს გამორიცხავს. ამბავი უნდა განვითარდეს, მეხსიერება კი არ ვითარდება. ის უკან იხევს, დასასრულიდან დასაწყისისკენ, როგორც კიბორჩხალა, როგორც ადამიანი, რომელიც კოშმარმა გააღვიძა და ცდილობს გაიხსენოს, როგორ დაიწყო სიზმარი და როგორ მიაღწია იმ წერტილს, სადაც შიშმა ძლი დაუფრთხო.

მალე ახალი ბუზები მოფრინდნენ, რათა დაეყნოსათ თავიანთი მკვდარი თანამოძმეების სუფრაზე. თაროზე შემომდგარი დიდი ძველებური საათი, რომელმაც 10:30-ზე გამოაცხადა, რომ 10:30 იყო, 11:00-ზე და 11:20-ზე კვლავ ჟინიანობდა, 10:30 შესრულდაო.

კვლავ ვარწმუნებდი ტოვას, ეჩვენებინა თავისი ლექსი და ამისთვის იუმორი მოვიშველიე: ნეტავ, რომელი მუზა დავაფრთხე, როდესაც მოგიახლოვდით-მეთქი? ქალმა მიპასუხა, რომ მისი ლექსები მუზებისა და შთაგონების ჩარევის გარეშე იწერებოდა და რომ წერისას ყინულივით ცივი იყო, ისეთი, როგორიცაა მომწამვლელ ნივთიერებებთან მომუშავე ქიმიკოსი ლაბორატორიაში: ფრთხილი, საღად მოაზროვნე და ყურადღებიანი. ლექსი ხომ ფუნდამენტური კომბინაციების შედეგად წარმოიქმნება. როგორც ნაზავი სითხე. როგორც საწამლავის კრისტალები.

ის ლაპარაკობდა, ლაპარაკობდა... უეცრად ფურცელი გამოვართვი, გადავატრიალე და კითხვა დავიწყე.

ტოვას სიტყვა გაუწყდა. შესაძლოა, გაფითრდა კიდეც. ლექსი ერთხელ წავიკითხე და როდესაც გადაკითხვა მოვინდომე, ტოვას უკვე ახალი სიგარეტი ეჭირა, ეწეოდა და კანკალებდა, თითქოს ყველაფერი ჩემზე იყო დამოკიდებული, იმაზე, თუ რას ვიტყოდი ან როგორ მოვიქცეოდი. შემდეგ შევამჩნიე, რომ როდესაც ვკითხულობდი, ჩემი თვალების მოძრაობას აკვირდებოდა. რადგან პირისპირ ვისხედით, ის ცდილობდა უკულმა წაეკითხა ლექსი, ისე, როგორც იქცევა იმიგრანტი ბავშვი, რომელიც თორას წაკითხვას ცდილობს. ხელზე ხელი დამადო და მითხრა:

- არაფერი თქვა. ჯერჯერობით არაფერი თქვა. დაიცადე. შესაძლოა, არ გსურს რაიმეს თქმა. ვალდებული სულაც არა ხარ, რომ რამე თქვა.

მისი ხელი ჩემს ხელზე... და ლექსი:

აქ ყველა მდინარე ზღვისაკენ მიედინება,
ზღვა კი მაინც არ აღივსება;
აქ ყველა ლექსი წამლავს სისხლს,
სისხლი კი მაინც იწმინდება;

ყოველივე, რაც აქაა, საიქიოშიგანაგრძობს
არსებობას,
მაგრამ იქ ზღვა კვდება და იშრიტება.
ბრძენკაცებმაც კი არ იციან,
რომ განსაწმენდელში მარადიული მხოლოდ
მდინარეებია.
ყველა მდინარე ზღვისაკენ მიედინება,
ზღვას კი არ სძინავს, არ ქრება და არ არსებობს.

- თუ რამის თქმა გსურს, თქვი. ახლავე.

- ბოლო სტრიქონი არღვევს ლექსის კონსტრუქციას, - ვაღიარე მე.

ტოვამ მოულოდნელად მითხრა:

- უცოლო ხარ. და უახლოეს ხანებში ცოლის შერთვას არ აპირებ.

ვერ მივხვდი, რა კავშირი ჰქონდა ამ სიტყვებს ჩემს ნათქვამთან. გადავწყვიტე, ყურადღება არ მიმექცია.

- ცოტათი რომ დაგეხვეწა ან ბოლო სტრიქონი შეგემოკლებინა, ლექსის საზრისი უფრო თვალსაჩინო გახდებოდა, და იქნებ რითმაც მოგეძებნა ბოლო სტრიქონისთვის? შესაძლოა, წერაში ხელი მე შეგიშალე.

- რა თავაზიანი ხარ. იქნებ ზღვისკენ ერთად გაგვესეირნა?

წავიდეთ-მეთქი, ვუთხარი.

მაღალი და წარმოსადეგი ახალგაზრდა კაცი ვარ და ამან, ისევე, როგორც ჩემმა ნაამბობმა ხირბეტ ზატარის, ასევე - ტყვიამფრქვევისა და დაჯილდოების შესახებ, როგორც ჩანს, მოხიბლა ქალი.

როდესაც ანგარიში მოიტანეს, ოფიციანტს ჩვენი ყავის საფასური გადავუხადე და ტოვას გადავულაპარაკე:

- ნუ შემეკამათები. ეს არაფერია. დაივიწყე.

- მართლაც რომ ერთ-ერთი ხარ ოცდათექვსმეტი წმინდანიდან. შეტევა მეწყება. არ შემეხო. - შევამჩნიე, რომ დაჭმუჭნილი და არც ისე სუფთა ცხვირსახოცი ჰქონდა. უცნაურია, მაგრამ ეს დეტალიც კი მიმძაფრებდა მისდამი ლტოლვას.

ისე ახველებდა, თითქოს, საცაა, ფილტვებს ამოაყოლებსო. სახე დაემანჭა, თვალებში კვლავ ცრემლები ჩაუდგა და მალე ცრემლები და ნერწყვი ერთმანეთს შეერია. ცდილობდა სახე გაემშრალებინა, მაგრამ ვერ ახერხებდა. დავაპირე, მისთვის სახე ჩემი ცხვირსახოცით გამეწმინდა, მაგრამ შემდეგ გამახსენდა, რომ მთხოვა, არ შევხებოდი. ვხედავდი, როგორ აფათურებდა თავის დასახიჩრებულ ხელს ჰაერში, თითქოს რაღაცას ეძებდა და ვერ პოულობდა. აღგზნებისგან ვკანკალებდი, მაგრამ თავს ვიკავებდი. ტოვა ყავის მოსახარშ ავტომატთან მივიდა, მის ბრჭყვიალა ზედაპირზე არეკლილ თავის სახეს შეხედა და შეეცადა სახე და თვალები შეეშშრალებინა, აწეწილი თმა დაევარცხნა.

ის ვუთხარი, რასაც გამოუცდელ ჯარისკაცებს ვეუბნებოდი ხოლმე ლაშქრობის დროს:

- არა უშავს. არც ისე ცუდია.

ტოვამ მთხოვა, ერთი წუთით დამიცადეო და რესტორნის საპირფარეშოში გაუჩინარდა. ერთი წუთი გავიდა. მას კიდევ რამდენიმე წუთი მიჰყვა და შევშფოთდი. ამასობაში ჯიბიდან იშვიათი ავსტრიული მარკა ამოვიღე და მდინარეში მობანავე ქალს დავხედე. ამ მარკის დაბეჭდვიდან სამოცი წელი გასულიყო. ქალიც მკვდარი იყო და მდინარის ნაპირას მდგარი ირემიც. ავსტრია-უნგრეთი აღარ არსებობდა. დარჩა მხოლოდ მდინარე, რომლის სახელწოდება უცნობი იყო, და მარკა, რომლის ნომინალური ღირებულება ძალზე უმნიშვნელო იყო მის რეალურ ღირებულებასთან შედარებით. ასე ექცევა დრო საგნებს. ტოვა საპირფარეშოდან გამოვიდა. სახე დაებანა, თმა დაევარცხნა. ლამაზი იყო. დამეყრდნო და, ხელიხელგაყრილნი, რესტორნიდან გამოვედით.

ვუამბე მარკების შეგროვების, ასევე - იმ საქმის შესახებ, რომელმაც თელ-ავივში ჩამომიყვანა და რომლის გამოც მას ერთი საათისა და ორმოცი წუთის შემდეგ უნდა დავცილებულიყავი. ჩემი ხელი წელზე შემოიხვია. თბილი თეძოები ჰქონდა. ჩრდილოეთ თელ-ავივში ვიყავით, სანაპიროსკენ მიმავალ ქუჩაზე. სადღაც ახლოს დოქტორი ელიეზერ მ. ბერლინი ცხოვრობდა. ქალაქში დღეს ჩამოვედი, რადგანაც დოქტორ ბერლინთან საქმე მქონდა.

როდესაც ზღვისკენ მივდიოდით, ტოვას ვთხოვე, რაიმე ეამბნა თავის შესახებ, ბოლოს და ბოლოს, მე ხომ თითქმის მთელი ჩემი ცხოვრება ავუწერე - ჯარში სამსახური, შუქფარები, ქალიშვილები, მარკები, პოეზია - მას კი არაფერი მოუყოლია, გარდა იმისა, რაც ლექსში იყო ნათქვამი. ტოვამ გამომაჯავრა და ისრაელის რადიოსავით გამოაცხადა: „გიტა, ლიზა და რობერტ-რეუვენ ლივის ასული, დაიბადა 1926 წელს ბრატისლავაში (სლოვაკეთი). ვენისა და ტიროლის გავლით გაემგზავრა ისრაელში და იქ დასახლდა. 1946 წელს ცხოვრობდა ობოლთა ებრაული სააგენტოს თავშესაფარში, შემდეგ კი - სამარიის კიბუცში. ბოლოს ნახეს კიბუცის მკვიდრ ჩაფსკენილ ახალგაზრდასთან ერთად. თუ მოგეპოვებათ ნებისმიერი ინფორმაცია მის შესახებ, ტელეფონით დაგვიკავშირდით“. კიდევ რისი გაგება გსურს?

ზრდილობის გამო გავიღიმე. სინამდვილეში ამ ხუმრობაზე არ მეცინებოდა. ვკითხე, რა შეემთხვა შენს ოჯახს და რას საქმიანობ, ლექსების წერის გარდა-მეთქი.

ტოვამ კიდევ რამდენიმე დეტალი მიამბო თავისი ცხოვრებიდან, მაგრამ იმ თანმიმდევრობით, რომლითაც იხსენებდა, ასე რომ, ამ ამბების რეალურ ქრონოლოგიურ თანმიმდევრობას ვერ ვხვდებოდი. მამამისი სტომატოლოგი იყო, დედა კი - ფორტეპიანოზე დაკვრის მასწავლებელი. ომის დროს ის და მისი ოჯახი საკონცენტრაციო ბანაკში მოხვდნენ. ტოვას მამა მოკლეს, პატარა და სადღაც გააქრეს, დედა სხვა ბანაკში გადაიყვანეს. არც ერთი მათგანი არ გადარჩენილა. თავად

ტოვა კი გააუპატიურეს. ცერა თითი კიბუცში დაკარგა - ეს გერმანელებს არ ჩაუდენიათ. ომის შემდეგ ექთნად მუშაობდა ობოლთა სოფელში. მისი ლექსები რამდენიმე ჟურნალმა გამოაქვეყნა. პირველი წიგნი უკვე გამოიცა და მოწონება დაიმსახურა. საარსებო სახსრებს სარეკლამო მასალის გაფორმებით შოულობდა. იზოლირებულ კაფეებში ხატავდა ხოლმე. თითქმის შეყვარებული იყო ჩემზე. ასე მითხრა.

შესაძლოა, ყოველივე ეს დასაწყისში უნდა დამეწერა, სანამ სხვა ამბების თხრობას დავიწყებდი. დარწმუნებული არა ვარ, როგორი იყო მოვლენების ქრონოლოგიური თანმიმდევრობა.

ზღვასთან გვერდითი გზით მივედით. შეგვეძლო მოკლედ მოგვეჭრა და პლაჟამდე რამდენიმე წუთში მივსულიყავით, მაგრამ ტოვამ მოინდომა, მარჯვნივ გაგვეხვია და სანაპირო ზოლის პარალელურ, ელიეზერ ბენ იეჰუდას ქუჩაზე გაგვევლო. სველმა ტუბერკულოზურმა ხველამ რამდენჯერმე კვლავ შემოუტია და გამვლელებისა ცოტათი შემრცხვა. ტოვამ ეს შეამჩნია და ბოდიში მომიხადა შეტევის დაწყებამდეც და შემდეგაც, როდესაც სწრაფად უკიდებდა სიგარეტს. ჩასუქებული დედები საბავშვო ეტლებს მიაგორებდნენ. ხანდახან სასიგნალო სირენის ხმა გვესმოდა. ერთხელ შევჩერდით, რომ გვენახა, როგორ ჩეხდა ხორცს ყასაბი.

ჟაბოტინსკის ქუჩის კუთხეში ტოვას ნაცნობს შევხვდით. ქონდრისკაცივით ტანდაბალი, მახინჯი, გაურკვეველი ასაკის, ვიწრო შარვალსა და ჭყეტელა პერანგში გამოწყობილი ახალგაზრდა გახლდათ. თითქმის მთლიანად თავმოტვლეპილი იყო, მაგრამ დარჩენილი თმა რქასავით ჰქონდა წამოქოჩრილი. ტუჩებზე გრძელი მეჩხერი ულვაში დაჰკიდებოდა. ტოვას მკლავებში ჩაუვარდა, გადაეხვია და გადაკოცნა. ისე იქცეოდა, თითქოს ვნებისგან კვდებოდა, შემდეგ კი ვიღაც პოეტი და ლიტერატურული კრიტიკოსი გააქილიკა, რომლის შესახებ არაფერი მსმენოდა. ამ არარაობის დაცინვა რომ დაამთავრა, მხოლოდ მაშინღა მომიბრუნდა, თავხედურად შემათვალიერა და ტოვას ჰკითხა, ეს შენი ახალი საყვარელიაო? ტოვამ უთხრა, რომ ასე იყო.

როდესაც - ბოლოს და ბოლოს - ამ კლოუნს გავეცალეთ, ტოვამ მითხრა, რომ მას გიუნტერი ერქვა, მაგრამ ყველა გუსტავს ეძახდა. ეს კაცი თავს ისრაელში ხელოვნების აბსურდისტული სკოლის ფუძემდებლად მიიჩნევდა, მაგრამ მისი რეალური პროფესია სასამართლოს ექსპერტობა გახლდათ. აკვირდებოდა და აანალიზებდა სიგარეტების ფერფლს, ნერწყვის წინწკლებს და ასე შემდეგ. ოდესღაც ტოვას გუსტავი ძალიან უყვარდა, რადგან მის აგრესიულობაში ტრაგიზმს ამჩნევდა, მაგრამ ახლა მასთან შეხვედრაც კი არ სიამოვნებდა. ასეთივე დამოკიდებულებაჰქონდა ზოგიერთი ყოფილი საყვარლის მიმართაც, რის გამოც თავის თავს ადანაშაულებდა. ამასობაში სიცოცხლე მიდიოდა და იფერფლებოდა.

გავიფიქრე, რომ ახლა ტოვას სილამაზე ქათინაურით უნდა შემემკო, რათა არ ეფიქრა, რომ ჩემი ცხოვრებაც იფერფლებოდა. ვნებისგან დაცლილი ვიყავი. ჩემი ქათინაური ქალმა მადლიერებით მიიღო და ერთი მათგანი გამამეორებინა კიდეც, თან განუწყვეტლივ მეკითხებოდა, ეს სიმართლეა თუ არაო.

სიყვარულზე რომ დავიწყეთ საუბარი, ტოვას მოვუყევი, როგორ შევუყვარდი ასაკოვან ქალს, როდესაც ჯარში ვმსახურობდი. ეს ქალი ნათესავების მოსანახულებლად მოვიდა კიბუცში, ჯერ კალათბურთის მოედანზე დამინახა, მომდევნო საღამოს - საცურაო აუზში, და ამის შემდეგ მოსვენებას აღარ მაძლევდა. ხვლიკივით მახინჯი იყო. კიბუცელმა გოგონებმა და ბიჭებმა შეამჩნიეს, რაც ხდებოდა. აქამდე ჰყვებიან ანეკდოტებს ამ ამბის შესახებ.

- დედაშენი ხომ არ ვარ, რომ რჩევები მოგცე, - თქვა ტოვამ.

ეს შენიშვნა უადგილოდ მომეჩვენა, მაგრამ წავუყრუე.

შემდეგ ტოვამ მითხრა, რომ სარეკლამო კამპანიებში ლუკმაპურის საშოვნელად მუშაობას პროსტიტუციის ერთგვარ ფორმად მიიჩნევდა.

ვუამბე, როგორ გამომიცხადეს მადლობა შტაბის უფროსის კაბინეტში, როგორ კითხულობდნენ მადლობის ტექსტს, როგორ აღწერა ჩემმა უშუალო უფროსმა ჩემი გმირობა და როგორ მუდმივად მიტრიალებდა თავში მოგონება ნეტანიელი მეგობრის შესახებ, რომელიც ხირბეტ ზატარში მოკლეს, ჩემგან ნახევარი მეტრის მანძილზე.

ტოვამ მიამბო კონკურსის შესახებ, რომელშიც ოდესღაც გაიმარჯვა: მხატვარ გრაფიკოსთა კონკურსის მონაწილეებს აშშ-სთვის სარეკლამო პლაკატი უნდა შეექმნათ თავისუფლებისა და ბედნიერების შესახებ. ტოვამ დახატა პლაკატი, რომელიც თვითონვე სძაგდა: თავისუფლება და ბედნიერება მან წარმოადგინა როგორც ფანტასტიკური ფრინველები გულისამრევად „ტკბილი“ საბავშვო მოთხრობიდან. ამ სისაძაგლემ საერთაშორისო ჯილდო დაიმსახურა.

როდესაც ჰა-იარკონის ქუჩა გადავჭერით, გადავწყვიტე ტოვასთვის მარკა მეჩვენებინა და ამეხსნა იმ შეხვედრის მნიშვნელობა, სადაც ერთი საათის შემდეგ უნდა მივსულიყავი. ავუწერე მას მარკების კოლექციონირობით მონიჭებული სიამოვნება, მათი თანმიმდევრობა და წესრიგი, რომელიც ჭეშმარიტად მშვენიერი თვალით სანახავი რამ იყო.

ტოვა შეჩერდა, ზღვას თვალი შეავლო და წარმოთქვა, ღმერთი გვაგროვებს, ერთიმეორის მიყოლებით გვალაგებს, თავის ალბომში გვათავსებს და ტკბება ჰარმონიით, რომელიც იმალება ჩვენი ტანჯვის მიღმაო.

ეს ფრაზა მდუმარედ მოვისმინე.

ტოვამ მითხრა, მიყვარხარო, და ძველისძვე-

ლი საფეხურებით ჩავედით ზღვისკენ. ცხელოდა. ოფლისგან დასველებული პერანგი ზურგზე მიმეკრო. მწყუროდა. ტოვა კვლავ ახველებდა, როდესაც შეტევამ გაუარა, ავსტრიული მარკა ვუჩვენე: მდინარეში მობანავე ქალი და ნაპირზე მდგარი ირემი.

ნაპირთან მყოფი ბიჭები სტვენით შეგვხვდნენ. არ ვაპირებდი, ეს თავხედობა უპასუხოდ დამეტოვებინა. წამოვდექი და პერანგი გავიხადე. ბიჭები მაშინვე გაგვეცალნენ. ქალს ვუთხარი, რომ ფიზიკური აღნაგობის გამო ტრაბახი არ მჩვეოდა, მაგრამ კარგი იყო, რომ ეფექტი საკუთარი თვალით იხილა. გაეცინა. ერთი პეშვი ქვიშა ავიღე და შარვალში ჩავუყარე. ტოვამ მთხოვა, მოდი, გვერდით მომიჯექიო. მივუჯექი.

- ერთხელ , - მითხრა მან, - მონაწილეობა მივიღე კონკურსში, სადაც წარმოდგენილი იყო ქვეყნის საიუბილეო მარკის პროექტები. დავხატე ბერიკაცი და დედაბერი, რომლებიც ეკალბარდებსა და ნარშავას ბუჩქებში, ტრიალ მინდორზე ისხდნენ და მზის სხივებს ეფიცხებოდნენ. რა თქმა უნდა, სხვა პროექტი შეარჩიეს. რომ გამემარჯვა, ჩემს მარკას შენს ალბომში შეინახავდა და მისი ავტორის შესახებ არაფერი გეცოდინებოდა. ცოლად შემირთავ?

- რა თქვი?

- მზე, ფაფუკი ქვიშა, ცა, სიცხე, ქარი - ყველაფერი ეს ჩემი სიყვარულის მოწმეა. რატომ ჯიუტობ? რატომ გსურს ჩემი მიტოვება? სულმოუთქმელად გარბიხარ ერთი ღამიდან მეორისაკენ, ისე, თითქოს სიკვდილი წვეულება იყოს, რომელზეც არ უნდა დაგაგვიანო. ისწრაფე, თუ ასე გინდა. არ შეგაყოვნებ. წადი და გაცვალე შენი მარკა. ოდესმე თვითონ აღმოჩნდები ტყვიამფრქვევთან. უცნობი მოგეპარება და შეუმჩნევლად მოგკლავს, სანამ თავის მოტრიალებას მოასწრებდე. წადი. ახლავე წადი. მშვიდობით.

- ტოვა, - შევევედრე მე, - შეუძლოდ ხარ. ასე სწრაფად როგორ უნდა მივიღო გადავწყვეტილება ისეთი მნიშვნელოვანი ნაბიჯის გადადგმაზე, რასაც ქორწინება ჰქვია? უნდა იმკურნალო. არ უნდა მოსწიო. ყური მიუგდე, როგორ ახველებ! ყური მიუგდე.

ის დუმდა. იმ წუთებში არ ახველებდა. არავითარ ვნებას აღარ ვგრძნობდი. ვტკებებოდი მხოლოდ ზღვით, ქარით, მზითა და ქვიშით. ტოვა ძალიან ლამაზი და ძალიან შორეული იყო.

ქვიშაზე მდუმარედ ვხაზავდით გამოსახულებებს. გამახსენდა, რას მიყვებოდა ტოვა, როდესაც ზღვისკენ მოვდიოდით. საკონცენტრაციო ბანაკში ერთი გერმანელი ოფიცერი მსახურობდა. ტოვა მაშინ თხუთმეტი წლისა იყო. ამ გამხდარ შავგვრემან ოფიცერს სევდიანი თვალები ჰქონდა. თავის ოთახში ნაძარცვი პოლონური პიანინო ედგა. ოფიცერი ტოვას პიანინოზე დაკვრის უფლებას აძლევდა. უსმენდა, ტიროდა, შემდეგ ტყავის ქამარს იხსნიდა და ტოვას უბრძანებდა, მცემეო. გოგონა იძულებული იყო, მთელი ძალ-ღონით ეცემა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ოფიცერი მას ანთებული სიგარეტით აწამებდა. უბედური კაცი იყო. უზარმაზარი ნაგაზი ჰყავდა, სახელად ჰაინე. ამ ძაღლს ებრაელები სძულდა. ყნოსვით აგნებდა და კბენდა.

კიბუცში ტოვას ძალიან ლამაზი ახალგაზრდა საყვარელი ჰყავდა. ნამდვილი მძინარე პრინცი იყო. არნონი ერქვა. შეეძლო, ხელებზე ევლო და ფეხები ჰაერში ექნია.

ვუთხარი, ხელებზე სიარულიც შემიძლია და საფეხურების ავლაც-მეთქი.

- ცრუპენტელა ხარ. - მითხრა ტოვამ. - აბა, მაჩვენე, თუ მართლაც შეგიძლია, ახლავე მაჩვენე.

ვყოყმანობდი. უეცრად ის თავისი დასახიჩრებული ხელით კისერზე შემეხო. შემაჟრჟოლა და დავემორჩილე. წამოვდექი, ფეხსაცმელები გავიხადე, სალტოთი უკან გადავიზნიქე, ხელებზე დავდექი და გავიარე. ძალდაუტანებლად ვმოძრაობდი. შეზლონგებში მსხდარმა დედაბრებმა დანაოჭებული კისრები წაიგრძელეს. სტვენა და ტაშის ხმა მომესმა. მოხდენილმა ტურისტმა გოგონამ ფრანგულ მანერაზე „ო-ლა-ლა“ წამოიძახა. ხალხის რეაქციისთვის ყურადღება არ მიმიქცევია და ტოვასთან დავბრუნდი. ეწეოდა.

- რა საყვარელი ხარ, - მითხრა ტოვამ.

- კოცნა არ დავიმსახურე? - ვკითხე მე.

მან გაიღიმა, თავის სიგარეტს აკოცა და მითხრა:

- მოითმინე, ბიჭუნა.

დრო აღარ მქონდა. როდესაც ის შეტრიალდა, საათზე დავიხედე. თხუთმეტი წუთი დამრჩენოდა.

- დავუშვათ, ჩემზე დაქორწინება მოინდომე, - მითხრა მან სიცილით. - წარმოიდგინე, რომ მოინდომე. იცი, როგორ უნდა მოვიქცეთ?

- უნდა წავიდეთ და დავრეგისტრირდეთ. ბეჭდები ვიყიდოთ. ვაცნობოთ ჩვენს მეგობრებსა და ნათესავებს.

- არა. ჩვენ უნდა გავყვეთ სანაპიროს და მივიდეთ იმ ადგილამდე, სადაც არავინ იქნება, წყლის, ჩამავალი მზისა და ჩვენ გარდა, რადგან იქ მხოლოდ საღამოს თუ მივაღწევთ. მერე ტანზე გავიხდით და წყალში შევალთ. შენზე ლექსს დავწერ. შენ წამიყვან ხირბეტ ზატარში და მიჩვენებ, როგორი გმირი ხარ, ღამით კი ზღვასთან დავბრუნდებით. შენ მთელ ღამეს მარკების ჩაწებებას მოანდომებ, მე კი გიყურებ და ვიცინებ.

- ტოვა, - ვუთხარი მე. - ამას სერიოზულად არ ამბობ. მე ხომ მართლა უნდა წავიდე. შენი ტელეფონის ნომერი მომეცი და როდესაც კვლავ მოვიხდება ქალაქში ჩამოსვლა შუქფარებთან დაკავშირებულ საქმეებზე, შევხვდებით.

მან ვერაფერი მიპასუხა. ხველება აუტყდა, სიგარეტი ხელიდან გაუვარდა და ქვიშაზე დაეცა. სახე გაუწითლდა და პირიდან ნერწყვი წამოსკდა. უცერო ხელი უმწეოდ აიქნია. პატარა ჩალის ჩანთა დაუვარდა და იქიდან ნივთები გადმოცვივდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ ვიცოდი, უნდა ამელო ისინი თუ ზურგზე დამერტყა ტოვასთვის. გადავწყვიტე, არ დამერტყა, რადგან რამდენჯერმე მთხოვა, არ შეეხებოდი. ვიცდიდი, მაგრამ ამჯერად ხველების შეტევა დიდხანს გაგრძელდა.ტოვას მდგომარეობა სულ უფრო მძიმდებოდა, იმდენად, რომ გულისრევა ვიგრძენი. გულისრევის შეგრძნება თანდათან გამიმძაფრდა და მასთან ერთად გამძაფრდა ჩემი ლტოლვაც ქალის მიმართ. არ ვიცოდი, როგორ მოვქცეულიყავი.

ბოლოს დამშვიდდა, მაგრამ მე ვერ ვმშვიდდებოდი. მთხოვა, მაპატიეო. მაშინვე ვაპატიე.

შემდეგ დავცილდით და აღარასოდეს მინახავს.

ყველაფერი თანმიმდევრობით უნდა ჩავწერო. ბოლო წუთები არ უნდა გამოვტოვო. როგორ მოხდა, რომ ეს მანიაკალური სურვილი - შევხებოდი მის დასახიჩრებულ ხელს, დავმორჩილებოდი ამ ქალს, ცოლად შემერთო - იმდენად ძლიერი იყო, რომ ტკივილსაც კი მაგრძნობინებდა?

და როგორ შევძელი, რომ მეთქვა:

- როგორც გენებოს, ისე მოვიქცეთ. მგონი, არაფერი დაშავდება, შეხვედრაზე ცოტათი რომ დავაგვიანო. იქნებ, მარკებით მოვაჭრე კაცი დამელოდოს. წავიდეთ იმ ადგილას, რომელიც შენ ახსენე, ან კიდევ - შენს ოთახში.

მაგრამ, იმის ნაცვლად, რომ ბედნიერი ყოფილიყო, ტოვამ გადაწყვიტა, კიდევ უფრო მეტი მოენია, ისე, რომ ფილტვები ტკივილისგან შეეკუმშოდა. ჩემ პირისპირ იდგა, ცხრა თითს ყელზე იჭერდა, ქოშინებდა და ცდილობდა წაეკითხა თავისი ლექსი. ისე კითხულობდა, თითქოს ლექსის სიტყვები ექიმის დანიშნულება ან რომელიღაც წამლის სახელწოდება იყო, რომელიც მას ხველის შეტევებისგან იხსნიდა: ყველა მდინარე ... (ხველა)... მიედინება...(ხველა)... ყველა...(ხველა, ხველა)...იქ მიედინება და არის მხოლოდ...(ხველა, ხველა) - მომაკვდავი...

მოთმინება დავკარგე.

ხელი ვტაცე, შემდეგ ორივე ხელში ჩავავლე ხელები, ვანჯღრევდი და ვუყვიროდი, რომ ასე არ უნდა მოქცეულიყო, რომ შეშლილი იყო, ავადმყოფი. მისი ფილტვები აუტანელ ხმებს გამოსცემდა. შინ უნდა წასულიყო და მეც უნდა წავსულიყავი. უფლება არ ჰქონდა, პასუხისმგებლობა თითქმის უცნობი ადამიანისთვის დაეკისრებინა.

მან უხეშად გაითავისუფლა თავი. ხრიალებდა და თან ახალი სიგარეტის კვამლს ისუნთქავდა.

- დაიცა, - თქვა მან ოდნავ გასაგონად. - დაიცა. შენც იგივე დაგემართება. ახლა ძალიან ღონიერი ხარ და სპორტული აღნაგობა გაქვს. შეგიძლია ხელებზე იარო და ბუნკერები ააფეთქო, მაგრამ ეს ვერ გიშველის, როდესაც ერთ დღეს სხეული გიღალატებს. და მაშინ გაიხსენებ, რომ გაფრთხილებდი. ამ მშვენიერ სხეულს უვლი, დაზიანებისგან იცავ, მაგრამ ის მოღალატეა. ერთ ღამეს ისეთ ტკივილს იგრძნობ, თითქოს დანა ჩაგარჭეს და გაიხსენებ, რასაც გეუბნებოდი. შენი სხეული დაივიწყებს, როგორ უვლიდი მას. ღამით შიში გაგაღვიძებს და ეს სხეული მოგკლავს. ღამით, როდესაც შენ გვერდით არავინ იქნება, არც დედა, არც მამა, არც კიბუცი, არც ქალი. მხოლოდ შენ და შენი მკვლელი იქნებით. და მას ვერაფერი შეაჩერებს. მოკვდები. ახლა შეეცადე გაიქცე, სულელო. გაიქეცი, თუ შეგიძლია, ისე, რომ აღარასოდეს გიხილო. გაიქეცი.

ტიროდა. ჩუმად ტიროდა. არ ვიცოდი, რა მექნა. ცხელოდა. მაგვიანდებოდა. ვუთხარი, რომ მართლა უნდა წავსულიყავი და მეგობრულად უნდა დავცილებოდით ერთმანეთს. გამიღიმა, ჩემკენ გადმოიხარა და გული აერია. მთლიანად დავისვარე.

ერთი სიტყვაც არ მითქვამს, ისე გავიქეცი.

ტანისამოსი საზოგადოებრივ აბანოში გავიწმინდე.

დოქტორი ელიეზერ მ. ბერლინი მაშინ ვნახე, როდესაც უკვე მიდიოდა. სხვა კოლექციონერმა დაგასწროთ, მშვიდობით და კარგად ბრძანდებოდეთ, ამაზე ნუღარ ვილაპარაკებთო, მითხრა.

ხუთ საათზე თელ-ავივი დავტოვე. ექვს საათზე უკვე ჰაიფაში ვიყავი. საღამოს რვა საათზე ჩემს ოთახთან მიერთებულ სააბაზანოში საგულდაგულოდ ვიბანავე და ტანსაცმელი ქაღალდის პარკში ჩავყარე. თავიც დავიბანე. ამის შემდეგ სალათი და პური შევჭამე, მაგრამ - უგემურად. მოვისმინე კონცერტი ფლეიტისათვის. ერთი ჭიქა ვერმუტი დავლიე. კარზე დავკიდე ფირფიტა წარწერით: „არ შემაწუხოთ, ამ საღამოს არ მცალია“. ქალიშვილები არ მოსულან ან, შესაძლოა, მოვიდნენ, წარწერა წაიკითხეს და წავიდნენ. იშვიათი ავსტრიული მარკა თავის ადგილას დავაბრუნე. მდინარეში მობანავე ქალი. ნაპირზე მდგარი ირემი.

შემდეგ ჩემი ალბომები გადავათვალიერე და გადავწყვიტე, რომ უნდა ჩამეწერა ყველაფერი, რაც იმ დღეს შემემთხვა. უწესრიგოდ ჩავიწერე. ყველა დეტალის ჩაწერა ვერც შევძელი.

ახლა ჩემს საწერ მაგიდას სინათლის წრე ადგას. მძიმე ალბომი, რომელსაც ვარშავული ყდა აქვს, ბოსნიისა და ჰერცეგოვინის გვერდზეა გადაშლილი. ახლა აღარც ბოსნია არსებობს და არც - ჰერცეგოვინა. ამ გვერდზე მოთავსებული უკანასკნელი მარკა - ბოსნია-ჰერცეგოვინის მიერ გამოშვებული უკანასკნელი მარკაა. გარეთ სრული სიჩუმეა, რომელსაც მხოლოდ ჭრიჭინებისა და ბაყაყების ხმები არღვევს. არავის არაფერს ვსაყვედურობ - არც ტოვას, არც საკუთარ თავს და არც მარკების კოლექციონერებს. წარმომიდგება ნაკადულები, რომლებიც წარმოქმნიან მდინარეებს, მდინარეები კი ზღვაში ჩაედინებიან. ნეტავ, რატომ ვნატრობ, რომ ახლა, ამ წუთას, დაუყოვნებლივ, მოვკვდე?!

© The New Yorker
7 იანვარი, 2019

ვახტანგ კომახიძე

გაქცევის ტყვეობა



საპყრობილეში სიგრძეზე ჩამწკრივებულ ორსართულიან საწოლებზე პატიმრებს ძინავთ. მათ სახეებს ჭერში ერთმანეთზე მიყოლებული ნათურების მბჟუტავი სინათლე ეფინება. ღრიჭოებიდან იმდენად უბერავს, რომ პატიმართა სადგომის სუნი არავის უნდა აწუხებდეს, მაგრამ, თუ ვინმე მაინც გრძნობს უსიამოვნებას, საბნის ქვეშ შეყოფს თავს - შენი სუნი მაინც შენია!

ქარი ფანჯრებს აზანზარებს - ხანდახან გაუთავებლად, განუწყვეტლად... ქარის ახალი და ახალი ნაკადი აწყდება ფანჯრებს და ყველაფერი ხმაურობს... ზოგჯერ, როცა ქარი შესუსტდება, ხმაური ნელდება, სიმშვიდის შეგრძნება ჩნდება და თითქოს ამ სიმშვიდით სულმოთქმული რომელიმე პატიმარი ხვრინვას ამოუშვებს, მაგრამ მას მაშინვე რამე ნივთს, მაგალითად, ფეხსაცმელს ესვრიან. თუმცა, ფეხსაცმლის სროლას ყველას ვერ გაუბედავენ და ზოგიც მანამდე ხვრინავს, სანამ ამას ზედამხედველის მოთმინება აიტანს.

კედელზე გაკრული შინაგანაწესის მიხედვით ხვრინვა არ იკრძალება, იმის მიუხედავად, რომ შინაგანაწესის სულისკვეთება კრძალავს ყველაფერს, რაც პატიმარს ოდნავ მაინც შეუმსუბუქებდა ყოველდღიურობას...

ყველაფერი, რისი ჩადენაც სურდა, პატიმარს საპყრობილემდე შეეძლო ჩაედინა! სწორედ ამიტომ იმყოფება აქ და, თუ რაიმე აკრძალვა შინაგანაწესში არ არის ასახული, ზედამხედველები გამოხატავენ ამკრძალავი სიტყვიერი შეგონებით!

საზედამხედველო ოთახში, რომელსაც საპყრობილისგან სათვალთვალო სარკმელი ჰყოფს და საიდანაც საპყრობილე მთელ სიგრძეზე მოჩანს, კამერტონივით ისმის ქარის და ხვრინვის შემოტევები. ზედამხედველი ჯერ სამსახურებრივი პასუხისმგებლობით იტანს ატონალურ ხმაურს. თუმცა, შემდეგ ხვდება, რომ მის მოვალეობრივ კულტურას არ მოეთხოვება საპყრობილისეული შომბერგით ტკბობა. ხვრინვითი თავხედობა იმასაც აფიქრებინებს, რომ პატიმრები მისი განწყობილების გასაფუჭებლად ხვრინავენ და საბოლოოდ, იმაშიც რწმუნდება, რომ პატიმარი მხოლოდ მაშინ კი არ უფუჭებს ადამიანს განწყობილებას, როდესაც დანაშაულს სჩადის, არამედ მაშინაც, როცა საპყრობილეშია განწესებული კედელზე გაკრული მკაცრი შინაგანაწესის შესაბამისად.

პატიმრების დესტრუქციულ განზრახულობებ-

ზე გაღვივებულმა აზრებმა ზედამხედველი მძინარე პატიმრების დათვალიერების აუცილებლობაში დაარწმუნა, იმის მიუხედავად, რომ წუთი წუთზე შემცვლელს ელოდებოდა და მალე საპყრობილის ყველა უსიამოვნება და ფილოსოფიური დილემა მისთვის უნდა გადაებარებინა.

- პატიმარი კანონიერებისა და წესრიგის მტერია! - ფიქრობს ზედამხედველი. - როგორც კი შესაძლებლობას მისცემ, მაშინვე დაარღვევს წესრიგს. უფრო მეტიც, პატიმრები მაშინაც მზად არიან უგულებელჰყონ კანონიერება, როცა ამის შესაძლებლობას არ აძლევენ. აი, ამიტომ არსებობს ზედამხედველი! აი, ამიტომ არ უნდა დაუტოვო პატიმარს არცერთი უფლება საპყრობილეშიც!

ზედამხედველი საწოლების რიგს მიუყვება და მძინარე პატიმრებს თვალს აყოლებს. მბჟუტავი სინათლე დამნაშავე სახეებს ეფინება. მათი გამომეტყველებიდან ძილის დროსაც დამნაშავეობა გამოსჭვივის.

ქარი მინებს აზანზარებს და ძნელად მიხვდები, საიდან მოისმის ხვრინვის ხმა. ამიტომ ზედამხედველი ყოველ პატიმარს აკვირდება, ვისაც თავი საბნის ქვეშ არ ჩაუმალვს.

ზედამხედველი ხვრინვის მიმართულებით ერთ-ერთ საწოლს მიუახლოვდა. აქ მწოლიარე პატიმრის მძინარე გამომეტყველებაც კი ცხადჰყოფდა, რომ მას მხოლოდ უსუსური ადგილი ეკავა დამნაშავეთა იერარქიაში...

- ეს ხომ ის პატიმარია, რომელსაც ყოველთვის ურტყამენ! - გაიფიქრა ზედამხედველმა. - დიახ, ისაა! ბოროტმოქმედი და, იმავდროულად, უსუსური! მას უნდა, რომ წესრიგი დაარღვიოს! იგი სიამოვნებით შელახავს კანონიერებას, მაგრამ ხვრინვას იგი ვერ გაბედავს! მის უსუსურ არსებობას ხვრინვა სრულიად დაასამარებდა ამ საპყრობილეში! ხვრინვისთვის აქ გაბედულებაა საჭირო, გაბედულება! თუმცა, სულაც არაა ჩარტყმისთვის განწირული ეს უსუსურება შესაცოდებელი, რადგან სანამ მას რტყმას დაუწყებდნენ, იგი ცხოვრებას თავად ამძიმებდა, - გაიფიქრა ზედამხედველმა და მომდევნო საწოლს გადახედა...

- ამას სულაც არ აქვს უსუსური გამომეტყველება, - გააგრძელა მან ფიქრი, როცა მომდევნო საწოლს გადახედა. - ასეთი უბირი და უხეში გამომეტყველება აშკარად იმაზე მიანიშნებს, რომ მას აქ არავინ ურტყამს. მაგრამ მისი უბირი იერი სწორედ იმაზეც მეტყველებს, რომ მას არ გააჩნია ძალადობისთვის საკმარისი შარმი! და მოძალადის შარმის უქონლადაც ვერავინ შეძლებს აქ ხვრინვას!"

მერე ზედამხედველმა მზერა მომდევნო საწოლზე გადაიტანა და საკაცობრიო სკეპტიციზმით აღსავსე გამომეტყველების მქონე ის ბოროტმოქმედი ამოიცნო, რომელმაც სამოქალაქო მღელვარების წლებში იარაღის შესაძენად ცოლის სამკაულები გაყიდა, მაგრამ მალევე გააანალიზა, რომ ნებისმიერი სამოქალაქო მღელვარება პოლიტიკაა და ნებისმიერი პოლიტიკა - სარგებლის მიღების შესაძლებლობა. ამ სიბრძნის შეცნობის შემდეგ გადაწყვიტა, ესარგებლა შეცნობილი სიბრძნით - შეძენილი იარაღით ჯერ საკუთარი ცოლის სამკაულები გამოიხსნა და მერე სხვათა ცოლების სამკაულების დაუფლებას მიჰყო ხელი. იგი სამოქალაქო მღელვარების დასრულებისთანავე დაეპატიმრეს და ამის შემდეგ მის სახეს ძილშიც არ მოშორებია საკაცობრიო სკეპტიციზმი.

- ასეთი გამომეტყველებით ადამიანი არც იღიმება და არც ტირის, - გაიფიქრა ზედამხედველმა. - მას შურისძიება აქვს ჩაფიქრებული და ცდილობს, ყურადღება არასოდეს მიიპყროს. ამიტომ არც ხვრინავს!

მოულოდნელად ქარი შესუსტდა, ფანჯრების ზანზარიც მაშინვე ჩაცხრა. ზედამხედველმა ამ დროს ზუსტად იგრძნო, საიდან ისმოდა ხვრინვა და ხმის ზუსტი მიმართულებით დაიძრა...

- აი, სად მოკალათებულა გამბედაობა - ჩაილაპარაკა ზედამხედველმა და ის იყო საწოლს უნდა მიახლოებოდა, რომ ხვრინვა შეწყდა...

ზედამხედველი ფიქრობს, რომ ეს შეიძლება, სუნთქვის შეკავება, ანუ ობსტრუქციული აპნოეა, რაც სუნთქვის დარღვევაა ხვრინვის დროს, მაგრამ გაუთავებელი პაუზის შემდეგ დარწმუნდა, რომ სულაც არ არის ეს ძილის აპნოე, რომ პატიმარმა, უბრალოდ, საფრთხე იგრძნო და ხვრინვა შეწყვიტა...

არავინაა გონიერ პატიმართაგან, რომელიც ზედამხედველის წინაშე ხვრინვას გაბედავს თუნდაც ძილში! - გაიფიქრა მან, - საფრთხე იგრძნო და გაყუჩდა... მათ მხოლოდ ერთმანეთის წინაშე შეუძლიათ გაბედონ ხვრინვა! - გაიფიქრა და მშვიდი ზედამხედველური სიამაყით გაეშურა გასასვლელისკენ.

* * *

თვალების გახელის და გამოფხიზლებისთანავე პატიმარი აცნობიერებს, რომ იქ იმყოფება, სადაც გაღვიძების ყოველ ჯერზე კიდევ ერთხელ უნდა შეეგუოს საპყრობილის კედლებზე გამოქვეყნებულ შინაგანაწესს, რომლის მიხედვითაც ეკრძალება ყოველივე იმის ჩადენა, რაც მას სურს. აკრძალვების ჩამონათვალი პატიმარს არ ავალდებულებს ზედამხედველის მიახლოებისთანავე გამოფხიზლებას, ამის აუცილებლობას პატიმარი ვალდებულების გარეშე გრძნობს. ძალიან მნიშვნელოვანია, გამოფხიზლდე და ხვრინვა მანამდე შეწყვიტო, სანამ ზედამხედველი თავზე დაგადგება. ღმერთი არ ზედამხედველობს ადამიანთა მოდგმის ცდუნებებს ისეთი პასუხისმგებლობით, როგორც ზედამხედველები უთვალთვალებენ პატიმრების მიერ კანონების და წესების დარღვევას. და, თუ ღმერთი მხოლოდ ადამიანშია, ზედამზედველი ყოველ ადამიანს თავზე ადგას, როცა ის პატიმარია!

საპყრობილეში თუ წევხარ, თავზე კი ზედამხედველი გადგას, რომელსაც ხელფასს იმისთვის უხდიან, რომ მაშინაც კი დაგთრგუნოს, როცა, უბრალოდ, შენი სასუნთქი ორგანოები ვიბრირებენ,

კარგად გრძნობ, თუ როგორ აღძრავს ძალაუფლება მორჩილებას. ეს პატიმრის მშვიდ ამოსუნთქვაშიც ვლინდება, როცა ზედამხედველი მისი საწოლის სიახლოვიდან საპყრობილის გასასვლელისკენ მიემართება.

* * *

ადამიანი ამოუხსნელობების სამყაროს ტყვეა! იგი მის ვრცელ უსასრულობაში არსებობს და არ აქვს მნიშვნელობა, ამოუხსნელობათა კონკრეტულად რომელ საპყრობილეში იქნება გამოკეტილი! ამიტომ, ეს საპყრობილე სამყაროში გამოკეტილობის მხოლოდ ერთ-ერთი მცირე საიდუმლოა.

რატომ არის ადამიანი საპყრობილეში?! იმიტომ, რომ ის, რაც გადაწყვეტილების მიმღები საზოგადოებისთვის დანაშაულია, ზოგიერთი ადამიანისთვის ბედისწერაა, გარდაუვალობაა; უამრავი ადამიანი არ არის საპყრობილეში, რადგან გადაწყვეტილების მიმღები საზოგადოების ძვირფას ყურადღებას გადაურჩა; უამრავი ადამიანი არ არის აქ, რადგან უფრო მოხერხებული, უფრო დახვეწილი, უფრო განსწავლული აღმოჩნდა; შეიძლება, განსხვავებული ბედისწერა ერგო და შეიძლება, იმის გამოც არ იმყოფება აქ, რომ გადაწყვეტილების მიმღები საზოგადოების წევრად გაჩნდა ამ ქვეყნად...

ამიტომ არ არსებობს პატიმარი, რომელიც გაქცევაზე არ ფიქრობს...

გაქცევაზე ყველა ფიქრობს - ყველა, მაგრამ მათ არ იციან, სად უნდა გაიქცნენ.

პატიმარმა კი ზუსტად იცის, სად უნდა გაიქცეს, მაგრამ იმის მოფიქრებას, თუ როგორ უნდა გაიქცეს, შეიძლება, საპყრობილეში გასატარებელი მთელი ცხოვრება დასჭირდეს.

გაქცევაზე აქ მხოლოდ ზედამხედველები არ ფიქრობენ, რადგან მათ გაქცევა არც აკრძალული აქვთ და თან ცხოვრობენ აქ სულის ამოხდამდე ზედამხედველებად...

* * *

საზედამხედველო ოთახში დაბრუნებულმა თავის შემცვლელს პატაკი ჩააბარა. პატაკის შინაარსი, ფორმალურად, პატიმრების მდგომარეობას ასახავდა, მისი შემცვლელის შესახებ კი სრულიად ემოციური შთაბეჭდილებები ეუფლებოდა.

- ასეთი ზედამხედველობა რა საკადრისია! - ფიქრობდა იგი, - დგას და ნამძინარევი სახით უბეს იქექავს... უბეს ყველა კაცი იქექავს, მაგრამ, როცა ჯამაგირს ზედამხედველობისთვის გიხდიან, უბის საქექად კი არ უნდა იმყოფებოდე საპყრობილეში, არამედ იმისთვის, რომ პატიმრებს ყოველწამიერად აგრძნობინო იმ სასჯელის სიმძიმე, რაც მათ კანონმა და წესებმა დააკისრა! შეიძლება, ზოგჯერ პატიმრებისადმი სათანადო სიძულვილისთვის სრულფასოვნად ვერ განეწყო, მაგრამ, დაუშვებელია, პატიმარის პასუხისმგებლობათა აღმასრულებლისთვის შეუფერებლად გამოიყურებოდე!

ქარი უბერავს. ზემოთ უზარმაზარ ღრუბლებს მიაქანებს, ქვემოთ კი ხეების დალეწვას, სახურავებიდან თუნუქის ფურცლების აგლეჯას ლამობს, ერთმანეთში ურევს წამოხვეტილ მტვერსა და ნაგავს. ყველა მხრიდან რაღაც ხმაური ისმის - ყველაფრის ხმაური, რაც ქარს ემორჩილება. საპყრობილე კი მყარად ნაშენი კედლებით კანონისმიერი სიმტკიცით იცავს დამნაშავეთა საბუდარს.

* * *

ზედამხედველი სათვალთალო ოთახიდან საპყრობილის ეზოში გამოდის და განაწესის შესაბამისად უსაფრთხოების კედლის გარედან შემოსავლელად მიეშურება. დაწესებულება ვახტის გასასვლელით უნდა დატოვოს. ქარი მაზარის კალთებს თოკზე გაფენილი სარეცხივით უფრიალებს... მიაბიჯებს ვახტისკენ და, როგორც ყველა მამაკაცს, რომელსაც სამხედრო უნიფორმა მოსავს და ღამეებს საწოლში არ ატარებს, ქალის სხეული ენატრება - ქალისა, რომელსაც ალერსის წესები გაკვეთილივით აქვს დაზუთხული. ქალთან გატარებული ღამის გახსენებას სიამოვნება და ახალი ღამის გატარების სურვილი მოაქვს. მეხსიერება სავსეა ასეთი ღამეებით, რადგან სხვა არაფერი მოიძიება ასეთ დროს მეხსიერებაში.

უსაფრთხოების კედელზე და ვახტის შენობაზე მიმაგრებული ამკრძალავი ნიშნები შეგონებანია პატიმრებისთვის, რომ საპყრობილის საზღვრებთან მიახლოებაც კი არ გაბედონ. უშუალოდ ვახტის შენობას რამდენიმე ადგილზე ბათქაში ჩამოშლია, ფანერებიც მორღვევია და ქარის ყოველ დაქროლებაზე გამოფიტულ ჟღერადობას გამოსცემს, მაგრამ ზედამხედველს ამ ნაგებობის იერშელახულობა არ აღელვებს. იგი ზარს რეკავს და ვახტიორი ქალი საკეტს ხსნის. აქედან ორი გზაა: პირველი - ვადებულებებისკენ უსაფრთხოების კედლის გარშემო და მეორე - ვახტიორის მყუდრო სამყოფელისკენ.

ვახტიორის ოთახში ღილაკებია, რომლებითაც იხსნება საპყრობილის შესასვლელი და გასასვლელი ყველა კარის საკეტი. ამ საკეტების გარეშე ვერაფერს გახდებოდა ქვეყნის ვერც ერთი სასამართლო და პროკურატურა, რომლებსაც ეფუძნება ძალაუფლება და რომლებითაც ძალაუფლება იკარგება... ვახტის სათვალთვალო სარკმელები ლითონის მსხვილი მოაჯირებითაა დაცული სწორედ ამ ძალაუფლებით აღჭურვილი ვახტიორი ქალის უსაფრთხოებისთვის. ლითონის მოაჯირების წყალობით იგი მიუწვდომელია როგორც ძალადობრივი, ასევე, მოტრფიალე ზრახვებისთვის. სქესობრივი მიდრეკილებებისადმი მდგრადობა ვახტიორ ქალში საპყრობილის საჭიროებების შესაბამისად გამოაწრთეს, მაგრამ გულისცემა, რომელიც მარტოობისას, ღამის საათებში წარმოიქმნება, ძლევს ასკეტურ ღირებულებებს, თუნდაც საპყრობილის ტერიტორიაზე; თუნდაც ისეთ ადამიანებში, რომელთა განკარგულებაშიც საპყრობილის ყველა კარიბჭეა.

* * *

და იგი ვახტის სამხედროფარაჯიანი ქალღმერთის წინაშეა. ზედამხედველის თვალებში ვნებაა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩაბუდებული. დიდი ადგილია ვნებისთვის ადამიანის თვალებში და დიდი უნარი - რომ შემხვედრი ვნება მოიპოვოს. ისინი სხდებიან ლითონის მოაჯირებიან სიმარტოვეში და გრძნობენ, რომ უნდათ, სადმე დაწვნენ. იქვე ჭრიალაფეხებიანი ტახტია. ვახტიორ ქალს სახეზე ნელსაცხებელი ქონივით უბზინავს. ზედამხედველს ქონის შეგრძნება გულს ურევს, მაგრამ მის თვალებში ოდნავაც არ ქრება ვნება, რადგან წინ მთელი ღამეა, ვახტიორი ქალი კი არ არის მხოლოდ ქონიანი სახე. მას აქვს რაღაც უფრო აღმგზნები, ამაფორიაქებელი...

მამაკაცისთვის ძნელია ღამით მარტოობა და ყველაფერს იღონებს, იმისთვის რათა მარტოობა მდედრთან ერთად გადაიტანოს. ღილაკებით აღჭურვილ ქვეყნის ამ ყველაზე შეუღწეველ სამყოფელში განმარტოებული მდედრიც სიამოვნებით მინაბავდა თვალებს ზედამხედველის მკლავებში. ამიტომ მათ სჭირდებათ რაიმე გრძნობიერი - სიტყვები, გამოხედვები, რომ ზურგი შეაქციონ კაცთა მოდგმას და მოვალეობებს. ამისთვის ხანგრძლივი საუბარი არ გამოდგება, როგორც ეს რომანტიკოს მეძავებს სჩვევიათ. ქალმა ფარაჯაზე ღილი შეიხსნა და უსარგებლო ფორმალობების გარეშე მის სხეულს ოფლის წვეთებად ეწუწება ზედამხედველის ვნებები. ჭრიალებს სამყარო და მშვიდად მოისმის ქარის ხმაური.

* * *

ქალი პატიმრის ოცნებაა - ვახტიორი ქალებით დაწყებული, ყველა დანარჩენით დამთავრებული. პატიმარს საპყრობილის კედელზე ქალის მკერდი ჰქონდა ამოკაწრული. მკერდის ნაკაწრს ტუმბოზე მოთავსებული ნივთები ეფარებოდა და თითქოს ამ ნივთებით იყო დაფარული იგი სხვა პატიმრებისა და დანარჩენი სამყაროსგან. დაძინებამდე იგი ნივთებს მიმოწევდა და ამოკაწრულ ქალის მკერდს შესცქეროდა ხოლმე.

მასტურბირებისთვის, რა თქმა უნდა, იმ ყველაზე მძიმე ნივთს უთავაზებდნენ, რასაც კი საპყრობილეში მოიძიებდნენ, ამიტომ მკერდის მხოლოდ ცქერით კმაყოფილდებოდა. კედელზე ამოკაწრული მკერდი მას სამყაროსთან აკავშირებდა. ის სიამოვნების ტალღა, ის ვნება, რასაც მკერდის მონახაზი აღუძრავდა, შეაგრძნობინებდა, რომ ადამიანთა მოდგმის ნაწილი იყო, რომ მისი სრულფასოვანი წარმომადგენელივით შეეძლო ტკბობა განეცადა ამ ყველაზე ამაღლებული ხორციელი საიდუმლოთი. ამ ვნებამ იქამდეც კი აიყოლია, კედელზე ამოკაწრული მკერდის ზომის გადიდება გადაწყვიტა, მაგრამ ბათქაში ჩამოიფშხვნა და მკერდი ჩამოიშალა...

ახლა პატიმარი კედლის ბათქაშჩამოფხვნილ ფრაგმენტს შესცქეროდა. გრძნობდა, რომ კედელზე ამოკაცრულმა ნახატმა, რომლის სიშიშვლესაც ტუმბოზე ჩამნკრივებული ნივთებით უმალავდა მთელ საყაროს, ის გრძნობები გაუღვივა, რომლებიც დასათმობად აღარ ემეტებოდა.

- არ შეიძლება გრძნობების გარეშე ადამიანის დატოვება, რა კანონებიც გინდა გქონდეს დარღვეული! - ფიქრობდა იგი. - ყველაზე სისასტიკი სასჯელი შეიძლება დაგაკისრონ, მაგრამ გრძნონების გარეშე ადამიანის დატოვება სისასტიკის საზღვრებს სცდება, შეუძლებელია შეეგუო სასჯელს, რომელიც უსამართლოდ სასტიკია!

და ამიტომაც არ არსებობს პატიმარი, რომელიც გაქცევაზე არ ფიქრობს...

* * *

საპყრობილიდან თავის დაღწევას, სულ ცოტა, იმედი სჭირდება. იმედს ყოველთვის ორი მხარე აქვს, რომელთაგან პირველი რწმენაა თავისი მისტიკური დამაჯერებლობით, მაგრამ მეორე მხარეს ყოველთვის სასტიკი რეალობაა!

გაქცევის აკრძალვა ბანალური სისასტიკეა, რადგან, ერთი მხრივ, არ არსებობს კანონი, რომელიც გაქცევის სამართლიანობის შესაძლებლობას დაუშვებდა და, მეორე მხრივ, სულაც არაა შეუძ-



ლებელი ისეთი გაქცევის წარმოდგენა, უსამართლობით რომ იქნებოდა ნასაზრდოები.

უფრო ღრმა და ფილოსოფიურია სისასტიკე მაგალითად, სიკვდილმისჯილთა და სიკვდილით დაუსჯელთა მიმართ. სიკვდილით დაუსჯელთა სისასტიკე მოსატანიც არაა სიკვდილით დასჯილთა სისასტიკესთან, მაგრამ სიკვდილით დაუსჯელთა ბედნიერება სულაც არ არის ამაღლებული სიკვდილით დასჯილთა ბედნიერებაზე...

- გაქცევა ერთდროულად სიკვდილთან შეგუებაცაა და შეუგუებლობაც, რადგან იგი სისასტიკის საპასუხო თამაშია. გარბიხარ, რომ ვერ მოგკლან და მაშინაც გარბიხარ, როცა გკლავენ! - ფიქრობს პატიმარი, - შესაძლოა, სიკვდილმისჯილობა ყველაზე შემამსუბუქებელი მოტივაცია ყოფილიყო გაქცევისთვის, რადგან დაგხვრეტენ და აღარასოდეს დაგჭირდება გაქცევა, მაგრამ ვინ გარგუნებს სასიკვდილო განაჩენს ასე ხელსაყრელად, რომ გაქცევის ტვირთი შეგიმსუბუქდეს...

აი, ასე უსაფრდება სისასტიკე პატიმარს, რომლის ცხოვრების არსიც გაქცევაა.

* * *

პატიმრების გაქცევაზე სათვალთვალო კოშკურებში დადარაჯებული ზედამხედველებიც ფიქრობენ. ისინი საუკეთესოდ ფლობენ შაშხანას ნებისმიერი გაქცევის აღსაკვეთად და ამისთვის სახელფასო დანამატსაც კი არ ითხოვენ.

- მიუღებელია დამატებითი საზღაური იმ ადამიანების გაქცევის აღკვეთისთვის, რომლებისთვისაც საპყრობილე ბედისწერაა, რომლებიც იმის გამო იმყოფებიან აქ, რომ ვერც პრივილეგირებულ პერსონებად დაიბადნენ და ვერც საზოგადოების მორჩილ წარმომადგენლებად ჩამოყალიბდნენ. - ფიქრობენ კოშკურებში ზედამხედველები.

* * *

ღირსების საკომპენსაციოდ კოშკურების ზედამხედველები ორმაგ ულუფას და კოლოფ სიგარეტს იღებენ. ასევე, იღებენ ხელმძღვანელთა პატივისცემას და იღებენ იმედს, რომ თითქმის არასოდეს მოუწევთ ფიქრი გაქცევაზე არც საპყრობილიდან და არც სამყაროდან. თუმცა, ახლახან, რამდენიმე კვირის წინათ, საპყრობილეში აღრიცხვის დროს პატიმრის დანაკლისი გამოვლინდა...

გაიქცა. ისე გაიქცა, რომ მისი გაქცევის ნაკვალევიც ვერ აღმოაჩინეს. ამით კი გამოაშკარავდა, რომ არც ერთი ზედამხედველი, რომელმაც სათვალთვალო კოშკურიდან უნდა აღკვეთოს გაქცევა, არ იმსახურებს ორმაგ ულუფას, არც ერთ კოლოფ სიგარეტს და თითქმის არ იმსახურებს გარანტიას, რომ არასოდეს მოუწევს გაქცევაზე ფიქრი.

ამიტომ საეჭვო არაა, რომ ზედამხედველები ტყვიას არ დაიშურებდნენ და უარს არ იტყოდნენ ღირსეულ პრივილეგიებზე, მაგრამ პატიმრის გაქცევის სტრატეგია სწორედ სათვალთვალო კოშკურებში ჩასაფრებული ამ ზედამხედველებისგან შეუმჩნევლად თავის დაღწევის საიდუმლოა. ზედამხედველების ღირსებაზე და პრივილეგიებზე ფიქრის ფასი კი შეუძლებელია აღემატებოდეს პატიმრების გაქცევაზე ფიქრის ღირებულებას. ამით დასტურდება, რომ პატიმარი გაქცევისთვისაა გაჩენილი.

და ამიტომაც, მმართველობის თეორია აღმასრულებელი პრივილეგიით იცავს ზედამხედველს, რომელიც საკუთარი შეხედულებებით კი არა, ზედამხედველთა კოლექტიური ინსტინქტებით მოქმედებს. კოლექტიურ აზროვნებას ზემდგომები გამოიმუშავებენ და სწორედ მათი ნაზრევით ყოველ მომდევნო გაქცევას ზედმიწევნით ზუსტად აღკვეთს ქვემდგომი კოლექტიური ზედამხედველი.

- მძიმე ცხოვრება ყველაფერს გააკეთებინებს პატიმარს, ყველაფერს მოაფიქრებინებს, თუნდაც იმას, რომ შეუმჩნევლად გაიქცეს, რომ კვალიც არ დატოვოს, მაგრამ პატიმრის შეცოდება არ შეიძლება! ტყვიის დანანება არ შეიძლება! ესენი თვითონ ამძიმებენ ცხოვრებას... უფრო მეტიც, ესენი ჩვენს ცხოვრებასაც ამძიმებენ! - აი, ასე ფიქრობენ სათვალთვალო კოშკურებში ჩასაფრებული კოლექტიური ზედამხედველები.

* * *

- ამას მე მოვკლავდი! - ფიქრობს პატიმარი კოშკურაში ჩასაფრებულ ზედამხედველზე, რომელიც საპყრობილის ფანჯრიდან მოჩანს. - იმასაც მოვკლავდი - ფიქრობს მეორეზე და დანარჩენ კოშკურებში მყოფებზეც, რომლებიც პატიმრის სარკმლიდან არ მოჩანან... - მაგრამ ეს მხოლოდ შურისძიება იქნებოდა. არა, მე მათ არ მოვკლავდი, მე ვისურვებდი, რომ გაქცეული ვიყო - უბრალოდ, გადამძვრალი საპყრობილის ამ კედელზე და ჯერ კიდევ ცოცხალი, თუნდაც ვგრძნობდე, რომ ახლა მომკლავენ...

... ან უკვე ვიყო გაქცეული და თუნდაც მკვდარი, როცა მეცოდინებოდა გაქცევის ფასი და არა მხოლოდ ის, თუ როგორია გაქცევის სურვილი...

პატიმარმა ჯერ შუბლზე მიიდო თითები, შემდეგ - ტუჩებზე. - ალბათ, სიცხე მაქვს, - გაიფიქრა მან. ოდნავ წამოჯდა და პლედი უკეთ მოიხვია. ასე ზედამხედველიც უკეთ მოჩანდა კოშკურაზე.

- პლედი უნდა ვიშოვო, კიდევ ერთი პლედი უნდა ვიშოვო, რადგან სიცივე რთული გადასატანია, - გაიფიქრა მან, მაგრამ მაშინვე შეეწინააღმდეგა თავის ნაფიქრალს. - არა, რად გინდა პლედი, იარაღი უნდა იშოვო, გაქცევისთვის საჭირო რაიმე იარაღი, რადგან პატიმრობა უფრო მძიმედ გადასატანია!

და, თუ გასაქცევი იარაღი გაქვს, იმის ალბათობაც მაღალია, რომ კოშკურაში მოკალათებული ზედამხედველის დახმარებით, საერთოდ, ცხოვრებიდან განდევნილი აღმოჩნდე! ამას დადებითი მხარეც აქვს - შეიძლება, იმაზე ადრე შეძლო სამყაროს არსის დანახვა, ვიდრე ეს ფიზიოლოგიური

ეროვნული ბიბლიოთეკა

წესრიგით იქნებოდა შესაძლებელი; სამყაროს არსში იმაზე ადრე შეიძლება ჩაიხედო, ვიდრე წარმოგედგინა.

- ყოველი გაქცევა მომდევნო გაქცევას ართულებს, - ფიქრობს პატიმარი. -გაქცევის შემდეგ ყველა ზედამხედველი გაცხოველებული ცდილობს მიზანში ამოიღოს ნებისმიერი, თუ მოეჩვენება, რომ ნაბიჯი ააჩქარა უსაფრთხოების კედლის მიმართულებით, მაშინაც კი, თუ ქარი უსაფრთხოების კედლისკენ დაუბერავს.

მან იცის თავისი საქმე ისე მარტივად და ისე ზუსტად, როგორც ტყვიამ იცის მარტივად და ზუსტად, როგორ იქცეს შენი სიკვდილის ნივთიერ მტკიცებულებად. და ამ დროს იგრძნობა, როგორ აფურთხებს ზედამხედველი პატიმარს სულში, რომ გაიქცეს, რომ ოდნავ მაინც შეეხოს საპყრობილეზე შემოვლებულ უსაფრთხოების კედელს...

პატიმარიც აფურთხებს მას თავის წარმოსახვაში, და ცდილობს, სულმა არ წასძლიოს, ქარმა არ გაარბენინოს და თავი შეიკავოს, რომ ჯერ არ გაიქცეს...

- ფრთხილად, არ აჰყვე ქარს, ის შენი მტერია, შენი მაცდური! - ფიქრობს პატიმარი, - ყველა წარმატებული გაქცევის ისტორია მხოლოდ იმ პატიმრების ნაამბობია, რომლებიც ვერ გაიქცნენ და რომლებიც წარუმატებლად გაიქცნენ, ვერ გაექცნენ მარადისობას...

* * *

ვახტიორი ქალი ზედამხედველის დაოკებულ ვნებას შეიგრძნობს მისი სხეულის ნაწილებთან განშორების შემდეგ. ზედამხედველი კი ცდილობს საცვალი ამოიცვას და სწრაფად გახდილ პერანგში სახელოები მოძებნოს. მაზარის მორგების შემდეგ გამოსამშვიდობებელ სიტყვებს ეძებს. ვახტიორი ქალი კი ვნებით აღვსილი სულგრძელად ათავისუფლებს მას იმ ღილაკებით, რომლებსაც ეფუძნება ძალაუფლება.

ახლა მთავარია, მოვალეობაზე იფიქრო, რადგან შენი მოვალეობა ისაა, რომ ყველას თავისი მოვალეობა შეასრულებინო - ფიქრობს ზედამხედველი. - შეიძლება ქალის სხეულით ტკბობა პროფესიული საზომით სისუსტეა, მაგრამ ზუსტი მოქმედებისას არ ფიქრობენ სუსტ მხარეებზე, როგორც არ ფიქრობენ, რომ საათის კბილანები და ზამბარები გაცვეთილია, თუ ისრები დროს ზუსტად აჩვენებენ.

საპყრობილის გარშემო შემოვლებული უსაფრთხოების კედლის მთელ სიგრძეზე მოკლე ინტერვალებით განთავსებული ფარნები ქანაობს და შეკირული კედლის მთელ სიბრტყეზე სინათლის ლაქები ირხევა. კედლის გასწვრივ ხეებს არ რგავენ, რომ გაქცეული პატიმრის მიზანში ამოღებას ხელი არ შეუშალოს.

გვიანი ღამეა და უსაფრთხოების კედლის მიმდებარე გზაზე იშვიათად თუ ჩაივლის მანქანა. მოსახვევის სიღრმიდან მობრუნების დროს მანქანის ფარნების სინათლის წრფივი ნაკადი შორეულ სივრცეს სერავს და ბოლოს, კედლის გასწვრივ მიმავალ ზედამხედველს თვალს უბნელებს. მანქანებში მსხდომი მგზავრები მზერას ყოველთვის აყოლებენ გრძელ, შეკირულ უსაფრთხოების კედელს...

კედელი ქალაქის ბუნებაა, ბუნებაში - ცივილიზაციის საწყისი, საპყრობილეში კი ჰორიზონტია. პატიმარს კედლის შიგნიდან ყველა აგურის განლაგება ზეპირად ახსოვს. ზედამხედველს კი კედლის არსი განსხვავებულად ესმის, რადგან მას ეს კედელი ორივე მხრიდან საგულდაგულოდ შესწავლილი აქვს.

- დაზარალებული ადამიანების გულის მოსაგებად რომ საპყრობილეში მოძალადეებს გამოამწყვდევ, ეს პრიმიტიული სარგებელია. - ფიქრობს ზედამხედველი. - საპყრობილე მმართველობითი თეორიისთვის ზუსტად იგივეა, რაც სარდაფია თავშენახული ოჯახისთვის, სადაც გამოუსადეგარ ხარახურასთან ერთად, საჭიროების შემთხვევისთვის, სანოვაგესაც ინახავენ. აი, ამაშია ამ კედლების ძალა და საჭიროება! ყოველთვის შეიძლება აქ ის ადამიანი გამოიწრთოს, რომელიც ხვალ უსამართლობას შეებრძოლება. ამიტომ არ შეიძლება, ტყვია დაიშურო არც ერთი გაქცეულისთვის და, თუ მაინც გაიქცა, მან შეიძლება მმართველობამდეც მიაღწიოს. აი, ამ შემთხვევისთვის კი, ჩვენ უნდა შევძლოთ ყველა პოტენციური გამქცევის სრულყოფა და აქედანვე დავანახოთ მას ჩვენი საჭიროება მომავალი მმართველობისთვის!

* * *

*უსაფრთხოების კედლის მიღმა მოძრავი მან*ქანების მგზავრები უსაფრთხოების კედელს თვალს აყოლებენ. იციან, რა სულის და გამომეტყველების პატრონებიც ბრძანდებიან ამ კედლის მიღმა, რომ ეს სწორედ ის ხალხია, რომლებსაც ძალუძთ გაგძარცვონ, გამოგაცარიელონ და გამოცარიელებული ცხოვრებაც არ შეგარჩინონ. მაგრამ ამრეზით უცქერენ მაზარააფრიალებულ ზედამხედველს. ვინმემ შეიძლება თავიც გამოყოს მანქანის ფანჯრიდან, დაასიგნალოს და გადააფურთხოს, რადგან გრძნობს, რომ ეს სწორედ ის ზედამხედველია, რომლის მსგავსმაც შეიძლება მისი პატიმრობაც უზრუნველჰყოს მომავალში.

მძღოლმა, რომელმაც საპატიმროს კედელს ჩაუარა, გაიფიქრა, რომ ყველაზე გარდაუვალი პატიმრობა ცხოვრების პატიმრობაა! ამ საპატიმროს კედლებზე შეიძლება ვინმე გადაბობღდეს და გაიქცეს, ამ ცხოვრებას კი ვერავინ გაექცევა, რადგან გადასაბობღებლად კედლებიც არ გააჩნია! უფრო მეტიც, საპყრობილეში ადამიანებმა იციან, რომ პატიმრები არიან და გასაქცევად აქვთ საქმე, ცხოვრებაში კი ისიც არ იციან, რომ უნდა გაიქცნენ...

* * *

ქარის ყოველ დაქროლებაზე საპყრობილის სახურავზე აგლეჯილი თუნუქის ნაფლეთები ხმაურობს. უსაფრთხოების კედლის შიგნით აკრძალულ ზონაში ძაღლები ყეფენ. სათვალთვალო კოშკურებში მოდარაჯე ზედამხედველები მოჩანან...

- არ შეიძლება, მეშჩანი გახდე, - ფიქრობს ზედამხედველი - ესეც ვალდებულებაა, ამაღლებული ვალდებულება! რა უნდა ობივატელს?! მისთვის მთავარია, ენა მოიქავოს. ძნელი არაა იმის გაგება, რომ ჰუმანურ აზრებს ამჯობინებენ. - ჰუმანისტი ტყვიას არავის ესვრის, ის ჰუმანური აზრებისთვის იღებს ჯამაგირს, მაგრამ ვის რაში სჭირდება ამდენი ჰუმანისტი. ზოგისთვის თავის გასატანად ტყვია რჩება, რომლითაც უნდა იმსახურო. რა თქმა უნდა, იოლია ჰუმანისტობა, მაგრამ ჩვენ სიმკაცრისთვის გვიხდიან ჯამაგირს. ობივატელს კი რა უნდა, თავისი კურტიზანული ზრახვებით?! ის, რომ დაგისიგნალოს და ამით ისიამოვნოს! არ შეიძლება ობივატელი შეგეცოდოს, შეიძლება ადამიანი შეგეცოდოს, რომ მისივე მსგავსი არსება ობივატელია! ბოლოს და ბოლოს, ეს ობივატელი ხომ არ დადის ამ ქარში ისე, რომ მიტოვებულ ლოგინზე კი არა, თავის მოვალეობებზე ფიქრობდეს!

* * *

ახლა მეც მასთან ერთად უნდა ვიყო, - გაიფიქრა მან გაქცეულ პატიმარზე. - სად იქნება ახლა?! სადაც უნდა იყოს, პლედზე ალბათ აღარ ოცნებობს. მე კი პლედი ვერ ვიშოვე, რომ სვიტერივით გამოვჭრა... აზრადაც არ მომივიდოდა, რომ მარტო გაიქცეოდა. არა, არ ვბრაზდები იმიტომ, რომ ესე სჯობდა, მაგრამ ხომ უნდა ეთქვა მაინც, რომ მარტო მიდიოდა, ან რომ მიდიოდა, ეს მაინც ხომ უნდა ეთქვა... ალბათ, მუხლები უკანკალებდა. მეც ამიკანკალდებოდა და კრინტს არ დავძრავდი არავისთან. მეც ესევე მოვიქცეოდი, როცა ყველა გასაქცევი ნაბიჯი უკვე გათვლილია და მთავარია, მიაფურთხო იმას, რომ შეიძლება ტყვიებით დაგცხრილონ, რომ სიცოცხლის შემდეგ შეიძლება რამდენიმე ნახვრეტი შერჩეს საპყრობილის კედელს შენი ამქვეყნად ყოფნის ნიშნად...

იქნებ უჩემოდ უნდა წასულიყო, რადგან შეიძლება, ორივე ერთად ვერ გავქცეულიყავით...

- აქ ვარ, გაქცევის სურვილო! ჩემი არსებობის მტერო! - ფიქრობს პატიმარი, -არა, ასე არ უნდა გიწოდებდეს პატიმარი, შენ ხომ იმას მკარნახობ, რაც ჩემი ცხოვრების აზრია! ასე ტყვიის საფრთხე მალაპარაკებს! სად აქვს პატიმარს იმის უნარი, რომ ტყვიის საფრთხეს არ შეუშინდეს! ჰო, შეიძლება, არ აქვს პატიმარს ამის უნარი, მაგრამ იმდენი ჭკუა მოგეთხოვება, რომ ხელებში არ ჩაგაკვდეს გაქცევის მიზანი!

- დაუბერე ქარო და ამაჩქარე! კანონები და წესები მხოლოდ ისე მოქმედებენ, რომ ვერაფერი შეძლო ძალმომრეობის წინააღმდეგ. შეაქციე ზურგი ტყვიას და გაიქეცი, იქნებ აგცდეს იგი, რომელიც შეიძლება შენთვის ჩამოასხეს. სხვანაირად არ აგცდება, არაფერი არ აგცდება, თუ არ გაიქეცი!

სამყარო ყველგან სასტიკია და ყველგანაა გაკრული მისი სისასტიკის ფორმულა კედელზე მინებებული შინაგანანწესივით. ამ სისასტიკეს უნდა გაექცე სამართლიანობისთვის ან უსამართლობის გამო მაინც!

- ახლა რომ აქ იყოს, ვკითხავდი, ღმერთი თუ არსებობს მეთქი, - ფიქრობდა იგი გაქცეულ პატიმარზე, - და მიპასუხებდა, რომ არსებობს, რადგან გაქცევამდე ღმერთიც არსებობს...

არ მინელდე ქარო, მე ვაიძულებ ამ ჩემს გაციებულ ფილტვებს, ბევრი ჰაერი მომაწოდოს, რომ არ შევეგუო ამ კედლებს...

ისევ აყეფდნენ უსაფრთხოების კედელთან ძაღლები და ისევ ისმოდა შენობების სახურავიდან თუნუქის ფურცლების ხმაური. ზედამხედველი იდგა იქვე, სათვალთვალო კოშკურაზე, იდგა კოლექტიური ზედამხედველივით და გასაქცევ პატიმარს ელოდებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნინო წიკლაური

პარასკევი

შუა ქალაქში, მაღაზიებს, კაფეებს, ბინებს, გაფოთლილ ხეებს შორის მოქცეულ ძველ, კედლებჩამორეცხილ შენობაში, განიერ კიბეებსა და ნაცრისფერ, გადაკეტილ კარს იქით, სუსტ სინათლეში, სინესტის, შარდის, სიგარეტის სუნში ჩამწყვდეული ადამიანები ბორიალობენ. ზოგი სიგარეტს მთხოვს, ზოგი ოც თეთრს, ზოგი ვერ მამჩნევს.

- ახალი ხარ? - მეკითხება თმაგაშლილი ქალი.

- არა, ჟურნალისტი!

- ჟურნალისტს საგიჟეთში რა უნდა?! - ბრაზდება.

ძნელია მათ თვალი მოსწყვიტო და დაინახო ცისფრად შეღებილი, გრძელი დერეფანი, მრგვალი საათის ციფერბლატზე მოცეკვავე ურჩხული და მზეთუნახავი, შემურული ჭაღები, სკოლის მერხებზე გადაბმული სკოლის სკამები...

- მე თინიკო ვარ - მეცნობა ორმოცდაათ წლამდე ქალი - ბორის ძნელაძეში რომ არ წავყოლოდი მეგობარს, აქ არ მოვხვდებოდი. ბორ...

- ეს ლამარაა! - ბიჭურად თმაშეკრეჭილ, ტუჩებდანაოჭებულ, მოხუც ქალს აჩერებენ ჩემს წინ და აწყვეტინებენ თინიკოს.

იღიმიან ლამარას თვალები და ნაოჭები.

- ამას მტრედები ყავს შეჩვეული, ჭამის შემდეგ პურის ნარჩენებს აგროვებს და ფანჯრის რაფაზე უყრის.

- რაც შენ და შენი მტრედები პურს ჭამთ! - ბუზღუნებს მზარეული ქალი და მერხს წმენდს.

იღიმება ლამარა.

- რამდენი წლის ხარ? - მეკითხება ჩლიფინით.

- ოცდარვის.

- ფუ, ფუ, შენ ჯვარი გეწეროს და მე ოცდარვა წლის გავხდი ავად.

- შეყვარებული ხარ თუ გათხოვილი?

- არც შეყვარებული, არც გათხოვილი.

- როგორ არა, იქნები! - იღიმიან ისევ ნაოჭები - გენათალე შენ! - და უნდა მომეფეროს.

- არ შეეხო, ლამარა! - უყვირიან სხვები.

უცებ ემორჩილება.

- ბინძურია! იფსამს! - ჩამჩურჩულებენ.

- მაშინ ლექსს გეტყვი, მე რომ დავუწერე ჩემს მიწადასაყრელ ქმარს!

მოსასმენად ვემზადები. ლამარა - სათქმელად.

- ქმარ ალექსანდრეს ცოლ ლამარასგან!.. - და ჩერდება.

ცოტა ხანს ფიქრობს.

- დამავიწყდაო! - ამბობს მერე და ისევ იცინის.

- საჭმელს ვინ მომატანინებს? - ისმის მზარეულის ხმა.

მსურველი ბევრია. თავსაფარზე წითელკოპლებდახატულ გოგოს უარს ეუბნება - ფეხსაცმელი არ აცვია...

უცებ ვგრძნობ, მხარზე ვიღაც მკოცნის. ვტრიალდები. ლამარა დანაშაულზე წასწრებული ბავშვივით ჩერდება, მიღიმის. მერე ზურგს მაქცევს და კოჭლობით მიდის...

- საჭმლის მოსატანად გაყოლა ყველას უნდა. ეს ერთადერთი საშუალებაა, მიწაზე ფეხის დადგმის - მიხსნის თინიკო.

- რატომ არის ის გოგო ფეხშიშველი?

- „ჩუსტები“ კარადაში დარჩა ჩაკეტილი. გასაღები ექიმს გაჰყვა, ორი დღე ეგრე მოუწევს ყოფნა. ორშაბათს მოვა და მისცემენ. აქ რა უჭირს! საპირფარეშოშიც ფეხშიშველი შედის! იქ არც კი შეიხედო! საშინელება ხდება. სუნი იქიდან მოდის.

- სად ბანაობთ?

- ვბანაობთ?! - იცინის - არსად! ცხელი წყალი არ არის. ვისაც ფული აქვს ორმოცდაათ თეთრს აძლევს „სანეტარს“ და ფეხებს იბანს. ვინც უპატრონოა, დადის მთლად დაუბანელი. ამას დედა მოუკვდა. მამა და ძმა ჰყავს, მაგრამ არ აკითხავენ...

წითელკოპლიანი ჭუჭყიანი ფეხების ტყაპუნით მიჰყვება დერეფანს და ძირს დაგებულ ბეტონის ფილებს ითვლის.

- ბორის... - უნდა თინიკოს ამბის გაგრძელება.

- წამოდი, ბებიას გაგაცნობ! - გვეჩრება ბრტყელსახიანი, ძალიან ახალგაზრდა გოგო.

მივყვები.

ოთახში (აქაურობისთვის უჩვეულოდ თეთრ, სუფთა ზეწრებიან) საწოლს და ტუმბოს დაფუსფუსებს წელში მოხრილი, თავზე თეთრხილაბანდწაკრული, სამოცდაცხრამეტი წლის ბებია. ნამდვილი ბებია, სოფელში რომ უნდა ცხოვრობდეს, სახლკარს, ბაღჩას და შვილიშვილებს რომ უნდა უვლიდეს. ამ ბებიას არც შვილები ჰყავს, არც შვილიშვილები, არც სოფელში ცხვრობს. მისი ერთოთახიანი ბინა დაკეტილია. ფსიქიატრიულის პალატაში ფუსფუსებს ბებია და ენისმოჩლექით ეფერება ფანჯარასთან, ხის ტოტზე მოჭიკჭიკე ჩიტს...

- მე მომიტაცეს ბებია! ნუ გეცინება, მართლა მომიტაცეს. მოვიდნენ და მითხრეს, სოცუზრუნველობიდან ვართო, ჩამსვეს მანქანაში და ძალით წამომიყვანეს. ექიმებს ვეკითხები, რის საფუძველზე მაჩერებ-მეთქი? „მეზობლებს ეჩხუბებიო“. კი არ ვეჩხუბები, მხოლოდ ის ვთქვი, „კოკასა შიგან რაცა დგას, იგივე წარმოდინდების!“ იცი რატომ? გამოვხარშავდი თეთრეულს, გავრეცხავდი, „გავაკრახმალებდი“, გავფენდი. რამდენი შრომა სჭირდება, ხომ იცი? ისინი კი სწორედ მაშინ ფერთხავდნენ ნოხებს, ცოცხს. სიგარეტს აფერფლებდნენ... შენ რატომ ხარ აქ, ბებია?

- უნდა დავწერო, როგორ ცხოვრობთ.

- მაშინ დაწერე, ესენი რომ სკდებიან სიგარეტის წევით. ოთახში რვანი ვცხოვრობთ. ოთხი ეწევა, ოთხი არა. მიჭირს ამ ჰაერის სუნთქვა... შენ ეწევი?

- არა!

- კარგი გოგო ყოფილხარ, ბებია! შარვალი კი გაცვია, მაგრამ მაინც კარგი გოგო ყოფილხარ... ორმოცდაათი წლის წინ ადამიანები რომ ცხოვრობდნენ, ფეხზე რომ წამოდგნენ და ეს ხალხი დანახონ, გაგიუდება სულ ყველა! ვიღაცამ ჯადო გაუკეთა საქართველოს, თორემ მარტო მე რომ მქონდეს, რა უჭირს! რომელი ქვეყანა გაუკეთებდა, ეგ არ ვიცი!..

ეზოში მანქანა ასიგნალებს.

- ჯერ არ მცალია, მოვწევ და ჩამოვალ! - ჩასძახის რაფაზე შემომჯდარი, სახებრტყელი.

- ეს პატარა კურკა გოგო რა დღეშია?! - თავს აქნევს ბებია.

- ვნერვიულობ ბებო!

- რაზე ნერვიულობ? შვილები გყავს დატოვილი თუ რა?!

- დედა ხომ მყავს?

- გულის რევა მაქვს ცოტა - საწოლზე ჯდება ბებია და ხელებს კალთაზე იწყობს.

- ფეხმძიმედ ხომ არა ხარ? - იცინის სახებრტყელი - ისე, როგორ დაგიგვიანია გათხოვება!

- შენ რომ გათხოვდი, რა ჩიტი დაიჭირე? - ესარჩლება მოხუცის გვერდით საწოლზე გაწოლილი თმაგაშლილი - ეს ბებია რომ არ გვყავდეს, უფრო გაგვიჭირდებოდა აქ ყოფნა!.. ათი წელია ვიტანჯები, მაგრამ ვინ არ იტანჯება! ტანჯვა უფრო გამგებიანს ხდის ადამიანს. შვილად მეკუთვნი! პატარა კი აღარ ვარ. ორმოცდაჩვიდმეტის გავხდი. არ მეტყობა, იმიტომ, რომ აბორტი არ გამიკეთებია, შვილი არ გამიჩენია და ბოდიში თქვენთან, კაცთან არ ვწოლილვარ!

- რის ბოდიში ქალო, არ წოლილხარ და ყველაზე კარგი წუთები დაგიკარგავს ცხოვრებაში! - იცინის სახებრტყელი და სიგარეტის კვამლს ფანჯრიდან უშვებს.

- რა სასაცილოა და გაუპატიურების მეშინია, ამ სიბერეში. ახალგაზრდა ყველაფერს აიტანს. ასაკში ძნელია! რა ვქნა, უსიყვარულოდ ვერ გავთხოვდები! საქონელი ხომ არ ვარ!.. მე არ ვიღლები. ჩემი ტვინი გატენილია ინფორმაციით. როგორ ხმაურობენ! გვაცალეთ ლაპარაკი! ესე ვუთმენ ამათ ათი წელი. რა ბედნიერები არიან, რომ ვერ გრძნობენ თავიაანთ მდგომარეობას!.. თქვენ ხომ გჯერათ, რომ შიზოფრენია არ მაქვს?

- მჯერა!

- გუშინ მაინც მოსულიყავი - ნანობს სახებრტყელი - იცი რა ბიჭები გავიცანი? პოლიციელები იყვნენ. სიყვარული ვთხოვე... ფუჰ! სიყვარული კი არა, სიგარეტი! ერთი ღერი მომაწოდეს. ძაფზე გამობმული პარკი ჩავუშვი და ამოვწიე - მოულოდნელად ფანჯარაში ეყუდება, რაღაცას აკვირდება. - მარიამი მოყავს ქმარს, მგონი ცუდად არის! დავარდა. დიასახლისს დაუძახეთ!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამოჰყავთ მარიამი. თეთრები აცვია. ფრიალა ქვედაბოლო, ფუშფუშა პერანგი და მხრებზე მოგდებული ფართო, გამჭვირვალე შარფი. შემოეხვივნენ ავადმყოფები. ხელს აშველებენ.

- ცუდად კი არა, მთვრალია! - ჩხუბობს დიასახლისი - რამდენჯერ ვუთხარი ამის გასაქვავებელ ქმარს, რომ მიგყავს, ნუ ასმევ-მეთქი! რა დალიე?

- არაყი!

- რატომ დალიე ამდენი?

- არ პასუხობს. მამჩნევს, მიღიმის, თვალს მიკრავს და დერეფანშივე წვება იატაზე, მიცვალებულივით გულზე იკრეფს ხელებს. გაბრაზებული დიასახლისი მიდის. ვიღაცას თბილი საბანი მოაქვს და აფარებს. გარშემო უსხდებიან, ეფერებიან, ამშვიდებენ.

- აქ იმდენი სითბო იგრძნობა, მიუხედავად იმისა რომ ყველას გიჟი ქვია! გარეთ ეს ადამიანებს არ შეუძლიათ. აქ ყველას ერთი ტკივილი გვაქვს და ერთმანეთს რომ ვუზიარებთ, გვიმსუბუქდება ყოფა. ეს არის ჩვენი ცხოვრება და ისე შევეჩვიე, უკვე ვეღარ წარმომიდგენია, როგორ ვიქნები გარეთ! ბორის ძნელაძეში...

ექთანთან და საკაცესთან ერთად ბრუნდება დიასახლისი. მარიამი საბანს აგდებს. სცხელა. შარფიან ხელს მაღლა სწევს და აფრიალებს. საკაცეზე აწვენენ.

- ფრთხილად, არ მატკინოთ!

პალატაში, საწოლზე გადაჰყავთ. აბამენ.

- მუხლებს თავი დაანებეთ! ვიყვირებ!.. ძალიან მსუბუქი ვარ! - მიყურებს - მსუბუქი ყოფაქცევის არ გეგონო! უბრალოდ მსუბუქი! ნახე როგორ ავიშვა! ერთს ავიწევი და გავთავისუფლდები! ნაზად ბები, ნაზად! - თვალებს უბლიტავს დიასახლისს.

- ერთი შენი ქმარი მაცემინა! რამდენჯერაც წაგიყვანა, მთვრალი და ფეხმძიმე დაგაბრუნა!

- ცემე! - ნებას რთავს მარიამი.

- რვა შვილი ყავთ უკვე! - შემომჩივის დიასახლისი.

- შენ თვალწინ ავიშვებ! მიყურე და იხარხარე!...

- რომელი უფრო ცოდოა აქ, ავადმყოფი თუ კარგად მყოფი, ვერ გაიგებ! - თავს აქნევს დიასახლისი.

- კარგად მყოფი არ არსებობს! - ყვირის მარიამი.

- წავიდეთ, ჭამის დროა! - უპასუხოდ ტოვებს დიასახლისი.

სასადილოდ სკოლის მერხებთან სხდებიან. სკოლის მერხს უზის ბებიაც. უცხიმო, ერთმანეთთან შეწებებულ მაკარონს სოკოგაჩენილ, წებოვანგულიან პურს ატანს.

- ბებია, თუ დავიხრჩე, იცოდე, მთლიან ლუკმებს ვყლაპავ, არ ვღეჭავ... დაწერე, იქნებ მაკარონი რძიანი გააკეთონ. ამას ავადმყოფები ძალით ჭამენ! კი არ მოვითხოვ, თუ შეუძლიათ!.. მთავრობას ამ წლის ბიუჯეტში გამორჩენია ფსიქიატრიულების დაფინანსება. დამამშვიდებელ წამლებსაც თავის ფულით ყიდულობს ჩვენი ექიმი. ამათი უწამლოდ გაჩერება არ შეიძლება!.. პიტნის წვეთებიც არ აქვთ. რა ქნან! არ აფინანსებენ!.. უბრალოდ, თუ შეძლებენ, ხანდახან მაინც რომ გვაჭამონ რძიანი მაკარონი...

- მე ფაფა მინდა! - იძახის სახებრტყელი - ფაფა... და კარაქიანი პური!

- პური ახალი რომ იყოს!.. მეორე დღის მაინც!

- ხორციანი საჭმელი მენატრება!

- შემწვარი წიწილა, ახალი ტყემლით!

- ტოლმა!

- ხინკალი!

- მწვადი!

- ჩაქაფული!

- სამი თვის ხელფასი მისცენ პერსონალს! ყველაზე მეტს ესენი შრომობენ! ფულს რომ აიღებენ, კარგ ხასიათზე იქნებიან!

- ტორტი!..

ამთავრებენ შეზიზღებულ საჭმელს. ლამარა მერხებზე დარჩენილ პურის ნატეხებს აგროვებს, ჯდება და ფშვნის.

თინიკო და თავსაფარკოპლიანი ფანჯარასთან მიდგმულ, გადაწმენდილ მერხზე სხდებიან და ეზოში იყურებიან. კაცი ასეირნებს ბავშვს.

- შეხედე, რა საყვარელი პატარაა! - სახე ებადრება თინიკოს, მერე ცრემლი ერევა - შვილიშვილს ვენატრები, ექვსი თვიდან გავზარდე. აქ რომ მოვდიოდი, დამსვა და საჭმელი მაჭამა. მშიერი არ გამომიშვა...

- ხომ კარგი ბავშვია? - გადაჰყურებენ ფანჯრიდან პატარას.

- ხო! - თავს უქნევს წითელკოპლიანი.

- ხომ გინდა ბავშვი?

- ხო!

- ხომ გათხოვდები?

- ხო!

- მე ძმისშვილი გავზარდე, ჩვიდმეტი წლისაა. სახლიდან გამომაგდო! - გვიყვირის მოულოდნელად გაჩენილი, მხრებზე ზეწარშემოგდებული ქალი.

- ვერ გაგიზრდია კარგად - ჩურჩულებს თინიკო და ცრემლს იწმენდს.

- აღმოვაჩინე მასობრივი განადგურების იარაღი! - აგრძელებს ყვირილს - აზოტს ჩავყრი ჭაში და დაგხოცავთ სულ ყველას!..

- აურია, ხმა არ გასცეთ! გუშინ ისეთი სიტყვები მეძახა, არაფერი მითქვამს! - გვაფრთხილებს თინიკო.

- ჩათლახები ხართ!.. „ჩიხოტკიანები“!..

არავინ ეპასუხება.

- ფანჯრიდან ჩამოდით! - ყვირის მზარეული.

- თინიკო და კოპლიანი შორდებიან ფანჯრის იქით მოჩახჩახე მზეს. ბრუნდებიან სიგარეტის და საპირფარეშოს სუნში.

- ვინმეს რომ შევხვდე და შევუყვარდე, ამის უფლებასაც არ მაძლევენ! - ჩივის ფეხშიშველი.

- ესენი გარეთ დადიან, ჩვენ ფანჯრიდან გახედვასაც გვიკრძალავენ! ბორის ძნელაძეში რომ არ...

- დისკოტეკაზე წამოხვალ? - მორბის სახებრტყელი.

- დისკოტეკა გაქვთ?..

მთავარი კარის პირდაპირ, პატარა ოთახში მაგნიტოფონია ჩართული. რაღაც წყნარ მელოდიას აყოლილი ქალები ნელა, თვალებახუჭულები ტრიალებენ. სახებრტყელი წითელკოპლიანს მიათრევს

საცეკვაოდ. კოპლიანს ცეკვა არ უნდა. სახებრტყელი ხელებს უჭერს და ძალით აქნევინებს...

ურდულის ხმა ისმის. მნახველი მოვიდა.

- ქეთისთან არიან! - იძახის ექთანი.

მირბის ქეთი და დედის წინ ჩერდება. არ ეხუტება. არ კოცნის. დედა თავზე ხელს უსვამს.

- რატომ არ ხარ დავარცხნილი! - საყვედურობს.

ქეთი ბავშვივით შეჰყურებს.

- გამოიცვალე! - ჩანთიდან იღებს ტანსაცმელს.

იქვე იხდის შარვალს, მაისურს... დედა ეხმარება. გამონაცვალს ახვევს და ჩანთში ინახავს. ქეთი გაუბედავად ჩასჩურჩულებს.

- ვერ წაგიყვან! სახლში ვერ გაძლებ! ეზოში არავინ არის! - ხმამაღლა პასუხობს დედა.

- ხუთი წუთით მაინც ჩამიყვანე დაბლა, გამასეირნე!

- არა! ამ კიბეზე ვეღარ ამოვალ ისევ!.. ხომ იცი, ფეხები მტკივა!..

მიდის დედა. ქეთი გარბის ფანჯრისკენ. ელოდება. დედა გადის შენობიდან და ნელი ნაბიჯით მიუყვება გზას. შვილი ჩუმად უყურებს. გზა გაფოთლილ ტოტებში იკარგება...

* * *

ძალიან გამხდარი ქალი გაყვითლებულ რვეულს მაწვდის.

- ლია საინტერესო პიროვნებაა, რამდენჯერმე თავს იკლავდა! - მაცნობს თინიკო.

- აქ ჩემი ლექსებია. იქნებ დამიბეჭდონ თქვენს გაზეთში!

ვფურცლავ.

„ფულით მანქანა ვიყიდეთ,
ტაქსაობს ჩემი ქმარი.
საღამოს დატვირთული
რამაზი მოდის სახლში.“

„შოფრობაში“ გამოცდილი
„რეისებში“ დადიოდა,
კმაყოფილი ბრუნდებოდა,
სიხალისე ამხნევებდა.“

„გავზარდე ორი შვილი და
მტერს დავუყენე თვალი!
მრავალი წლის მანძილზე
„ატეესს“ შევალიე თავი.
შეწუხებული დავდივარ
ტელეფონების ზარით.“

- მატანთ?

- წაიღე! თუ კარგად მოიქცევიან, კიდევ დავწერ! - მერე თინიკოს ახარებს - იცი, ქმარი მიბრუნდება!

- მართლა?! გილოცავ! - კოცნის თინიკო...

* * *

- დაწერე, რომ ძმამ გამიყიდა ბინა - მკარნახობს დაბალი, შავგვრემანი გოგო - საბერძნეთში წავიდა და გადაიკარგა. ცხრა წელია აქ ვცხოვრობ. უკვე კარგად ვარ, გაწერა უნდოდათ, მაგრამ წასასვლელი არსად მაქვს... რა ლამაზი მაიკა გაცვია! მე იცი, როგორები მიყვარს? სელაპივით რომ პრიალებს. არის ეგეთი?

- კი, იქნება!

- დამეხმარეთ ჩემი ძმის მოძებნაში!..

* * *

- მკვდარი არ მოვსულვარ აქ! ცოცხალი მოვედი, იმიტომ რომ ვიცოდი, მკვდარი ვერ მოვიდოდი! ოცდაცამეტი წლის ვარ! მას მერე არ მომმატებია ასაკი!.. - ისმის დერეფანში.

- ფულის ინფლაცია არის ფულის სიკვდილი! საქართველოში ფული მოკვდა!.. - ყვირის სხვა ხმა.

- გამარჯობა! ჯანმრთელობას გისურვებთ. პასტა ხომ არ გაქვთ? ლექსი მაქვს დასაწერი. შავად კი არ ვწერ, პირდაპირ თეთრად. ერთი შეცდომა არ მაქვს ხოლმე!...

- მე მხოლოდ ყვავილის დახატვა ვიცი!...

* * *

- დღეს რა რიცხვია, ჩვიდმეტი თუ თვრამეტი? - მიყურებს დიდთვალებდაქაჩული ქალი.

- ჩვიდმეტი მაისი.

ფიქრობს.

- ვიღაცის ცემა მინდა!

- ვისი? - ვეკითხები ფრთხილად.

- არ ვიცი! - აკვირდება ყველას.

* * *

- მოდი აქ! - მეძახის თეთრი, მაღალი ქალი - უთხარი კარი გაგიღონ და წადი!

- რატომ?

- შენთვის ცუდია. ცუდად გახდები. ამ ხალხის ყურება ძნელია. ხედავ როგორ დარდობენ? სახლებიდან იმიტომ გამოყარეს, სიმართლეს რომ ამბობდნენ. სტრესს წამალი კი სჭირდება, მაგრამ სხვა რამეებიც აუცილებელია. საშინელ ყოფაში არიან. დააკვირდი ამ ადამიანების თვალებს. გრძნობ როგორ „მუჩუეტ“?

დერეფნის ბოლოში ჩხუბი იმართება. თვალებდაქაჩულმა იპოვა ვისაც ეძებდა. ზოგი მისაშველებლად გარბის, ზოგი გასაშველებლად.

- დაწყნარდებიან. შენ უთხარი, გაგიღონ კარი!

- მალე წავალ! - ვპირდები.

* * *

თინიკოს ვეძებ. ისევ ფანჯარაში ზის. სარგებლობს არეულობით.

- რა მოხდა ბორის ძნელაძეში, თინიკო?

- დათვმა მოაჭამა გოგოს ფეხი. იმ გოგოს ვეწეოდი და ამის ნიადაგზე გავხდი ავად. რომ არ წავყოლოდი მეგობარს... - უსველდება თვალები...

* * *

ხმაურით ირაზება კარი ზურგს უკან. გამოვდივარ ქუჩაში. ჰაერი. ვსუნთქავ. ღამდება. ლამპიონები ინთება. განათებული კაფეები. ადამიანები საუბრობენ. იცინიან.

ორი ნაბიჯის იქით, სიგარეტის და საპირფარეშოს სუნში, სძინავს რკინის საწოლზე დაბმულ მარიამს...

ნაფცქვენები

ხის შუშაჩატეხილ ფანჯარაზე აკრულ სიბნელეს ფერი შეერია. სახედამშრალმა ქალმა მორიდებით გააღვიძა რკინის საწოლში მძინარე სახეგადატკეცილი, შავი კაცი. ქალმა სკამზე მიყრილი სამოსი სწრაფად გადაიცვა, ჭაღარა თმა კბილებმომტვრეული სავარცხლით გადაივარცხნა. ხელი წაკრა აგურშეყუდებულ საწოლში მძინარე ბავშვს. „ადექი, მომეხმარე!“ ლამაზი, შავი თვალები გაახილა გოგომ.

კაცმა დინჯად ჩაიცვა საკერებელდადებული, მუხლებთან დაბერილი სპორტული შარვალი. ფეხები უზონარო, დაბრეცილ, მტვრიან ფეხსაცმელში წაყო. ეზოში გავიდა. თენდებოდა. წითელი ჰორიზონტი იწვა. მზე ამოდიოდა.

- სალესი და დანა გამომიტანეთ! - სახლს შეჰყვირა კაცმა.

თმაგაწეწილმა გოგომ გამოუტანა, სასაწრაფოდ სახლში შებრუნდა, კარადის გვერდით, ბნელ კუთხეში ჩაჯდა და ყურებში თითები გაიკეთა.

კაცმა დანა ალესა. ფხა გაუსინჯა და გომურში შევიდა. ბაგაზე მიბმულმა, ნეხვმიმხმარ იატაკზე მოკეცილმა ცხვარმა თავი წამოყო. კაცმა თოკი მოხსნა ბაგას და მოქაჩა. ზანტად წამოდგა ცხვარი. პირი წინდაყრილი, მიმჭკნარი ბალახისკენ წაიღო. კაცმა არ აცალა. უფრო მძლავრად მოწია თოკი. წყლიან, ემალატეხილ, ტალახიან ჯამს წამოედო ცხვარი. წყალი დაიქცა. კაცმა გინებით გაათრია ეზოში...

გოგომ ყურებიდან თითები რომ გამოიღო და გარეთ გავიდა, თუთის ტოტზე დაკიდებული დახვდა ცხვარი. ჩაყვითლებულ, დაკრეჭილ კბილებიდან გალურჯებულ ენას უყოფდა მოჭრილი თავი. მიწას დიდ ლაქად აჩნდა შედედებული სისხლი...

გრძელ შუშაბანდში ვიწრო მაგიდები შეატყუპა ჭაღარა ქალმა. გახუნებული, დახვეული ქაღალდი სუფრად გადააფარა. თეფშებს თლილი ჭიქები და დაღრეცილკბილიანი ჩანგლები შემოუწყო. გოგო მეზობლებში გააქცია. სკამები ათხოვნინა.

კაცმა აქნილი ხორცი, დაჭრილი მწვანილი, მწვანე ხავი, ტარხუნა, ტყემალი ფენა-ფენა ჩაყარა ტალახწასმულ ქვაბში და ეზოში, ზედადგარს ქვეშ, შეშით ანთებულ ცეცხლზე შემოდგა.

ქალი სუფრას დასტრიალებდა - ყველი, მწვანილი, კიტრი...

პირველმა სტუმარმა შეაბიჯა. ყაზარამ. მისი გრძელი ცხვირი ულვაშის ზოლს ეჭირა. ნარდი გაშალეს. მაყურებლებიც გამოუჩნდნენ - სხვა სტუმრები და ტოტზე დაკიდებული, ენაგამოყოფილი, თვალებდაჭყეტილი ცხვრის თავი. იქვე, სისხლის ლაქას ბუზები ეხვივნენ. ცეცხლზე ჩაქაფული იხარშებოდა.

თეთრი მანქანა გაჩერდა. ახოვანი კაცი და ლამაზი, გაპრანჭული ქალი გადმოვიდნენ. გოგო აღტაცებული ათვალიერებდა ბზინვარე, შავ, გადავარცხნილ თმას, წითელ პომადას... უკვირდა, ეს ქალი მათ ღარიბ სახლში რომ შევიდა, მის მოუვლელ, საწყალ დედას რომ ესაუბრებოდა... და ცოტათი რცხვენოდა კიდეც.

სუფრა მზად იყო. კაცები ჯერ მორიდებით ისხდნენ. თითქოს უხალისოდ იღებდნენ ჭიქებს, ორი სიტყვით ამბობდნენ სადღეგრძელოს, ნაზად კიკნიდნენ ბადრიჯანს თუ გუდის ყველის ნაჭერს. რაფაზე შემოდგმულ ბოცას ნელ-ნელა აკლდებოდა. ხმაური იმატებდა. ყოჩაღად შეხვდნენ ოშხივარადენილ ჩაქაფულიან ჯამებს. სადღეგრძელოსთვის ათი სიტყვაც აღარ ჰყოფნიდათ, ყოვნდებოდნენ და გონებაში ეძებდნენ სხვა, მგზნებარე სიტყვებს. ვერ პოულობდნენ და ისევ იმ ათი სიტყვის დალაგებას ცდილობდნენ ისე, უფრო შთამბეჭდავი რომ ყოფილიყო. არ გამოსდიოდათ და სავსე ჭიქით უღებდნენ ბოლოს წამებას.

ლამაზ ქალს მოსწყინდა მათი ყურება. გარეთ გავიდა. მიტოვებულ ნარდთან ჩამოსხდნენ ქალები.

ბოცა ნახევრად ჩაიცალა.

მასპინძელი მზად იყო კამათისთვის, ჭიქას ხელი წამოავლო:

- მშვიდობას გაუმარჯოს! ნათქვამია, „მშვიდობა შინ და გარეთო“ მაგრამ, მთავარია, გარეთ იყოს მშვიდობა! შინ მე მოვუვლი!

- შინ თუ ომი მაქვს, რა ჩემ ფეხებად მინდა გარეთ მშვიდობა?! - არ დაეთანხმა ყაზარა.

ეზოს მაღალ ქუსლებზე შემდგარი, დაბალი ქალი მოადგა.

- მოდი, ჟუჟუნ! - შეიპატიჟა დიასახლისმა.

ჟუჟუნამ უკან დაიხია, „ყაზარა გამოახედეო“. დიასახლისი შეყოვნდა და გოგო გაგზავნა დასაძახებლად.

- ყაზარა ძიას ცოლი ეძახის! - თქვა ღია კარში გაჩერებულმა გოგომ.

ყაზარა წამოიწია. შავმა კაცმა ხელით გააჩერა, „უთხარი, არ მოდის-თქო!“ უბრძანა გოგოს.

ჟუჟუნა გაბრაზდა.

- ცოტა ხნით გამოვიდეს, საქმე მაქვს! მიდი გენაცვალე, წუთით გამომხედოს!..

ისევ ღია კარში გაჩერდა. მამამისს მშვიდობის სადღეგრძელო ჯერ კიდევ არ დაელია.

- არ მიდის, ერთი წუთით გამოიხედოსო!

კაცს სახე დაეჭყანა, სუფრას დახედა, თეფშზე დახვავებულ კიტრის ნაფცქვენებს ხელი დაავლო და გოგოს სახეში შეაყარა.

ყველა მას უყურებდა. სისხლმა სახე აუწვა. თავი დახარა და ძირს დაყრილ ნაფცქვენებს დახედა. მერე თვალები ცრემლებმა ამოუვსო და გაქრა ნაფცქვენები, მამამისი, ყაზარა, ჟუჟუნა, მზიანი ეზო, ენაგამოყოფილი ცხვრის თავი...

ლამაზი ქალის კალთაში თავჩარგული ტიროდა.

- შეურაცხყოფილად იგრძნო ბავშვმა თავი!- მოესმა გამქრალი სამყაროდან.

იმ სამყაროში მამა ისევ მშვიდობის სადღეგრძელოს სვამდა. კაცები ქეიფობდნენ.

რობოტი

ცხრა წლის იყო.

სხვადასხვანაირი ფიცრებით ახუნძლული საპირფარეშოს კედლის ძირიდან სორო იყურებოდა შავი თვალით. სოროსავით შავი თვალები ჰქონდა თვითონაც.

დაპატარავდა თუ სორო გაიზარდა, შიგნით შევიდა - თბილ, დიდ ოთახში. ჩაწიკწიკებულ ხუთ საწოლზე ხუთ წრუწუნას ეძინა. მათი დედა იყო. ფეხაკრეფით მიდიოდა საწოლიდან საწოლთან, გადახდილ საბნებს უგებდა. ერთს გამოყოფილი, შეციებული კუდი სათუთად გაუსწორა, დაუთბუნა.

ბედნიერი იყო უცნობი განცდით! დედა იყო!

სამზარეულოში ღუმელზე წვნიანი დუღდა. საჭმელს ამზადებდა.

სახლში გრძელულვაშა, პიჯაკმოცმული ვირთხა დაბრუნდა. ქმარი...

ბრახუნმა გამოაღვიძა. მამის დაგებულ ხაფანგს წრუწუნა მოეკლა...

ოცდათორმეტი წლის შემდეგ -

ადრიანად გაახილა თვალი. წასასვლელი იყო. სამუშაოს დაწყებამდე გუშინდელი დაუმთავრებელი ანგარიშის დასრულება უნდა მოესწრო.

ადგომა ვერ შეძლო. ოდნავ მოძრაობაზეც აუტანელად სტკიოდა მუცელი. თავს ძალა დაატანა. წამოდგა. რამდენიმე ნაბიჯი გადადგა. ტკივილმა გონი დააკარგვინა. თვალი რომ გაახილა, იატაკზე იწვა. ტკივილი შესუსტებულიყო...

სასწრაფომ წაიყვანა. გზაში ხან უფროსი ურეკავდა, ხან მის მაგივრად სამუშაოზე გამოსული გოგო. ეკითხებოდნენ, რა სად იდო, რა იყო საჩქარო...

ექიმმა ხელით გასინჯა. ქალი იყო. მერე კომპიუტერებით იკვლიეს.

იწვა. პასუხს ელოდა. სამსახურიდან ისევ რეკავდნენ.

- საკვერცხის კისტაა გამსკდარი, გონი იმიტომ დაკარგე. ოპერაციაა საჭირო, საშვილოსნოც ამოსაღებია! - მოვიდა ბოლოს ექიმი.

- რომ დამიტოვოთ?

- არ შეიძლება, საშიშია!

გოგოს ცრემლები წამოუვიდა.

- რა გატირებს? - უხეში იყო ექიმი.

- შვილი არ მყავს!

- ამ საშვილოსნოს დიდი ხანია დამშვიდობებული ხარ! შვილს ვერ გააჩენ!..

საოპერაციოდ ამზადებდნენ.

- აქ ერთი ბატონია მოსული, ნახატი უნდა ყოფილიყო ჩარჩოში ჩასმული, ვერ ვპოულობთ! - რეკავდა ისევ უფროსი.

- რა ეხატა ნახატზე?

- კლიმტის „ოჯახი“.

- საწყობში, თაროსთან დევს - საკაცით მიაგორებდნენ.

რკინის კარი ღია დახვდათ. საოპერაციო დიდი იყო, თეთრი და ცარიელი. მაგიდაზე გადაიყვანეს. წამალი შეუშვეს...

წინ ფურცლები ეწყო, კალკულატორი, წითელი და ლურჯი პასტა. აგრძელებდა წინა ღამეს შეწყვეტილ ანგარიშს. მალე დაასრულებს. სულ ცოტაღა დარჩა. ვიღაც ხელს უშლის.

- გაიღვიძე! - თავზე ედგა რეანიმაციის ექთანი.

„ცოტაც მაცალონ, სულ ცოტაც და მოვრჩები, რატომ მიშლიან ხელს?!“ თავს ზემოთ არ წევს, ციფრებს კრებს. „პლიუსი დამიჯდა. სამი ლარი. ეს არაფერია. ალბათ პასპორტის გატარება გამომრჩა. მშვენივრად გამოვიდა. დავასრულე!“

- გაიღვიძე!..

სოფლის ავტობუსში

მძღოლი შავია და შავი ულვაშები აქვს. ავტობუსი წითლზოლიანი. მუსიკა ძველი, საცეკვაო.

წინა სკამზე, „თავშენახული“ შურა კმაყოფილი იყურება ფანჯარაში. მისი მხრები კი ყვება მელოდიას.

შურას ზურგს უკან, პუტკუნა, ახალგაზრდა გოგო პირზე ხელს იფარებს და სიცილის შეკავებას ცდილობს.

ავტობუსი ჩერდება. შავებში ჩაცმული მოხუცი ბებო გაჭირვებით ამოდის და ამოაქვს ერთმანეთში ჩაწყობილი ჩანთები. ბებო ჩხუბობს. სიტყვები მუსიკაში იკარგება. მძღოლი მაგნიტოფონს ხმას უდაბლებს. ჩერდებიან შურას მხრები.

- ნახევარი საათია ვდგევარ! ბებერი რომ ვარ, იმიტომ არ გამიჩერა? ეგრე შეიძლება?!

- რა გინდა ჩემგან?

- შენგანა შვილო? შენგან არაფერი. იმდენი ხანია ველოდები, გამოიარა ყვითელმა ავტობუსმა და არ გამიჩერა. შენ რა შუაში ხარ! შენზე კიდევაც ვამბობდი, ღვთისნიერი კაცია-მეთქი!..

კვლავ იწყებს ცეკვას შურას მხრები და კვლავ იცინის პირზე ხელაფარებული პუტკუნა.

ბებოს სახლთან ჩერდება ავტობუსი. მძღოლი ხელით აკავებს ჩასავლელად მომზადებულ მოხუცს.

- ხომ დადიხარ ბაზარში ყოველდღე და ხომ შოულობ იქ რაღაც ფულს. ხანდახან ათი თეთრი მაინც გადაიხადე. ჩემზე კი არ გეუბნები. სხვებს მიეცი, რომ გაგიჩერონ!

ოთხმოცს გადაცილებული დამნაშავე ბებო დგას თავდახრილი, უსმენს და ლუღლუღებს.

- ხო შვილო!.. ხო შვილო!..

- კარგი ხო, გამოსწორდება! წავიდეთ ჩვენ ახლა! - ყვირის მოთმინებადაკარგული კაცი.

უკვე ხმამაღლა იცინის პუტკუნა.

მერე ისევ მიქრის ავტობუსი და ისევ ცეკვავენ „თავშენახული“ შურას მხრები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძაღლი

კერძო, პატარ-პატარა ეზოებს და სახლებს შორის ჩარჭობილ, ოცდაოთხსართულიანი კორპუსის ფანჯრიდან მოხუცი იყურება. ოდესღაც ლამაზი იყო! ძალიან ლამაზიცო! ახლა კი შუბლზე და ლოყებზე ბებერი მეცნიერის ტვინივით დანაოჭებული კანი, პირიდან ამოჩრილი კბილი და კუზი აქვს.

- რა საშინელება ხდება იმ სახლში!.. თავიდან ვიფიქრე, მეჩვენება-მეთქი. მერე ვუთვალთვალე და დავრწმუნდი, არ ვცდებოდი... არა, ვერ გეტყვი! არ შეიძლება! - ეუბნება სტუმრად მისულ ნათესავს და სადღაც ქვემოთ იშვერს მარილებისგან დაგრეხილ თითს.

სტუმარი ახალგაზრდა გოგოა, არ უხარია იქ ყოფნა, მაგრამ სთხოვეს, საღამომდე არ დატოვოო და უკვე მეორედ იდუღებს ყავას.

- მითხარით!.. არავის მოვუყვები! - ამბობს ზარმაცად.

- თქმისაც კი მეშინია!.. სამ დღეში ერთხელ მოჰყავთ ამ კაცთან ძაღლები!

- ამდენი ძაღლი რად უნდა?

- ტყავს აცლის! - ჩაიჩურჩულა.

- რას? - ვერ გაიგო გოგომ.

- ტყავს აცლის! - ოდნავ აუწია ხმას... - ერთი ისეთი კარგი ძაღლი მოუყვანეს, მეწამული ფერის. ლეკვი ჰყავდა თან. ისიც მაგფერი. იქით რაღაც მოფიცრული რომ მოჩანს, მოდი, ნახე! ახლაც აბია შავი ძაღლი, ხომ ხედავ?

ცეცხლს აქრობს და გოგოც ფანჯარასთან მიდის. ძველ, პატარა, ჩაშავებულ სახლზე ფოთლებდაცვენილი თუთის ტოტების ჩრდილი ირხევა. მიწაზე წევს ძაღლი. დრუნჩი თათებს შორის უდევს.

- მანდ ება ისიც. მეორე დილით გამოვიდა სახლიდან კაცი, შავი პერანგი რომ აცვია ხოლმე. შეჰყურებდა ქვემოდან და კუდს უქიცინებდა საცოდავი. რაღაც ჩაასხა ძალით პირში. ალბათ ძილის წამალი. ცოტახნით გავედი საძინებლისკენ. რომ დავბრუნდი, ძაღლი გრძელ რკინის მაგიდაზე დაწოლილი დამხვდა, სამ ადგილას გადაეჭირათ ქამარი და... თავი აღარ ჰქონდა!

- რა არ ჰქონდა?! რას ამბობთ!

- თავი! თავი აღარ ჰქონდა! მეორე დილით, ქალბატონმა, იმ კაცის ცოლმა, პარკში გახვეული ხორცი სადღაც წაიღო. იმიტომ ვეჩხუბები ჩემებს, „კალბასებს“ და „სასისკებს“ ნუ ჭამთ-მეთქი... სულ სხვადასხვანაირი ძაღლები მოჰყავთ. მესამე დღეს ტყავს აცლის... არ ყეფენ. ხმას არ იღებენ ძაღლები. ნამდვილად წამლით აძინებენ. დიდი ფული იშოვნეს ამ საქმით. აქ რომ გადმოვედით, პატარა ეზო ჰქონდა. აქეთ-იქიდან შეისყიდეს და ხომ ხედავ, როგორ გაფართოვდნენ?... მეზობელი გვყავს პოლიციელი, მინდოდა მისთვის მომეყოლა და თავზე დასდგომოდა მოულოდნელად. ზუსტად ვეტყოდი როდის კლავდა. ჩემმა შვილმა დამიშალა. ეგ თუ ამ საქმით ფულს შოულობს, ადამიანსაც მოკლავსო! მაგან იცის, რომ მე ვუყურებ. შემეშინდა - შვილი და შვილიშვილი შარში არ გავხვიო-მეთქი!..

- ამ ამბავზე თვალების დახუჭვა როგორ შეიძლება?! - კითხულობს თვალებგაფართოებული გოგო.

- იცი, როგორი ცხოველი მოუყვანეს, ერთხელ? შავი, პრიალა ბეწვი ჰქონდა, შველივით თვალები, წაგრძელებული დრუნჩი, მოკლე ფეხები. ძალიან მსუქანი იყო. სიარული უჭირდა. თევზის მჭამელი უნდა ყოფილიყო. ხვდები, რა იქნებოდა?

- ვერა! -

- ძალიან ლამაზი იყო, მგონი ზოოპარკიდან მოუყვანა მწვანეფორიანმა, გალიებიანი მანქანით. იმ კაცს ფულს უხდის ხოლმე... ნეტა რა ცხოველი იყო?.. როგორ მოკლა, ვერ დავინახე. რომ გავიხედე, იმ შავ, პრიალა ბეწვს რეცხავდა უკვე ის ქალბატონი! ეგ ქალიც სატანაა. ხმას რატო არ იღებს?.. შეიძლება ქმრის ეშინია - პასუხობს თვითონვე.

- ღმერთო ჩემო!

- ის ლამაზი ძაღლი რომ დავინახე, ლეკვით, ისე შემეცოდა, გული დამეთუთქა. მინდოდა ჩავსულიყავი და მეყიდა, მაგრამ ჩემი შვილი გაგიჟდა, სად წავიყვანო, რად მინდაო? არ არის ეგ შენი საქმე! ნუ გაიხედავ და არ დაინახავო! სხვა ფანჯრებიც გვაქვს, წადი და ქუჩის მხარეს იყურეო!.. სატანები არიან ეგენი ყველანი! ცოლიც! კიდე ისეთები... რა ჰქვიათ მაგათ? აი, კისერში რომ ჩააფრინდებიან და სისხლს წოვენ.

- ვამპირები? - იცინის გოგომ.

- ხო, ვამპირები! დადიან ეგეთები აქ ღამე!.. ვერც შენ ხედავ ჭაღზე ღამურას?

- ვერა! - უზარმაზარ ბროლის მძივებს ათვალიერებს გაკვირვებული გოგო.

- უნდა ჩამოვახსნევინო ხელოსანს და ყველას განახოთ, რომ მანდ ღამურა ზის! სულ მიყურებს და დამცინის! აი, ენას მიყოფს ისევ...

ჭერზე ბროლის ჭაღი ბრწყინავს. გოგო მოხუცს აკვირდება გაფართოებული თვალებით...

თუთის ტოტებს ქარი ისევ არხევს. ქვემოთ, ეზოში, შავპერანგიანი კაცი სიგარეტს ეწევა. მოფიცრულის წინ ჯაჭვით დაბმული ძაღლი შეჰყურებს და კუდს უქიცინებს.

ლევან შატბერაშვილი

ჩია ნაბიჯები

რაც უფრო მეტად ჭკვიანი ხდები, მით უფრო მეტი სისულელის თქმის უფლება გეძლევა.

მარსელ პრუსტი

ზამთრის სუსხიან საღამოს, 45 წლის ახალგაზრდა და პერსპექტიული ქართველი მწერალი ზაალ ბურდულაძე ბერლინში, მარქსისა და ენგელსის ქანდაკებასთან იდგა და ასევე პერსპექტიულ და ახალგაზრდა ქართველ ფილოსოფოსს, 43 წლის, ლომერ შალამბერიძეს ელოდა. ლომერი და ზაალი მეგობრები არ იყვნენ, მაგრამ თბილისური ჭორ-მართლის გადამკიდეებს ერთმანეთზე ცოტა რამ სმენოდათ, თუმცა შეხვედრამდე ორივეს მოესწრო მეგობრებისგან მცირედი ცნობების მოძიება.

მიზეზი, რის გამოც ეს ორი სუბიექტი ერთმანეთთან შეხვედრას აპირებდა, მარტივი იყო: მათი ცოლები ნაცნობები იყვნენ, თანაც ისეთი, რომ ხანდახან მეგობრებსაც კი უწოდებდნენ ერთმანეთს. ისინი პერიოდულად ფეისბუკზე ცვლიდნენ ხოლმე აზრებს და ასევე ევროპის ინტელექტუალურ-არტისტული დედაქალაქის შესახებ თავიანთ შთაბეჭდილებებსაც. თუმცა ერთხელაც ისე მოხდა, რომ ვირტუალური ინტერაქციით ვეღარ დაკმაყოფილდნენ, უფრო სწორად, ჩათაობით ვეღარ დაძღნენ და გადაწყვიტეს, ქმრებიც დაეახლოვებინათ, რომლებიც, ისე მოხდა, რომ იმჟამად ბერლინში იყვნენ - ერთი სამეცნიერო კონფერენციაზე იყო ჩასული, მეორეს კი ლიტერატურული სტიპენდია მოეპოვებინა და თავის მორიგ რომანს წერდა. მათი აზრით, ეს ძალიან კარგი შანსი იყო ამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორი საინტერესო ინტელექტუალის დასამეგობრებლად.

ზაალი უფრო მეტად მარქსის ქანდაკებასთან სცემდა ნერვიულ ბოლთას, რადგან ენგელსი მაინც მეორეხარისხოვან მოაზროვნედ მიაჩნდა. მისი მწერლურად ნატიფი თითები, გადაჭრილი ხელთათმანების გავლით უკავშირდებოდნენ ბერლინის ცივ ჰაერს. კოპწია ბლანჟეთი ალყაშემორტყმული ტუჩები, სიცივისა და მარადიული ნერვიულობისგან აკანკალებული, დახვეწილი ფალანგების დახმარებით, ღრმა ნაფაზებით ისრუტავდნენ სიგარეტის კვამლს.

ბურდულაძის მზერა გაწვდილი იყო ბერლინის ჰორიზონტალური პეიზაჟისკენ, რომელიც მისთვის ევროპის წიაღში წარმოშობილ თანასწორი ცხოვრების ერთგვარ სიმბოლოსაც წარმოადგენდა. გარდა ამისა, მისი ამგვარი შვეული სიმპათია ასეთი თარაზული არემარესადმი, სულაც არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ საფრანგეთის რევოლუციის მიერ მოტანილი თანასწორობისა და ძმობის რევოლუციური იდეებით - მას მართლაც ძლიერ უყვარდა სწორი რელიეფი, რადგან როდესაც იგი ამ ქალაქის ბრტყელ ბუნებაზე ფიქრობდა, მის არაცნობიერში უცნაური სიამაყის გრძნობა წამოტივტივდებოდა ხოლმე, დაკავშირებული მშობლიურ უბან - ვაკესთან - რომელიც ერთის მხრივ ჭირის დღესავით სძულდა, ვითარცა აკვანი ყოველი ეთნიკურ/ურბანული მანკიერებისა, მაგრამ მეორეს მხრივ კი უყვარდა კიდეც, რადგან მისთვის ეს ერთგვარი სარკმელი იყო ევროპაში - ზიარება განმანათლებლობის, ტოლერანტობის და თავისუფლების სამყაროსთან.

ზაალის მეხსიერებას არასდროს ტოვებდა ბაბუის წიგნის კარადა - კლასიკოსთა ტომეულების ლამაზად ჩაწიკწიკებული რიგები, ჟურნალის მაგიდაზე შემოქმედებითი უწესრიგობის პრინციპით მიმოფანტული „მნათობის“, „ცისკარის“ თუ დეფიციტური „ინასტრანკის“ ახალ-ახალი ნომრები, შემდეგ უკვე ახალგაზრდული ვაკური „ტუსოვკები“ და ა. შ. მაგრამ სიმართლისთვის უნდა აღინიშნოს, რომ იგი ყოველთვის უკომპრომისოდ ებრძოდა მასში არსებულ სნობურ დანალექებს, განსაკუთრებით კი ისეთებს, რომლებიც მანკიერი ქართული საზოგადოებიდან იღებდნენ დასაბამს, თუმცა დანალექებს შორის ერთადერთი გამონაკლისი გახლდათ დანალექი ნალექიანი ყავისა, რომლის სიყვარულიც მასში ჯერ კიდევ ბავშობიდან გააღვივა მისმა ბებიამ (ქალაქში ინტელიგენტი ქალისა და აკადემიკოსის მეუღლის სახელი ფრიად სამართლიანად რომ დაემკვიდრებინა). აქვე ახსენდებოდა ყავის არომატით გაჯერებული სახლი, ბებიის დარბაისლური, დინჯი, არისტოკრატული ნაბიჯი, ჯეზვეთი ხელში რომ დადის მუხის პარკეტით მოპირკეთებულ ჭრიალა იატაკზე... ახსენდებოდა მოხუცი მამაც... მაგრამ ზაალი, ამ დროს, სასწრაფოდ გახიზნავდა ხოლმე ამგვარი მავნე თვითცნობიერების ნაკადებს წინარეცნობიერის მოუსავლეთში, რადგან მის დახვეწილ ბუნებას არაფრით ეკადრებოდა მის ცნობიერებასთან შეუთავსებელი მოგონებებით დატვირთვა. სწორედ ამ მიზეზით, ზაალმა ელვის უსწრაფესად მიაბრძანა ვაკეზე ფიქრი ზემოთ ხსენებული ერთ-ერთი ცნობიერის (ან არაცნობიერის) რომელიღაც მიგდებულ უჯრაში, სიგარეტს ნაზაფი ჰკრა, მჭმუნვარე სახით ახედა ენგელსის ქანდაკებას და გაიფიქრა - „მე რა ვქნა, მე?“. ჩაეღიმა, გულის გამოუთქმელ სიღრმეში მოეწონა კიდეც თავისი ხუმრობა, რადგან ძალიან უყვარდა თვითირონია, მაგრამ მასშივე არსებული თვითკრიტიკულობის უშრეტი წყარო არაფრით აძლევდა უფლებას დადებითი შეფასება მიეცა თუნდაც ესოდენ მცირე, მაგრამ მოსწრებული იუმორისტული ალუზიისთვისაც კი.

... და როცა ზაალი ამგვარ ფიქრებში იყო გართული, ბერლინის ქუჩებში ლომერ შალამბერიძის მოკლე და დინჯი, თუმცა ძალუმი ნაბიჯების მკაფიო ხმა გაისმა. თავისი მკაფიოობით, ეს ხმა ჩამოჰგავდა 80-იანი წლების ბოლოს ან 90-ანების დასაწყისში გადაღებულ ქართული ფილმების დასაწყისს, სადაც მთავარი გმირი რომელიმე უკაცრიელი და ბნელი შენობის დერეფანში მოაბიჯებს, მისი ნაბიჯების ხმა კი ავსებს უკაცურ სახლსა და ცარიელ სივრცეს მის გარშემო, ავსებს უბადრუკი ბიჭბუჭობით დასახლებულს ქალაქს და, რაც მთავარია, ავსებს კინოთეატრში მისული სამი ან ოთხი მაყურებლის მიგდებულ და გაპარტახებულ გულს.

ლომერ შალამბერიძე თავკერძა გოლიათივით მოუყვებოდა ბერლინის ნაცრისფერ ქუჩებს. იგი ისეთივე ეული და გულოვანი იყო როგორც ღვინისფერი მდინარე, შხულითა და ღიღინით რომ მოაპობს ხოლმე მტრულად განწყობილ კალაპოტს და თუკი რამე არ მოეწონება, ჩვეული ვაჟკაცობით - ხალასად ავარდება თავხედი ნაპირების გასწვრივ, ლაჩრულად განლაგებულ ჭალაში, ცხვირ-პირს მიუმტვრევს მას და შემდეგ ვითომც აქ არაფერიო, ისევ ონავრულად განაგრძობს თავის მხიარულ და ფათერაკიან მოგზაურობას.

ლომერის წითელქუდას მგელივით დიდი ყურები თეთრი სადენებით უკავშირდებოდნენ ჯიბეში ჩამალულ ძველმოდური სიდი-ფლეიერს, რომლიდანაც ჯონ კოლტრეინის „Giant Steps“-ის ველური ცხენებივით მოჭიხვინე და გაუხედნავი ჰანგები იღვრებოდა. მუსიკა სულს ედებოდა, სული კი სხეულს, ამის გამო ლომერის ყოველი ნაბიჯი მართლაც გოლიათურად წარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოისახებოდა. მაგრამ მიუხედავად ამ ხანძრისა, რომლიც მის თავში გიზგიზებდა, ლომერი გარეგნულად ცდილობდა, რაც შეიძლება მეტად შეენარჩუნებინა სიმშვიდე; რაც, უნდა ითქვას, რომ გამოსდიოდა კიდეც - თუმცა, თუ ვინმე სათნო გულით კარგად დააკვირდებოდა, მაშინვე იგრძნობდა, რომ მიუხედვად იმისა, რომ ქარი არ ჩანდა, იგი მაინც ედებოდა და აზანზარებდა ლომერის სულში ამაყად აზიდულ ესთეტიურ მწვერვალებს.

ლომერს ტანთ ემოსა მოწითალო და მოლურჯო ფერების კუბოკრული, მოგრძო ხის ღილებით გაწყობილი მოკლე პალტო, რომლის ერთ-ერთ უმთავრეს ღირსებას მისი ლამაზი კაპიუშონი წარმოდგენდა - ეს პალტო მას სოლიდურობის გარდა, რომანტიული პოეტურობით გაჟღენთილი მოაზროვნის იერს სძენდა... კაპიუშონს კი მოფერებით „ჩაბალახად“ მოიხსენიებდა... მის ჭკუით გატენილ თავს სქელი, ნაქსოვი ზამთრის ქუდი, ხოლო მშრომელ ხელებს - შავი ტყავის ხლეთათმანები ჰფარავდა. ლაიბნიცისეული ოპტიმიზმით გაჯერებული ნაბიჯის გარანტად ტყავის მაღალყელიანი ბატინკები ქცეულიყვნენ, რომლებიც არავითარ შემთხვევაში არ მისცემდნენ ყანყალა კოჭებს შედრკომისა ან გადაბრუნების უფლებას, ხოლო ცოტა ზევით განლაგებულ მუხლებს თავდაჯერებულობასა და მგლის ძალას სძენდნენ.

მასაც ძლიერ უყვარდა ბერლინის ფართე, თუმცა მინიმალისტური პეიზაჟები, მაგრამ თავის მოვალეობად თვლიდა, ყოველთვის გარკვეული შედარებები გაეკეთებინა საქართველოსა და ყველა იმ ქვეყანას შორის, რომელშიაც ჩასვლა უწევდა ხოლმე. თვითონაც არ მალავდა, რომ შეფასებებში ტენდენციური იყო - რა თქმა უნდა, სამშობლოს სასარგებლოდ: „რა ვქნა? მე ხომ იცით, სუბიექტური ვარ, ჩემი მირჩევნია...“ ამბობდა ხოლმე ამაყი სიმორცხვით.

ლომერის ლმობიერება სამშობლოს მიმართ მხოლოდ მისი პატრიოტული გრძნობებით კი არ იყო გამოწვეული, არამედ ფილოსოფიური რწმენითაც. მიუხედვად იმისა, რომ მან ჯერ კიდევ ახალგაზრდა ასაკში მიატოვა გრძნობათა ხმელეთი და აზროვნების ოკეანეში ჭყუმპალაობას მიჰყო ხელი, მისთვის მაინც უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა საფუძვლების და ფუნდამენტების პოვნას. მიუხედავად ყველაფრისა, ის მაინც ფიქრობდა, რომ ხმელეთის არ იყოს, ზღვაც ერთგვარი ფუნდამენტი შეიძლება ყოფილიყო, იმ შემთხვევაში, თუ მოცურავეს ოსტატობა არ დაეწუნებოდა. ამიტომ, ლომერისთვის, ცურვასთან დაკავშირებით არ არსებობდა ამგვარი სკეპსისის საფუძველი. მაგრამ მის წარმოდგენაში არსებობდა ერთი ძალიან მნიშვნელოვანი რწმენა, რომელიც მისთვის ეკვივალენტური იყო ნებისმიერი ცოდნისა, ეს რწმენა კი იმაში მდგომარეობდა, რომ თუკი რაიმეს ჰქონდა დასაწყისი, მას დასასრულიც უნდა ჰქონოდა. მას არ სჯეროდა უსასრულობაში გასროლილი ისრების უსასრულოვე მოძრაობისა, პირიქით, დარწმუნებული იყო, რომ ყოველ გარიჟრაჟს აუცილებლობით მწუხარე დაისი მოსდევს. მოკლედ რომ ვთქვათ, მისი რწმნა დასასრულის რწმენაში მდგომარეობდა, ეს არა მარტო მისი ფილოსოფიური კრედო იყო, არამედ ფსიქოლოგიური ფუნდამენტი, რომელსაც საფუძველი ბავშვობაში ჩაეყარა, როდესაც განმარტოებული წარმოიდგენდა ხოლმე თუ როგორ დაიღუპებოდა გმირულად ბრძოლის ველზე და როგორი ცხარე ცრემლით დაიტირებდა მას სამშობლო, ოჯახი, მეგობრები... შესაბამისად, მას ჰქონდა ღრმა რწმენა ადამიანის გონების სასრულობისა და თუკი შეგრძნება მისთვის ხმელეთზე გადაადგილების, ცურვა კი აზროვნების შესაბამისი იყო, ფრენა მისთვის ადამიანის იმ აქტივობებს მიეკუთვნებოდა, რომლის დასაწყისიც ყოველგვარი ადამიანურის დასასრულთან იყო დაკავშირებული. სწორედ ამიტომ ლომერს სჯეროდა სამშობლოსთან განუშორებლობის ამბავი, სჯეროდა იმ ნიდაგის, რომელზეც გაჩნდა და არ აპირებდა სადმე ფეხი დაცდენოდა და რომელიმე უფსკრულში ჩაშვებულიყო ფრენა-ფრენით. ლომერის ინტელექტუალური ცხოვრება, დატვირთული პატრიოტული იდეებით, ჰეროიზმით, როცა საკუთარ სიკვდილს წარმოიდგენდა, მას მუდამ თავისი სხეული დაუდგებოდა თვალწინ, გარშემორტყმული მასზე მგლოვარე ადამიანებით - მოკლედ, არყოფნის სხვებთან ერთად ყოფნისგან დამოუკიდებლად წარმოდგენა თითქმის შეუსრულებელი ამოცანა იყო მისთვის. თუმცა მას, ხშირ შემთხვევაში, ამ აზრების დამალვაც უწევდა (რათა ანგარიში გაეწია ქართული საზოგადოების იმ ნაწილისთვის, რომლის მიმართ, ერთის მხრივ, საშინელ ზიზღს განიცდიდა, მეორეს მხრივ კი, მათ წრეში ინტელექტუალური გოგმანი განუზომელ სიამოვნებას ჰგვრიდა).

- გამარჯობა ზაალ! - შესძახა ლომერმა და მარჯვენა ხელზე ხელთათმანი წაიძრო, რათა ხელის ჩამორთმევისას ხაზი გაესვა თავის რაფინირებული მანერებისთვის.

- გამარჯობა?! - ნაძალადევი დაბნეულობით უპასუხა ზაალმა - თქვენ ალბათ ლომერი ბრძანდებით ხომ? - და გადაჭრილი ხელთათმანით მორთული მტევანი გაუწოდა საპასუხოდ.

- დიახ, დიახ - უცნაური სიამოვნებით გაჯერებული ხმით უპასუხა ლომერმა.

ეს სიტყვები თქვეს თუ არა, მათ შორის რამდენიმე წამით სიჩუმემ დაისადგურა. სიჩუმეს ამას ჩვენ ვამბობთ, სინამდვილეში კი მათ შო-



რის უფსკრული გაჩნდა. დაუძლეველი და გადაულახავი, როგორც წყნარი ოკეანე, და ამის გამო ეს მართლაც თითებზე ჩამოსათვლელი წამები ლამის სავალალო უსასრულობად გარდაისახა. ისეთად, როდესაც ფიქრობ, რომ მიაღწიე დათქმულ მიზანს, მიხვედი მასთან და ამ დროს ამოუცნობი ბოროტი გენია წამის კიდევ ერთ ჩარექს მიუმატებს დროს, ბოროტ და წვეთწვეთა უსასრულობად აქცევს, რომლის საშუალებითაც ყოველთვის გამარცხებს, კიდევ ოდნავ გადადებს შენს თითქოსდა გარდაუვალ და ლამის კარის ზღურბლთან მდგომ ტრიუმფს, კიდევ ერთი წამით, მცირედის უმცირესით გადაჩოჩებს, ისე რომ, ვერაფრით ახერხებ, ღვთაებრივი სიცილით სახეშემკულმა სიამაყით შემოსძახო - შეჩერდი წამო! რადგან წამის შეჩერებას მხოლოდ მაშინ თუ აქვს აზრი, მიზანი მიაღწეული რაა...

ორივე ძალიან დაბნეული იყო და ამ უსასრულო უხერხულობის თუ უხერხული უსასრულობის დასაძლევად თუ განსამუხტად, ერთდროულად დაჰკრათ გადაკოცნის იდეამ თავში, მაგრამ უცხოობით მოერიდათ - ერთსაც და მეორესაც გულმა რაღაცნაირად რეჩხი უყო - თუკი გადაკოცნიდნენ ერთმანეთს, გადაკოცნის ინიციატორი მომავალში შესაძლოა დაცინვის ობიექტად ქცეულიყო - ამა თუ იმ „ტუსოვკაზე" შეკრებილი პუბლიკის გულის მოსაოხებლად. შეხვედრა ხომ ისედაც ძალიან უცნაური რამაა, მაგრამ გასაკუთრებით კი ის შეხვედრაა ხოლმე უცნაური, როდესაც ორი ისეთი კაცი ხვდება ერთმანეთს, რომლებსაც ღმერთმა უხვად დააბერტყა მსახიობის ნიჭი, მაგრამ იღბალმა ისე უმუხთლა, რომ ერთი ბედის ირონიით მწერლად აქცია, მეორე კი ფილოსოფოსად.

ანდაზა გვეუბნება, რომ „მეთევზე მეთევზეს შორიდანა სცნობსო", ლომერმა და ზაალმაც წამშივე ამოიცნეს ერთიმეორის არტისტული ბუნება. როგორც ზემოთ მოგახსენეთ - ორივე მსახიობი იყო (ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით), რადგან მათ უწევდათ ერთი და იგივე როლის მარადიული თამაში - უწყვეტი, უსასრულო სპექტაკლის გათამაშება, რომელიც არასოდეს არ დამთავრდებოდა, რომელშიაც მთავარ როლსაც თავადვე ასრულებდნენ და დრამატურგიასაც და რეჟისურასაც თავადვე (დიდი გაჭირვებით, მაგრამ მაინც დამოუკიდებლად) უძღვებოდნენ.

- სადმე ყავა ხომ არ დაგველია? - იკითხა ზაალმა და გულში ესიამოვნა, რომ უხერხულობის საცობიდან ესოდენ დელიკატურად მოახერხა გამოძრომა.

- ყავის რა მოგახსენოთ, მაგრამ ერთ ჭიქა ღვინოს სიამოვნებით დავლევდი... მე ცოტა არ იყოს, ვერ ვერკვევი აქაურ კაფეებში და თქვენ სადაც იტყვით, იქ შევიდეთ.

- ერთი სოციალისტური კაფე ვიცი, მეტროსთან ახლოს, კარგი ყავა აქვთ და იქ შეგვიძლია წავიდეთ...

- ხო, მაგრამ მთავარი ისაა, ღვინო თუ აქვთ!

- ო, აი მაგას ნამდვილად ვერ გეტყვით. მე ხო საერთოდ არ ვსვამ - თქვა ზაალმა, ხმაში უპირატესობის მეტალნარევი ხავერდით გაჯერებული ბგერები გამოურია და სახე წამით ისე დამანჭა, თითქოს ზიზღი ვერ შეიკავაო.

- საერთოდ არ სვამთ? - ახლა უკვე ლომერმაც შეიცხადა და ფილოსოფიური განცვიფრებით დაჭყიტა თვალები.

- ხო, რატომ გაგიკვირდათ, ძალიან არაქართულია? - ზაალმა გამარჯვების მოლოდინში, ტუჩის მარჯვენა კუთხე ჩუმად გააპარა ირონიული ღიმილისკენ.

- არა, რას ბრძანებთ?! პირიქით, ძალიან არაევროპულია - და სასხვათაშორისოდ, ვითომ თავისთვის ჩაილაპარაკა - ამდენი წელია ევროპაში მიწევს სიარული და მგონი აქაურს არავის ვიცნობ, რომ არ სვამდეს.

ზაალს რუდუნებით ნაგები სახე ერთ წამში ისე აენჯღრა, რომ სრული უსასრულო წამი მოანდომა მის მოწესრიგებას. ამ დროს კი ლომერის გულმა ყიჟინა დასცა, უეცრად წარმოიდგინა კიდეც, თუ როგორ მოუყვებოდა არა მხოლოდ მეგობრებს, არამედ შვილიშვილებსაც თავისი ენამახვილობის მცირე, მაგრამ შთამბეჭდავი ტრიუმფის შესახებ. ლომერმა თითქოს სისხლის სუნი იგრძნო და გადაწყვიტა კიდევ ერთხელ მიეტანა შეტევა დემორალიზებულ ზაალზე:

- არადა, ერთხელ მგონი მინახავს კიდეც რომ სვამდით - ერთი-ორი წლის წინ ტაბიძის „მეტრონომში", გვერდით მაგიდასთან ვიჯექი და მახსოვს, რომ თქვენი მაგიდა კარგა მაგრა სვამდა.

- რა? მე ვსვამდი? - ზაალმა ამჯერად უკვე ველარ მოითმინა, მის ხმაში აშკარა გაღიზიანება გაისმა და თვალები პლეხანოველი კაი ბიჭივით დაეკარკლა. თუმცა მაინც მოახერხა, ღრმად ჩაისუნთქა, გონს მოვიდა და სახეც გაასწორა.

ლომერი არც ამ შემთხვევაში ელოდა ასეთ ეფექტს, ზაალის გაღიზიანებამ ისე გაახარა, რომ ტანში სიამოვნების ჟრუანტელმა დაუარა. მიუხედავად ამისა, არ დაიტყო და ისეთი სახე მიიღო, თითქოს ერთობ გააკვირვა და შეაშფოთა (მეტიც ცოტათი შეაშინა კიდეც) ზაალის რეაქციამ.

- ხო, ალბათ ამერია... - ვითომ საცოდავად და ვითომ თავისთვის ჩაიბურდღუნა მან.

- ხო, პრინციპში არც ვიცი, იმ კაფეში საერთოდ ყიდიან თუ არა ალკოჰოლს - მიუგო უკვე დაწყნარებულმა ზაალმა - მოდით გავისეირნოთ და სადაც მოგვეწონება, იქ შევიდეთ.

- ხო, არაა ურიგო იდეა, თან ფეხს გაშლი ცოტა - მთელი დღეა საწერ მაგიდას ვუზივარ და ცოტა გავარჯიშება არ მაწყენდა.

- ხო, მეც ძალიან მიყვარს ამ ქალაქში სეირნობა. თავისუფლება თუ გინდა გაიგო, აქურობას უნდა იცნობდე კარგად. ალექსანდერპლაცისკენ წავიდეთ და თუ რამე არ შეგვხვდა, ალექსანდერპლაცს მაინც ვნახავთ! - თქვა ზაალმა და გამხდარი ფეხით დაუფიქრებლად გადადგა გრძელი ნაბიჯი...

ნელა მიდიოდნენ, ტაატით, რომ შეგეხედა იფიქრებდი, კი არ დადიან, მედიტირებენო. მათი ზანტი ნაბიჯი აჩქარების სურვილით ნამდვილად არ იწვოდა, აი, გონება კი ნამდვილად უსწრებდა ფეხებს. დროდადრო ჩერდებოდნენ კიდეც, რომ უფრო კარგად გაეზიარებინათ ერთმანეთისთვის თავიანთი შეხედულებები ამა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ იმ საგანზე. ორივე ცდილობდა თავიანთი შთაბეჭდილებები ისე დაწვრილებით და დახვეწილად მოეყოლა, რომ მოსაუბრეს ეჭვი არ შეჰპარვოდა მისი აზროვნების წარმოუდგენელ ინტენსიურობაში.

- ძალიან მიყვარს ეს ქალაქი. ჩემს მეგობრებს სულ ვეუბნები, თუ ბერლინი არ გინახავთ, ესე იგი, მსოფლიოში ყველაზე მნიშვნელოვან ადგილას არ ხართ ნამყოფი. ისეთი ადგილია, უბრალო ჩამოსვლითაც შეგიძლია მიიღო განათლება.

- ხო, ნამდვილად კარგია, მაგრამ მე მაგალითად პარიზი მირჩევნია.

-არა, რას ამბობთ, პარიზი ამ თავისუფლების სულთან შედარებით არაფერია. ალბათ ადრე იყო კიდეც საინტერესო ქალაქი, ახლა კი უბრალო მუზეუმია, უფრო კრიმინალური მუზეუმი. პარიზისნაირი კრიმინალური ქალაქი მგონი არც მინახავს. მეგაპოლისია, არეულ-დარეული, ნაგვით სავსე. მაგალითად, აქ ნაგავს საერთოდ ვერ ნახავ და იცი რატომ? - ზაალის ხმას ამ დროს ინტელექტუალური პათეტიკა შეეპარა - იმიტომ, რომ გერმანელს ცნობიერება აქვს ამგვარი. უბრალოდ, არ ყრიან. ნაგვის სიძულვილი გერმანული კულტურის ნაწილია.

- რა თქმა უნდა, გეთანხმებით, მეც თითქმის ყველაფერი მომწონს გერმანული... დაწყებული გერმანული ლიტერატურიდან - გერმანული მუსიკით დამთავრებული. ერთი, გერმანული ფეხბურთი ვერ შევიყვარე ვერაფრით.

მის ვაჟკაცურ ხმაში კეკლუცობის შეუმჩნეველი ნოტები ისმოდა. მაგრამ წინადადება დამთავრებული არ ჰქონდა, ზაალმა დრო იხელთა, რათა ცინიკური რეპლიკით მცირე, მაგრამ მტკივნეული დარტყმა მიეყენებინა ახლად გამოჩეკილი მოწინააღმდეგისთვის:

- იმედია, ვერც გერმანული ნაციზმი შეიყვარეთ.

ახლა უკვე ლომერს მოედო ალმური. არ იცოდა რა ეთქვა, ენამოსწრებული პასუხი ვერ მოიფიქრა და თავის მართლება ხომ საერთოდ სისულელე იქნებოდა. გადაწყვიტა, გესლიანი ხუმრობა, უბრალოდ, გადაეყლაპა.

- ჰმ... - უხერხულად ჩაახველა ლომერმა - ნაციზმი იქით იყოს და, ის კიდევ როგორაა? ხო, ხო, ჯვარი აქაურობას... ჰაჰაჰაჰა...

მისმა უნიჭო ხუმრობამ ვერაფრით განმუხტა დაძაბული ატმოსფერო. ნაძალადევი სიცილი ვერ ასრულებდა თავის ფუნქციას. ზაალი პოკერის მოთამაშესავით გაქვავებული სახით იდგა და კმაყოფილი ისუნთქავდა გამარჯვების სურნელს, რომელიც უჩინრად გარეულიყო ბერლინის ნაცრისფერ ჰაერში. ლომერი თავადაც ვერ მიმხვდარიყო რა მოხდა, ბრინჯვივით დაბნეული, ისეთი გამომეტყველებით იდგა, თითქოს, დამნაშავეს, ფაქტზე წაასწრესო. ზაალმა ცივსისხლიანი დუელიანტის როლი ბოლომდე მოირგო - თანაგრძნობის ნატამალიც არ წაუცხია... ის იყო გადაწყვიტა უკანასკნელი, ცინიკური და სასიკვდილო დარტყმა მიეყენებინა ენამოკვეთილი ფილოსოფოსისთვის, რომ თავისი საყვარელი მეუღლე გაახსენდა... მიხვდა, რომ დღეს საღამოს, ძილის წინ, როდესაც მას შეხვედრის ყველა დეტალს მოუყვებოდა, ლომერის ქცევის უმცირეს წვრილმანებს ლიტერატურული ოსტატობით ფსიქოლოგიურ პორტრეტის აღსაწერად გამოიყენებდა. თავის მხრივ, ამგვარ დაუნდობლობას, შესაძლო იყო, ამბის რეალისტურობისთვის საფრთხე შეექმნა, რადგან შესაძლოა გაჩენილიყო ეჭვი, რომ ამ ანტიპათიას პიროვნული შუღლი, შური, თუ მსგავსი რამ ედო მიზეზად, ამიტომ ამგვარი ცივსისხლიანობა მთლად კარგად ვერ წარმოჩინდებოდა. არადა, რა კარგი მასალა ჰქონდა ლოგინში მყუდრო საუბრისთვის, როგორ ადვილად შეეძლო ბოლომდე გაეცამტვერებინა ეს პაწაწინა „ბრძენუშკა“ საყვარელი ცოლის თვალებში, თანაც რამდენი ხანია, ყურებს უჭედავდნენ აზროვნების ამ ამომავალი ვარსკვლავის შესახებ ისტორიებით. ოღონდ ეს ამბავი, მხოლოდ საოჯახო სარეცლის კუთვნილებად არ უნდა დარჩენილიყო, ის აშკარად იმსახურებდა უფრო ვრცელ ასპარეზს - ქართველ ინტელექტუალთა ფართო წრეს, ამ ამბის მოყოლის შემდეგ, ლომერის სახელის ყოველ ხსენებაზე მათ სახეებზე გაჩენილ ცინიკურ ღიმილს, ირონიულ გამოხედვას, თუ თავშეუკავებელ ხარხარს. არა, აშკარად სჯობდა, არისტოკრატული ლმობიერება გამოეჩინა, რათა შემდგომში, ჭეშმარიტად გამოესალმებოდა იგი საზოგადოებრივ სიცოცხლეს. ამიტომ ხმაში თაფლიანი რძე გამოივლო და ტოლერანტული ბარიტონით დაუყვავა:

- კლასიკური მუსიკის დიდი მოყვარული არ ვარ, მაგრამ, სხვათა შორის, რაც აქ ძალიან მიყვარს, მუსიკალური მაღაზიებია. თანაც როგორი კოლექციებია... თან ხალხის დამოკიდებულებაა აბსოლუტურად სხვანაირი მუსიკის მიმართ. იმ დღეს ვიყავი „საუნდ მეტაფორში“, ძველ ჩანაწერებს ვეძებდი, ვიღაც მოხუცი კაცი შემოვიდა, კარგად ჩაცმული, ძალიან კარგი „პლაშჩი“ ეცვა, აი, რომ ვერც კი წარმოიდგენ, საქართველოში ვინმე ეგეთი წარმოსადეგი ტიპი რომ ნახო... დიდხანს იქექა ვინილებში და ბოლოს ისეთი ჩანაწერი აირჩია, აი, ქართველი, მაგ ასაკის ან თუნდაც უფრო ახალგაზრდა კაცი რომ არასდროს აირჩევს! წარმოგიდგენია, ჯონ კოლტრეინის ერთ-ერთი იშვიათი ალბომი იყიდა, მგონი Giant Steps ან Ole!

ამ სიტყვების თქმაზე ლამის დანებებული ლომერის გონებაში, თითქოს ძველი სამხედრო

მარში აწკრიალდაო, სადა, გამბედავი, სიხარულით აღსავსე, მხოლოდ რიტმული ბარაბანისა და თავნება ფლეიტის ხმებისგან რომ შედგება. გულმა გამარჯვების მოლოდინით უფრო სწრაფად დაიწყო ცემა, ძლივძლივობით მოიკრიბა ძალა, რომ ის საგულეში დაებრუნებინა, ღრმად ჩაისუნთქა და ზაალს, რომელსაც თავზე დაფნის წარმოსახვითი გვირგვინი დაედგა, დაუნდობლად აძგერა მახვილი ენა:

- Giant Steps?!

- ხო, Giant Steps!

როგორც კი ზაალმა ეს სიტყვები გაიმეორა, ლომერმა თავი ვეღარ შეიკავა, ჯერ წამოიფხუკუნა, შემდეგ კი ეს ფხუკუნი დაუფარავ ხარხარად აქცია. დაბნეული ზაალი ვერ ხვდებოდა რა მოხდა, ვერაფრით გაეგო, რა აცინებდა ლომერს.

- რა არის, აქ სასაცილო? განა Giant Steps კოლტრეინის ალბომი არაა? თუ მე მეშლება რამე?

ლომერი მის სიტყვებს მის სიტყვებს ვითომ არც აქცევდა ყურადღებას - შეშლილივით აგრძელებდა სიცილს, როლში შეჭრილი ცრემლებს იწმენდდა, სუნთქვა ეკვროდა, ძლივს ითქვამდა სულს. და როცა კარგად გამოძღა ხარხარით, გადაწყვიტა, ბოლომდე დაესრულებინა როლი და სიცილისგან თავის შეკავების ბოლო სცენა გაითამაშა - ვითომ უკანასკნელი ძალები მოიკრიბა და წამოჭარხლებული სახიდან უეცრად მოისხიპა ღიმილი.

- ზაალ, იცი, გემრიელად გამაცინეთ! - თქვა ოდნავი ქოშინით - ხომ გაგიგიათ, სიცილი სიცოცხლეს ახანგრძლივებსო და აშკარად რამდენიმე წელი მომემატა...

- და სასაცილო რა არის? კოლტრეინი?

- არა, კოლტრეინი სულაც არაა სასაცილო, ჩემი უსაყვარლესი საქსოფონისტია. იმაზე გამეცინა, უფროსი ასაკის ან ცოტა ახალგაზრდა ქართველი არ მოუსმენდაო, რომ თქვით. სწორედ, რომ ამ წუთას ვუსმენდი Giant Steps-ს. მამაჩემმა მაჩუქა ეს დისკი ბერლინში წამოსვლამდე. თვითონ იყო რამდენიმე დღის წინ აქ და „საუნდ მეტაფორში" შეიძინა. მგონი მამაჩემი ნახეთ მაშინ, აი, ჩემს ყურსასმენებშიც ეგ მუსიკა ისმოდა წეღან, ხომ არ გინდათ მოგასმენინოთ? თანაც, Giant Steps როდის აქეთ არის იშვიათი ალბომი? აი Kulu se mama ან Meditations რომ გეთქვათ, სულ სხვა იქნებოდა.

ამის გაგონებაზე ზაალს ენა გაუშრა, უმწეოდ მიმოიხედა, თითქოს გამვლელებს წყალს თხოვდაო. ლომერს სიამოვნებისგან ტანში ჟრუნტელმა დაუარა, განსაკუთრებით ეს უეცარი იმპროვიზაცია ჰგვრიდა სიამოვნებას, მაინც როგორი ოსტატობით გაათამაშა მამამისის და კოლტრეინის დისკის ამბავი, მაინც როგორ მოაფიქრდა ეს ბრწყინვალე ტყუილი?! თან როგორ გაუმართლა, რომ Giant Steps-ს უსმენდა და არა ჩარლი პარკერს - არა, კოლტრეინი ყოველთვის კარგი არჩევანია!

წარმატებით თავბრუდახვეული ლომერი მალე მოვიდა გონს და გადაწყვიტა, რომ ზაალის მსგავსად მასაც ბოლომდე შეესრულებინა ჰუმანური არსების როლი და თავადვე დიდსულოვნად გამოეყვანა მოწინააღმდეგე უხერხული მდგომარეობიდან:

- აჰ, საუბარ-საუბარში კი მოვედით მგონი რაღაც კაფესთან. ყავაც უნდა ჰქონდეთ წესით და ღვინოც. სხვათა შორის, სადაც არ გავსინჯე გერმანიაში, ორივე ყველგან ძალიან კარგი აქვთ. შევიდეთ?

დაბნეული და გაცეცხლებული ზაალის თავში საპასუხო აზრიც აღარ ჭაჭანებდა, ვეღარ ფერი მოეფიქრებინა. მისი ისედაც ნერვიული ჰაბიტუსი უფრო ნერვიული გახდა. ხელები ინსტინქტურად ჩაიყო ჯიბეებში, ტელეფონი იპოვა და მაშინათვე ამოიღო - მხოლოდ ტელეფონი თუ გადაარჩენდა. ძალები მოიკრიბა, სრული სერიოზულობით დახედა ეკრანს, მესიჯებში ბოდიალი დაიწყო.

- უი, ძალიან დიდი ბოდიში, მაგრამ, ჩემს ცოლს მესიჯი გამოუგზავნია, როგორც ჩანს, ჩაწეული მქონდა ხმა და ვერ გავიგე. ვერაა კარგად და უნდა გავიდე... ძალიან ვწუხვარ.

- რამე სერიოზული ხომ არაა? - ფარისევლური მზრუნველობით იკითხა ლომერმა.

- არა, ისეთი არაფერი. ასე ემართება ხოლმე პერიოდულად.

- ძალიან ცუდი, არადა, საინტერესო საუბარი გვქონდა...

- დიახ, დიახ, მაგრამ, სამწუხაროდ, უნდა გავიქცე - თქვა ზაალმა და სწრაფი ნაბიჯით გაეცალა იქურობას.

ლომერი გამტკნარებული გამომეტყველებით შეჰყურებდა ბერლინის ნაცრისფერ ზეცას. გამარჯვებული სახით დახედა თავის ძველმოდურ ფლეიერს. ყურსასმენები პარტყუნა ყურებში გაირჭო, კვლავ Giant Steps ჩართო და პატარ-პატარა რიტმული ნაბიჯებით გაუყვა ქუჩას. ბედნიერი იყო. კოლტრეინის სოლოს ძალიან ხმადაბლა აყოლებდა სიმღერას - „ტი რუ რა რუ რა, ნი ნუ, რი რუ რა რუ რა, ბაბ დი დუ, ბაბ დი დუ..."

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქ შეიძლება ყოფილიყო თქვენი რეკლამა

ტელ: 577 747-719
ელ-ფოსტა: info@arilimag.ge

b.12/38